

ADR YEARBOOK



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელიწდეული 2025

მთავარი რედაქტორი **პროფ. ირაკლი ბურდული**

Editor-in-Chief **Prof. Dr. Irakli Burduli**

ბ ე ზ ო ბ ღ ე უ ზ ო

2025

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL CENTER FOR ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION

ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION

Yearbook

2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავის ალტერნატიული განაწყვეტის ეროვნული ცენტრი

დავის ალტერნატიული განაწყვეტა

წელწლეული

2025



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი

ირაკლი ბურდული (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

მმართველი რედაქტორი

ნათია ჩიტაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

სარედაქციო კოლეგია:

მაიკლ ცური (მიტჩელ ჰემლინის სამართლის სკოლა, აშშ; ჰეებრეული უნივერსიტეტი იერუსალიმში, ისრაელი)

ტაშა უილისი (ჰიუსტონის უნივერსიტეტი, აშშ)
ქეთრინ გ. ბარნეთი (ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ჯემს ჯ. ალფინი (ემერიტუს დეკანი, ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ელიზაბეთ ა. დენისი (ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

აგატა პრჰილეპა-ლევაკი (მარია კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტი ლუბლინში, პოლონეთი)

ლუკაშ მიროჩა (სამართლისა და ადმინისტრაციის ინსტიტუტი, პომერანიის უნივერსიტეტი სლუპსკში, პოლონეთი)

პშემისლავ კუბიაკი (ლოძის უნივერსიტეტი, პოლონეთი)

ირაკლი ყანდაშვილი (გრეგოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო)

აკაკი განერელია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

ირაკლი ადეიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

გურამ ბარნაბიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

დემეტრე ეგნატაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

ტექნიკური რედაქტორი:

ირაკლი ლეონიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

Editor-in-Chief

Irakli Burduli (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia)

Managing Editor

Natia Chitashvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia)

Editorial Board:

Michael Tsur (Mitchell Hamline School of Law, USA, Hebrew University of Jerusalem, Israel)

Tasha Willis (University of Houston, USA)

Catherine G. Burnett (South Texas College of Law Houston, USA)

James J. Alfini (South Texas College of Law Houston, USA)

Elizabeth A. Dennis (South Texas College of Law Houston, USA)

Agata Przylepa-Lewak (Maria Curie-Skłodowska University in Lublin, Poland)

Łukasz Mirocha (Institute of Law and Administration, Pomeranian University in Stupsk, Poland)

Przemysław Kubiak (University of Lodz, Poland)

Irakli Kandashvili (Grigol Robakhidze University, Georgia)

Akaki Gatserelia (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia)

Irakli Adeishvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia)

Guram Barnabishvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia)

Demetre Egnatashvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia)

Technical Editor:

Irakli Leonidze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)



გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით
Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2026
© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2026

P-ISSN 1987-9199

E-ISSN: 2720-7854

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნანა უზნაძე

მედიაცია სამედიცინო დავებში 7

Nana Uznadze

Mediation in Medical Disputes 24

მარიამ ბეჟიტაშვილი

ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზების მექანიზმები მედიაციაში 38

Mariam Bezhitashvili

The Mechanisms for Realizing the Best Interests of the Child in Mediation 65

ქეთევანი დალბაშვილი

სამედიაციო მორიგების აღსრულების ეროვნული და საერთაშორისო
სამართლებრივი ჩარჩო 87

Ketevani Dalbashvili

Domestic and International Legal Frameworks for the Enforcement
of Mediation Settlement Agreements 118

ნანა უზნაძე*

მედიაცია სამედიცინო დავებში

სამედიცინო დავებში აბსოლუტური უფლებები, როგორებიცაა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, იკვეთება პროფესიულ პასუხისმგებლობასთან, ინსტიტუციურ ანგარიშვალდებულებასა და ჯანდაცვის სისტემების მიმართ საზოგადოების ნდობის საკითხებთან. ჩვეულებრივი სამოქალაქო დავებისგან განსხვავებით, ასეთი კონფლიქტები განსაკუთრებით მგრძობიარე ბუნებისაა, რადგანაც შეეხება მონყვლად პირებს, მათს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, აგრეთვე ხასიათდება ძალაუფლებრივი და ინფორმაციული ასიმეტრიით მხარეებს შორის. მათი მნიშვნელობა სცდება ქონებრივი თუ არაქონებრივი მოთხოვნების გადანყვებას და მოიცავს სამედიცინო მომსახურების ხარისხის, ინსტიტუციური მექანიზმების ადეკვატურობისა და სისტემური გაუმჯობესების საჭიროების საკითხებს, რომელთა სრულფასოვანი განხილვა ტრადიციული სამართალწარმოების ფარგლებში ყოველთვის ვერ ხერხდება.

სამედიცინო დავების სპეციფიკის გათვალისწინებით, მედიაცია შეიძლება იყოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ დავის სამართლიან და ინფორმირებულ გადანყვებას, არამედ პაციენტის ავტონომიის რეალიზებასა და მოთხოვნების ფართო სპექტრის დამუშავებას, ჯანდაცვის პროფესიონალების რეპუტაციისა და პროფესიული ანგარიშვალდებულების შენარჩუნების პარალელურად. ამასთან, მედიაციას აქვს თერაპიული ფუნქცია ურთიერთობების აღდგენის კონტექსტში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შეაფასოს მედიაციის როლი სამედიცინო დავებში, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ჩარჩოები, ეთიკური ასპექტები და პრაქტიკული პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო დავების მედიაცია, სამედიცინო გაუფრთხილებლობა, სამედიცინო დავა, პაციენტის ავტონომია, თერაპიული მართლმსაჯულება.

1. შესავალი

სამედიცინო ურთიერთობების განვითარებას მუდმივად თან სდევს კონფლიქტებიც,¹ ეს შეუქცევადი პროცესია, რამდენადაც რაც უფრო კომპლექსური და მრავალმხრივია ურთიერთობა, მით უფრო მოსალოდნელია შეცდომების ალბათობაც.² სამედიცინო დავების გადანყვება სამართლებრივ და ეთიკურ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ასეთი ტიპის კონფლიქტებისთვის დამახასიათებელია, პაციენტების მიერ სრული რესტიტუციის მოთხოვნა, რასაც ექიმებისა თუ სამედიცინო დაწესებულებებისთვის რეპუტაციული და ფინანსური ზიანი მოჰყვება.³ ასეთი ტიპის დავები,

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მონყეული ლექტორი, კლინიკური კვლევების ორგანიზაციის – შპს „გლობალ ქლინიქალ თრაიალს ჯორჯია“ – დირექტორის მოადგილე.

¹ Lioupi O., Kotsoulas P., Griva K., Billinis C., Tsiamis C., Applications of Medical Mediation: A Systematic Review of Its Role in Healthcare Dispute Resolution and Bioethical Decision-Making, Healthcare, Vol.13, 2025, 3235, 1.

² Sybbilis S., Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol.6, No.3, 2006, 496.

³ Lee D.W.H., Lai P.B.S., The practice of mediation to resolve clinical, bioethical, and medical malpractice disputes, Hong Kong Medical Journal, Vol.21, No.6, 2015, 561.

როგორც წესი, სასამართლო წესით განიხილება, თუმცა მათი განხილვა ხშირად ჭიანჭურდება საქმის ტექნიკურ-პროფესიული სპეციფიკით განპირობებული ექსპერტიზის აუცილებლობის გამო,⁴ დაკავშირებულია ხარჯებთან, ვერ უზრუნველყოფს პაციენტის სათანადო კომპენსაციას და არყვეს პაციენტის ნდობას სამედიცინო პერსონალის მიმართ.⁵ საქართველოს მაგალითიდან გამომდინარე შეინიშნება, რომ „სასამართლოში სამედიცინო დავების მწირი პრაქტიკა მიუთითებს არა სამედიცინო შეცდომების დაბალ პროცენტულ მაჩვენებელზე, არამედ იმაზე, რომ დაზარალებული მხარეები არ მიმართავენ სასამართლოს საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ გარანტიებს მათს დასაცავად.“⁶ აღნიშნული პრობლემა განზოგადებულად, სხვა ქვეყნების მასშტაბითაც თვალსაჩინოა.⁷

აღნიშნულის საპირწონედ, მრავალი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ეყრდნობა მედიაციას, როგორც უთანხმოების ნებაყოფლობით, კონფიდენციალურ სივრცეში გადაწყვეტის მოქნილ პროცესს. მედიაცია საგრძნობლად ამცირებს როგორც ხარჯებს, ისე – დავის გადაწყვეტის ვადებს.⁸ სწორედ ამ მიზეზით დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეს მექანიზმი განსაკუთრებულად მხარდაჭერილია ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ, რამდენადაც მათთვის მედიაცია არის შესაძლებლობა, რომ გაუმკლავდნენ მზარდ სამართლებრივ ხარჯებს.⁹

მედიაციის უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სასამართლო მართლმსაჯულების სტრუქტურული შეზღუდვების გათვალისწინებით. ექიმის პასუხისმგებლობის განსაზღვრისა და მაღალი მტკიცებითი სტანდარტის გადალახვის სირთულე,¹⁰ პროცესის ხანგრძლივობა და მნიშვნელოვანი ემოციური თუ ფინანსური დანახარჯები ართულებს დავის ეფექტიან გადაწყვეტას.¹¹ ამასთან, ტრადიციული სამართალწარმოება ხშირად ვერ ითვალისწინებს პაციენტისა და მისი ოჯახის ემოციურ ინტერესებს¹² და ვერ ჰპასუხობს ისეთ სისტემურ მოთხოვნებს, როგორიცაა, მაგალითად, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.¹³

„სამედიცინო მედიაცია განვითარდა, როგორც თანამშობლობითი, პაციენტზე ორიენტირებული ალტერნატივა, რომელიც იყენებს ნეიტრალურ მესამე პირის ხელშეწყობას რომ წაახალისოს დიალოგი, ურთიერთგაგება და კონსენსუსი.“¹⁴ მედიაციის ფარგლებში შესაძლებელია შეთანხმება ისეთ საკითხებზე, რომლებიც სცდება მხოლოდ ფულად კომპენსაციას (როგორიცაა ბოდიში ან საავადმყოფოს პოლიტიკის გადასინჯვა) და აქცენტი ბრალდებებიდან პრობლემის გადაწყვეტაზე გადატანილი. მედიაცია მოქნილი და მხარეებზე მორგებული პროცესია, რომელიც მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს აკონტროლონ შედეგი და გადაწყვეტის გზები საკუთარ საჭიროებებს მთარ-

⁴ HOPE, Mediation in Healthcare, European Hospital and Healthcare Federation, December 2012, 5.
⁵ Dimitrov K, Miteva-Katrandzhieva T., Mediation in Healthcare: Enhancing Conflict Resolution Between Patients and Physicians Beyond the Courtroom, Cureus 16 (12), 2024, 1, 3.
⁶ უზნაძე ნ., ექიმის უმოქმედობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პრობლემატიკა სამედიცინო სამართალში, სამართლის ჟურნალი, No.1, 2025, 202.
⁷ Sybbilis S., Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol.6, No.3, 2006, 496.
⁸ Kass J. S., Rose R. V., Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs, American Medical Association Journal of Ethics, Vol. 18, No. 3, 2016, 303-304.
⁹ National Arbitration Forum, Mediating and Arbitrating Healthcare Disputes, 2005, 1.
¹⁰ Lee D.W.H., Lai P.B.S., The practice of mediation to resolve clinical, bioethical, and medical malpractice disputes, Hong Kong Medical Journal, Vol.21, No.6, 2015, 562.
¹¹ Dimitrov K, Miteva-Katrandzhieva T., Mediation in Healthcare: Enhancing Conflict Resolution Between Patients and Physicians Beyond the Courtroom, Cureus 16 (12), 2024, 4.
¹² McClay C., Mediation in Medical Treatment: A More Effective Way to Manage Disputes, Catholic University Law Review, Vol.68, No.3, 2019, 535.
¹³ Sybbilis S., Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol.6, No.3, 2006, 496.
¹⁴ Lioupi O., Kostoulas P., Griva K., Billinis C., Tsiamis C., Applications of Medical Mediation: A Systematic Review of Its Role in Healthcare Dispute Resolution and Bioethical Decision-Making, Healthcare, Vol.13, 2025, 3235, 2.

გონ.¹⁵ პროცესის კონფიდენციალური ხასიათი შესაძლებელს ხდის შეიქმნას უსაფრთხო გარემო ექიმებისთვის, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი სინანული გამოხატონ ან ახსნან რა მოხდა არასწორად სამართლებრივი პასუხისმგებლობის შიშის გარეშე,¹⁶ ხოლო პაციენტებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოხატონ საკუთარი შეგრძნებები და პრიორიტეტები.¹⁷ კვლევები აჩვენებს, რომ მედიაციის არაფორმალურ, ემპათიური გარემოს შესწევს უნარი, რომ ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა გადაარჩინოს, განსხვავებით სასამართლო სამართალწარმოების შეჯიბრებითი პროცესისაგან, რომელიც მტრული დამოკიდებულებით და უნდობლობით ხასიათდება.¹⁸

ნაშრომის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს „სამედიცინო დავების“ შინაარსი. აღნიშნული მოიაზრებს მცდარი სამედიცინო ქმედებით, სამედიცინო გაუფრთხილებლობით გამონვეულ დავებს (შეცდომა დიაგნოზში, მკურნალობაში, ინფორმირებული თანხმობის სათანადო ფორმით მიუღებლობაში, სხვ.).¹⁹

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სამედიცინო დავების კონტექსტში მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის ეფექტიანობის შეფასება. ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა იურისდიქციაში არსებული სამართლებრივი ჩარჩო, სამედიცინო დავების მედიაციის პროცესისთვის თანმდევი ეთიკური გამონვევები და პრაქტიკული პერსპექტივა.

2. სამედიცინო დავების მედიაციის ნორმატიული მოდელები

მსოფლიო მასშტაბით სამართლებრივი სისტემები სულ უფრო აქტიურად მიმართავენ მედიაციას კერძოსამართლებრივ დავებში, განსხვავებული მოდელებისა და რეგულირების ფორმების გათვალისწინებით.

2.1. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯანდაცვის სფეროში წარმოშობილი დავების სასამართლო ნესით გადაწყვეტის ხარჯები კოლოსალურ ციფრებთანაა დაკავშირებული.²⁰ სწორედ ამ ფაქტმა ერთგვარად წაახალისა დაწესებულებები, მათი დასაქმებულები და პაციენტები, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმებისათვის მიემართათ.²¹ სამედიცინო მედიაციის, როგორც სტანდარტული პრაქტიკის დამკვიდრება აშშ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება, როდესაც ასპარეზზე გამოჩნდა „ბიოეთიკის მედიაციის“ მოდელი, რომელმაც მიზნად დაისახა ნეიტრალური მესამე პირის მონაწილეობით კომპლექსური სამედიცინო დავების გადაწყვეტა.²²

ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიაცია სამედიცინო დავების გადაწყვეტის პროცესის განუყოფელი, მაგრამ ძირითადად ნებაყოფლობითი ნაწილია. არც ერთი ფედერალური კანონი არ ითვალისწინებს სავალდებულო მედიაციას სამედიცინო დავებზე, თუმცა 27 შტატში ფედერალურ დონეზე არის რეგლამენტირებული სამედიცინო დავებზე მედიაციის ან არბიტრაჟის გამოყენება.²³ მო-

¹⁵ *Dimitrov K, Miteva-Katrandzhieva T., Mediation in Healthcare: Enhancing Conflict Resolution Between Patients and Physicians Beyond the Courtroom, Cureus 16 (12), 2024, 1.*

¹⁶ *Sybbilis S., Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol.6, No.3, 2006, 498.*

¹⁷ *Tepler A., The Case for Using ADR In Medical Malpractice Disputes, New York University Annual Survey of American Law (forum), 2020, 10.*

¹⁸ *იქვე.*

¹⁹ *Kass J. S., Rose R. V., Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs, American Medical Association Journal of Ethics, Vol. 18, No. 3, 2016, 300.*

²⁰ *National Arbitration Forum, Mediating and Arbitrating Healthcare Disputes, 2005, 1.*

²¹ *Sybbilis S., Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol.6, No.3, 2006, 503.*

²² *Lioupi O., Kostoulas P., Griva K., Billinis C., Tsiamis C., Applications of Medical Mediation: A Systematic Review of Its Role in Healthcare Dispute Resolution and Bioethical Decision-Making, Healthcare, Vol.13, 2025, 3235, 2.*

²³ *Morton H., Summary Medical Liability/Malpractice ADR and Screening Panels Statutes, National Conference of State Legislatures, 2021, ხელმისაწვდომია: <<https://www.ncsl.org/financial-services/medical-liability-malpractice-adr-and-screening-panels-statutes>> [22.02.2026].*

სამართლები უფლებამოსილი არიან გადასცენ საქმე მედიაციას, განტვირთონ სასამართლო დავებისგან და ხელი შეუწყონ მორიგებას. პრაქტიკაში მხარეები, როგორც წესი, მედიაციას მიმართავენ სარჩელის სასამართლოში შეტანის შემდეგ, მაგრამ საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე, ხშირად სასამართლოს რეკომენდაციით ან თავად მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.²⁴

აშშ-ის 17 იურისდიქციაში მედიაციის გარდა მოქმედებს წინასასამართლო სკრინინგის პანელის სისტემა, რომელიც ექსპერტებისგან არის დაკომპლექტებული და სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებული სარჩელების შეფასებას ემსახურება.²⁵ აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის კიდევ ერთ ფორმას, რომლის მიზანია სარჩელების გაფილტვრა და მორიგების მიღწევის ხელშეწყობა.

სამედიცინო დაწესებულებების სისტემების ფარგლებში ასევე შეინიშნება ინოვაციური მიდგომები, რომლებიც მიზნად ისახავს მედიაციის ინტეგრირებას სამედიცინო შეცდომებთან დაკავშირებული საჩივრების მართვის პროცესში. მაგალითად, ზოგიერთმა სამედიცინო დაწესებულებამ განავითარა კომუნიკაციისა და [დავის] გადაწყვეტის პროგრამები (CRP), რომლებიც წახალისებენ პაციენტებსა და მათს ოჯახს ნევრებთან ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციას.²⁶ მართალია, ასეთი პროგრამები მედიაციას მკაცრი პროცედურული გაგებით არ წარმოადგენენ, თუმცა ისინი ნათლად ასახავენ ჯანდაცვის სისტემის პოლიტიკურ-კონცეპტუალურ გადახრას შეთანხმებაზე, დიალოგსა და კონსენსუსზე ორიენტირებული გადაწყვეტისაკენ, რაც მედიაციის პათოსს სრულად შეესაბამება. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ინტერესებზე დაფუძნებული მსგავსი მიდგომები ერთდროულად უწყობს ხელს პაციენტების დაკმაყოფილებას და ამცირებს კლინიკოსთა მხრიდან თავდაცვით სამედიცინო პრაქტიკებს.²⁷

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მრავალი დაზღვევის კომპანია მედიაციას რეგულარულად იყენებს, როგორც საჩივრების განხილვის ერთ-ერთ ეტაპს. სადაზღვევო კომპანიები ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებენ მედიაციის შესახებ დათქმულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში.²⁸

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ აშშ-ს სამართლებრივი ჩარჩო ხელს უწყობს მედიაციას სამედიცინო დავებში სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაციით, სასამართლოს წესებითა და ინსტიტუციური პრაქტიკით, ისე, რომ სავალდებულოობის კომპონენტი არ შემოაქვს. შედეგად, სამედიცინო დავების უმრავლესობა სასამართლოს მიღმა წყდება, თუმცა მედიაციის შედეგობრივი ეფექტიანობა თვალსაჩინოა ჩატარებული სხვადასხვა კვლევის მონაცემებიდან გამომდინარე. მაგალითად, ფლორიდის უნივერსიტეტის ჯანდაცვის სისტემის 13-წლიანმა ანალიზმა აჩვენა, რომ მედიაციის პროგრამის მორიგების მაჩვენებელმა 74.4% შეადგინა.²⁹

2.2. გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოც მსგავსად ეყრდნობა მედიაციას სამედიცინო დავების გადაწყვეტისას, თუმცა განსხვავებულია სამართლებრივი კულტურა და მისი ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურა. ინგლისსა და უელსში სამედიცინო გაუფრთხილებლობის დავები განიხილება სასამართლოში, თუმცა სასამართლოები წახალისებენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების გამოყენებას სამოქალაქო საპროცესო წესებისა და სამედიცინო დავების გადაწყვეტის წინასწარი მოქმედე-

²⁴ National Arbitration Forum, *Mediating and Arbitrating Healthcare Disputes*, 2005, 2.

²⁵ *Morton H.*, *Summary Medical Liability/Malpractice ADR and Screening Panels Statutes*, National Conference of State Legislatures, 2021, ხელმისაწვდომია: <<https://www.ncsl.org/financial-services/medical-liability-malpractice-adr-and-screening-panels-statutes>> [22.02.2026].

²⁶ *Kass J. S., Rose R. V.*, *Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs*, *American Medical Association Journal of Ethics*, Vol. 18, No. 3, 2016, 303.

²⁷ *Tepler A.*, *The Case for Using ADR In Medical Malpractice Disputes*, *New York University Annual Survey of American Law (forum)*, 2020, 7.

²⁸ National Arbitration Forum, *Mediating and Arbitrating Healthcare Disputes*, 2005, 1-2.

²⁹ *Johnson S.W.*, *Mediation as an Alternative Dispute Resolution Tool in Healthcare Malpractice*, *International Journal of Novel Research in Healthcare and Nursing*, Vol.11, No.1, 2024, 270.

ბის პროტოკოლის მიხედვით, რომელიც მკაფიოდ მიუთითებს მხარეებს რომ გაითვალისწინონ მედიაცია ადრეულ ეტაპზე. ასეთი პროტოკოლების შემოღება 2000-იანი წლებიდან დაიწყო, მაგალითად გაერთიანებულ სამეფოში შემუშავდა პროტოკოლი პედიატრიული მკურნალობიდან გამომდინარე დავებისთვის.³⁰ არ არსებობს სავალდებულო მედიაციის წესი, თუმცა მედიაციასთან მიმართებით საკვანძო საქმე იყო *Halsey v. Milton Keynes General NHS Trust*, რომელზეც სასამართლომ იმსჯელა, რომ მედიაციის იძულება დაარღვევდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას, თუმცა იმავდროულად სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ არაგონიერული უარი მედიაციაზე შეიძლება სანქციის მიზეზი გახდეს მაშინაც კი, თუ სამართალწარმოება უარის მთქმელი მხარის სასარგებლოდ დასრულდება.³¹ ამ პრეცედენტით ინგლისურმა სამართლებრივმა სისტემამ მედიაციის სასარგებლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და მხარეები წახალისა, რომ დავის გადანაცვების ალტერნატიულ მექანიზმს კეთილსინდისიერად მოპყრობოდნენ.

სასამართლოებს მიღმა, ეროვნული ჯანდაცვის სერვისმა (NHS) პროაქტიური ნაბიჯები გადადგა სამედიცინო დავების მართვის თვალსაზრისით მედიაციის ინტეგრირებისთვის.³² ეროვნული ჯანდაცვის სერვისმა განავითარა ცენტრალიზებული მექანიზმები მორიგების ხელშესაწყობად. საგულისხმოა, რომ 2014 წელს NHS-ს სამართალწარმოების უწყებამ საფუძველი ჩაუყარა მედიაციის სერვისს წარმატებული საპილოტე პროგრამით, რომლის ფარგლებშიც, ქეისებზე, რომლებზეც მედიაცია იყო შეთავაზებული, 81% მორიგებით დასრულდა.³³ ამ წარმატებული პროექტის შემდეგ მედიაციამ მუდმივი ხასიათი შეიძინა, რის შედეგადაც NHS-მ დაიკონტრაქტა სპეციალისტი მედიაციის მიმწოდებლები, რომ ემართათ სამედიცინო გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებული შემთხვევები NHS-ის წინააღმდეგ.³⁴ ინგლისური გამოცდილება ცხადყოფს, რომ ფორმალური მანდატის გარეშეც კი, ინსტიტუციური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მედიაციას. ცალკე აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელთათვის არანაკლები მნიშვნელობის მქონე მედიაციის გამოყენება, შესაბამისად ისინი თანდათან ცდილობენ შექმნან დავების ალტერნატიული გზით გადანაცვების პოლიტიკა, ჰყავდეთ შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი და გაითვალისწინონ მედიაცია ხელშეკრულებებში.³⁵

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ გაერთიანებული სამეფო ითვალისწინებს მედიაციის ნებაყოფლობით მოდელს. სამართლებრივი სისტემა ხელს უწყობს კლინიკური გაუფრთხილებლობის საქმეებზე მედიაციის გამოყენებას როგორც წახალისების, ისე – სანქციონების მექანიზმებით. NHS-ის სტრუქტურირებული მოდელი ცხადყოფს როგორ შეუძლია მსხვილ ჯანდაცვის ორგანიზაციას მედიაცია გახადოს სამედიცინო დავების განუყოფელი ნაწილი, რომლის მიზანიცაა სამართალწარმოების ხარჯების შემცირება და პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალის ურთიერთობის განკურნება.

³⁰ Lioupi O., Kostoulas P., Griva K., Billinis C., Tsiamis C., Applications of Medical Mediation: A Systematic Review of Its Role in Healthcare Dispute Resolution and Bioethical Decision-Making, *Healthcare*, Vol.13, 2025, 3235, 2.

³¹ *Halsey v Milton Keynes General NHS Trust* [2004] EWCA Civ 576.

³² ეროვნული ჯანდაცვის სერვისი საჯაროდ დაფინანსებული ჯანდაცვის სისტემა ინგლისში და ერთერთია ოთხი ეროვნული ჯანდაცვის სერვისის სისტემიდან გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც ფინანსდება სახელმწიფოსგან გადასახადების და ეროვნული დაზღვევის შენატანებით და NHS უზრუნველყოფს ჯანდაცვას გაერთიანებული სამეფოს ყველა რეზიდენტისთვის, რომლის სერვისების უმეტესობაც უფასოა. იხ., *The NHS Constitution for England*, განახლებული 2023 წლის 17 აგვისტოს, ხელმისაწვდომია: <<https://www.gov.uk/government/publications/the-nhs-constitution-for-england/the-nhs-constitution-for-england>> [22.02.2026].

³³ *National Health Service Resolution, Mediation in Healthcare Claims – an Evaluation*, NHS Resolution, February 2020, 5. ხელმისაწვდომია: <<https://resolution.nhs.uk/wp-content/uploads/2020/02/NHS-Resolution-Mediation-in-healthcare-claims-an-evaluation.pdf#:~:text=launched%20a%20pilot%20to%20test,came%20to%20an%20end%20on>> [22.02.2026].

³⁴ იქვე.

³⁵ *National Arbitration Forum, Mediating and Arbitrating Healthcare Disputes*, 2005, 10-11.

2.3. ევროპა

ევროპის ქვეყნებში მედიაციის განვითარებაზე სამედიცინო დავებში ზეგავლენა იქონია როგორც საშინაო რეფორმამ, ისე – საერთაშორისო მექანიზმებმა, როგორებიცაა ევროკავშირის დირექტივა მედიაციის შესახებ.³⁶ დირექტივა მოითხოვდა წევრი ქვეყნებისაგან მედიაციის ხელშეწყობას სამედიცინო მორიგების აღსრულების უზრუნველსაყოფად. ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ შესაბამისად მიიღო კანონები მედიაციის ხელშეწყობად და აღნიშნული გავრცელდა სამედიცინო დავებზეც. საკანონმდებლო მოწესრიგების თვალსაზრისით არსებობს მრავალფეროვნება: რიგ ქვეყნებში, მათ შორის ბელგიაში, საფრანგეთში, უნგრეთში, ლუქსემბურგსა და სლოვენიაში, სამედიცინო დავების მედიაცია სამედიცინო ურთიერთობების მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობით არის რეგულირებული.³⁷

იტალიაში 2010 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ბრძანებამ მედიაცია განსაზღვრა, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობა გარკვეული სამოქალაქო დავებისთვის, მათ შორის სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებული საქმეებისთვის.³⁸ აღნიშნული სავალდებულო მედიაციის მოდელი არაკონსტიტუციურად შეფასდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რის გამოც 2013 წელს ბრძანებაში შეტანილი ცვლილებით სავალდებულო მედიაციის მოდელი უფრო შერბილდა და მხარეებს დაუწესდათ ვალდებულება, რომ სულ მცირე ერთ საინფორმაციო (გაცნობით) შეხვედრას მაინც დასწრებოდნენ.³⁹ ამდენად, არსებული რეგულირებით კანონით განსაზღვრული კატეგორიის (მათ შორის, სამედიცინო) დავებში მხარეები ვალდებული არიან დაესწრონ სანყის სამედიცინო სესიას სერტიფიცირებული მედიატორის მონაწილეობით, რის შემდეგაც მათ უფლება აქვთ გადაწყვიტონ, გააგრძელონ მედიაცია, თუ გადაინაცვლონ სასამართლო განხილვაზე.⁴⁰ მოსამართლეებს ასევე აქვთ უფლებამოსილება, რომ მიმდინარე საქმე გადასცენ მედიაციას.

საფრანგეთში 2002 წლის 4 მარტის პაციენტის უფლებების აქტით დაინერგა ბრალის გარეშე კომპენსაციის სქემა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაზარალებულ პაციენტებს, რომ კომპენსაცია მოითხოვონ ტრადიციული ბრალზე დაფუძნებული სამართალწარმოების მიღმა.⁴¹ მსგავსად, სკანდინავიის ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, შვედეთი, ბრალის გარეშე პაციენტის დაზღვევის სისტემები მოქმედებს 1975 წლის შემდეგ, რომლებიც ითვალისწინებენ სამედიცინო ზიანის კომპენსაციას გაუფრთხილებლობის მტკიცების გარეშე.⁴² მსგავსი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სისტემები ფაქტობრივად გამოირიცხავს მედიაციისა და სასამართლო დავის საჭიროებას, თუმცა აღნიშნული ბრალის გარეშე კომპენსაციის სქემები მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებზე ვრცელდება.

ესპანეთში მედიაცია მოწესრიგებულია სამოქალაქო და კომერციულ საკითხებზე მედიაციის შესახებ კანონით და სხვა დამატებითი დებულებებით, სამომავლოდ კი ისეთი ტენდენცია შეი-

³⁶ Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters [2008] OJ L 136/3.

³⁷ HOPE, Mediation in Healthcare, European Hospital and Healthcare Federation, December 2012, 10.

³⁸ Antich F., The Italian Model of Mediation: An Update, International Bar Association, 2021, ხელმისაწვდომია: <<https://www.ibanet.org/the-italian-model-of-mediation-an-update#:~:text=drew%20the%20most%20attention%C2%A0by%20far,wills%20and%20testaments%2C%20and%20others>> [22.02.2026].

³⁹ Indovina V., When Mandatory Mediation Meets the Adversarial Legal Culture of Lawyers: An Empirical Study in Italy, Harvard Negotiation Law Review, Vol.26, 2020, 70-71, 76.

⁴⁰ Antich F., The Italian Model of Mediation: An Update, International Bar Association, 2021, ხელმისაწვდომია: <<https://www.ibanet.org/the-italian-model-of-mediation-an-update#:~:text=drew%20the%20most%20attention%C2%A0by%20far,wills%20and%20testaments%2C%20and%20others>> [22.02.2026].

⁴¹ Barbot J., Parizot I., Winance M., No-fault Compensation for Victims of Medical Injuries. Ten years of Implementing the French model, Health Policy, Vol. 114 (2–3), 2014, 236.

⁴² Johansson H., The Swedish system for compensation of patient injuries, Upsala Journal of Medical Sciences, Vol. 115, No. 2, 2010, 88.

ნიშნება, რომ შესაძლოა მედიაცია სასამართლო პროცესამდე სავალდებულო წინაპირობად დაინერგოს.⁴³

საერთო ჯამში, ევროპის გამოცდილებიდან გამომდინარე თვალსაჩინოა მედიაციის ხელშეწყობის პრაქტიკა, აღნიშნული კი ხორციელდება როგორც სავალდებულო, ისე – ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელების ფარგლებში.

2.4. საქართველო

დღეის მდგომარეობით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მედიაციას სასამართლოს მიერ შეიძლება გადაეცეს ნებისმიერი დავა მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, რაც, მათ შორის, სამედიცინო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებსაც მოიაზრებს.⁴⁴ მხარეები ასევე თავისუფლები არიან საკუთარი ინიციატივით, შეთანხმების საფუძველზე მიმართონ კერძო მედიაციას.⁴⁵

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მედიაციის განვითარების ადრეულ ეტაპებზე, მაშინ, როდესაც მედიაციის ინსტიტუტი პირველად განმტკიცდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში,⁴⁶ ხოლო „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ჯერ არ მოქმედებდა, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იქნა სამედიცინო მედიაციის შესახებ დებულებები.⁴⁷ შეიქმნა სამედიცინო მედიაციის სამსახური, რომლის კომპეტენციასაც დაექვემდებარა 2012 წლის 1-ლი მარტის შემდგომ⁴⁸ წარმოშობილი დავები პაციენტსა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის, სადაზღვევო ორგანიზაციასა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის, ასევე პაციენტსა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდებოდა სახელმწიფო / ადგილობრივი/ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების/ჯანმრთელობის დაზღვევის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში.⁴⁹

სახელწოდების მიუხედავად, სამედიცინო მედიაციის სამსახურის მიერ წარმართული მედიაციის პროცესი განსხვავდებოდა კლასიკური მედიაციისგან. პირველ რიგში, განსაზღვრული იყო კონკრეტული სუბიექტები (პაციენტი, სადაზღვევო კომპანია ან/და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი), რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ პროცესის მონაწილეები.⁵⁰ ამასთან მხარეების ნაცვლად აღნიშნულ დავებზე გადაწყვეტილებას ან რეკომენდაციას იღებდა სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახური“, კერძოდ, მხარეებს შორის „სამედიცინო მედიაციის სამსახურის“ მიერ დავის განხილვის თაობაზე ხელშეკრულების ან დამოუკიდებელი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ატარებდა სავალდებულო ძალას,⁵¹ ხოლო ასეთი შე-

⁴³ *Munuera Gómez P., Armadans Tremolosa I., Health mediation as an alternative means of conflict resolution in the practice of medicine in turbulent times: An update, Medicina Clínica, Vol.162, 2024, 29.*

⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, 187³-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁴⁵ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, ვებგვერდი, 27/09/2019, მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

⁴⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“, ვებგვერდი, 111228090, 28/12/2011, მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი.

⁴⁷ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, 2011 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით, მე-16¹ მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁸ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო მედიაციის სამსახურის უფროსის 2013 წლის 5 თებერვლის №10-20 ბრძანება „სამედიცინო მედიაციის პროცესის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁹ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, 2011 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით, მე-16¹ მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁰ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო მედიაციის სამსახურის უფროსის 2013 წლის 5 თებერვლის №10-20 ბრძანება „სამედიცინო მედიაციის პროცესის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

⁵¹ იქვე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

თანხმების არარსებობისას სამსახური იღებდა რეკომენდაციას, რომელიც შესასრულებლად ნებაყოფლობითი ხასიათის იყო და მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავის არსებითი განხილვა გადაინაცვლებდა სასამართლოში.⁵²

როგორც საკანონმდებლო აქტის განმარტებით ბარათში აღინიშნა, ამ ინიციატივის აქტუალობა განაპირობა პაციენტს, სამედიცინო დაწესებულებასა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების საჭიროებამ, რამდენადაც „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა სადაზღვევო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარებისათვის სამედიცინო სერვისები ფინანსდებოდა სადაზღვევო ვაუჩერის მეშვეობით“⁵³ ხოლო კანონპროექტის მიზნად დასახელდა „სამედიცინო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და კომპეტენციების მკაფიო განსაზღვრა, [...] ასევე, სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციების ინსტიტუციონალიზაცია.“⁵⁴

სამედიცინო მედიაციის სამსახურმა მხოლოდ 2015 წლამდე იფუნქციონირა, რამდენადაც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედებამ გამოიწვია მისი საჭიროება და მისი ფუნქციები პაციენტისა და სამედიცინო დაწესებულების კომუნიკაციის ნაწილში სოციალური მომსახურების სააგენტომ შეითავსა, ხოლო პაციენტისა და სადაზღვევო ორგანიზაციის ურთიერთობა დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების რეგულირებას დაექვემდებარა.⁵⁵

3. სამედიცინო დავების მედიაციის ეთიკური ასპექტები

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში წარმოშობილი დავების მედიაცია განსხვავებულ ეთიკურ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და პროფესიული პასუხისმგებლობის სენსიტიური კონტექსტის გათვალისწინებით.⁵⁶ ასეთ შემთხვევებში რისკის ქვეშაა არა მხოლოდ სამართლებრივი უფლებები, არამედ მორალური ვალდებულებები – როგორებიცაა ექიმის გულწრფელობის ვალდებულება და პაციენტის მისწრაფება ინფორმირებულობისა და ანგარიშვალდებულების მიმართ.

3.1. პაციენტის ავტონომია

ერთ-ერთი ეთიკური უპირატესობა, რაც მედიაციას ახლავს თან, პაციენტებისთვის ექიმებთან პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობის მინიჭებაა.⁵⁷ სასამართლოში პაციენტები, როგორც მოსარჩელები შეზღუდულნი არიან სამართლებრივი პროცედურით და იურისტების სტრატეგიული გადაწყვეტილებებით, პაციენტების ისტორია კი ტექნიკურ მტკიცებულებებამდეა დაყვანილი. საპირწონედ, მედიაცია არის სივრცე, სადაც შეიძლება ბოდიშის მოხდა და ახსნა-განმარტება, მოსარჩელეთა ემოციური და ინფორმაციული საჭიროებების დაკმაყოფილება.⁵⁸ მედიაციის შემთხვევაში, ინფორმირებული თანხმობის პრინციპი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანი კომპონენტია ნე-

⁵² იქვე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁵³ განმარტებითი ბარათი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განონპროექტზე, პუნქტი „ა.ა“. ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/59584>> [22.02.2026].

⁵⁴ განმარტებითი ბარათი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, პუნქტი „ა.ბ.“ ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/37654>>

⁵⁵ განმარტებითი ბარათი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განონპროექტზე, პუნქტი „ა.ა“. ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/59584>> [22.02.2026].

⁵⁶ Lindsey J., Doyle M., Wazyńska-Finck K., Navigating Conflict: The Role of Mediation in Healthcare disputes, Clinical Ethics, Vol.19, No.1, 2024, 26.

⁵⁷ Tepler A., The Case for Using ADR In Medical Malpractice Disputes, New York University Annual Survey of American Law (forum), 2020, 7.

⁵⁸ HOPE, Mediation in Healthcare, European Hospital and Healthcare Federation, December 2012, 6.

ბისმიერი სამედიცინო ურთიერთობისთვის, უზენაეს ღირებულებამდეა აყვანილი, ვინაიდან ურთიერთობის შინაარსისა თუ კლასიფიკაციის მიღმა, მედიაცია ორიენტირებულია, რომ მონაწილე სუბიექტმა ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს.⁵⁹ ინფორმირება, თვითგამორკვევა, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება, პროცესის შედეგების კონტროლის შესაძლებლობა – ეს ის ელემენტებია, რომლებიც პაციენტის ავტონომიის უზრუნველყოფას განაპირობებს მედიაციის პროცესში. „ავტონომიური გადაწყვეტილება ასახავს მხარისათვის პრიორიტეტულ და უპირატეს ღირებულებებს და ამდენად მხარის პიროვნულობისა და თვითიდენტობის გამომხატველი ანაბეჭდია. სწორედ თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის პრინციპის ფართო მოქმედების გამო მედიაციას ხშირად ადამიანთა მართლმსაჯულებად მოიხსენიებენ.“⁶⁰

ეთიკური მედიაციის პრაქტიკა მოითხოვს, რომ პაციენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოარკვიონ საკუთარი ინტერესები. ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტების პირველადი მიზანი არა კომპენსაციის მიღება, არამედ პასუხისმგებლობის აღიარება და იმის უზრუნველყოფაა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება.⁶¹ მედიაციის არაფორმალური სივრცე კარგად შეესატყვისება ასეთი ტიპის მოთხოვნებს. აღნიშნული შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულება ჯანდაცვის სექტორში, რომელიც ორიენტირებულია ურთიერთობების შენარჩუნებასა და სამომავლო ზიანის თავიდან აცილებაზე.⁶²

3.2. სამართლიანობა და ძალთა დისბალანსი

ერთ-ერთი ეთიკური საკითხია სამართლიანია თუ არა მედიაცია მონყვლადი მხარეების, განსაკუთრებით პაციენტების მიმართ, რომლებიც შეიძლება იყვნენ ტრავმირებულნი, იმყოფებოდნენ ინფორმაციულ ვაკუუმში ან ფინანსურად შეჭირვებულ მდგომარეობაში.⁶³ საინტერესოა, უზრუნველყოფს თუ არა მედიაცია სამართლიან შედეგებს სამედიცინო დავებში, ან რა არის სამართლიანობის შეფასების კრიტერიუმი?

მედიაციამ შესაძლოა გამოიწვიოს პაციენტის არასაკმარისად კომპენსირება (როდესაც პაციენტი თანხმდებიან იმაზე ნაკლებზე, ვიდრე სასამართლოში სრული გამარჯვების შემთხვევაში მიიღებდნენ) ან არათანმიმდევრული შედეგები, რაც უფრო მეტად მოლაპარაკების უნარებზეა დამოკიდებული, ვიდრე საქმის ობიექტურ არსზე. მეორე მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტატისტიკურად სამედიცინო დავებში მოსარჩელეთა უმრავლესობა სასამართლოში მარცხდება და საერთოდ ვერ იღებს კომპენსაციას.⁶⁴ მედიაცია ასევე იძლევა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას. მაგალითად, მძიმე მდგომარეობაში მყოფ პაციენტს შესაძლოა პრიორიტეტად ესახებოდეს სწრაფი ანაზღაურება, მაშინ როდესაც სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით და ვერ რეაგირებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე. აქ იკვეთება ავტონომიის ელემენტი სამართლიანობაში: მედიაცია მხარეებს აძლევს შესაძლებლობას თავად განსაზღვრონ, რას მიიჩნევენ სამართლიან შედეგად, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდუალური სამართლიანობის განხორციელებად, თუნდაც იგი ფორმალური სამართლის ნორმებისგან გადახრილი იყოს.⁶⁵

⁵⁹ ჩიტაშვილი ნ., ბიჭია მ., ბარნაბიშვილი გ., განერელია აკ., ეგნატაშვილი დ., ყანდაშვილი ი. (რედ.), მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2024, 156.

⁶⁰ ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის საფუძვლები, თბილისი, 2024, 173 – 174.

⁶¹ Tepler A., The Case for Using ADR In Medical Malpractice Disputes, New York University Annual Survey of American Law (forum), 2020, 11.

⁶² Sybbilis S., Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol.6, No.3, 2006, 496.

⁶³ Johnson S.W., Mediation as an Alternative Dispute Resolution Tool in Healthcare Malpractice, International Journal of Novel Research in Healthcare and Nursing, Vol.11, No.1, 2024, 272.

⁶⁴ Kass J. S., Rose R. V., Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs, American Medical Association Journal of Ethics, Vol. 18, No. 3, 2016, 300.

⁶⁵ ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის საფუძვლები, თბილისი, 2024, 331.

სამედიცინო დავებში პაციენტები უპირისპირდებიან ისეთ დანესებულებებს, რომელთაც უფრო დიდი რესურსი და გამოცდილება აქვს. არსებობს რისკი, რომ ასეთი ძალთა დისბალანსი გაღრმავდება მედიაციაში, რომელსაც სასამართლოს მსგავსი ფორმალური დაცვის მექანიზმები არ აქვს. ასეთ შემთხვევაში მედიატორის ეთიკური ვალდებულებაა გაანეიტრალოს პროცესი შესაბამისი სამედიცინო ტექნიკების გამოყენებით.⁶⁶ პაციენტები არ უნდა იყვნენ წნეხქვეშ რომ არასამართლიან შეთანხმებას დასთანხმდნენ დახურულ კარს მიღმა. სამართლიანობის უზრუნველყოფა და ძალთა უთანასწორობის დაბალანსება მედიატორისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ვალდებულებაა მედიაციის პროცესში, რომლის შესრულებაც უნდა უზრუნველყოს პროცესის ყველა მონაწილისთვის თანაბარი დროის დათმობით, წარმომადგენლებთან კონსულტაციის ნახალისებით, ტექნიკური სამედიცინო ტერმინოლოგიის გამორიცხვით და სხვა მექანიზმებით.⁶⁷

ხშირ შემთხვევაში პაციენტებს მედიაციაში ჰყავთ წარმომადგენელი იურისტის სახით, რომელთა ვალია მხარეთა სათანადო სამართლებრივი მხარდაჭერა და ინფორმაციული დისბალანსის აღმოფხვრა, თუმცა ეთიკური სამედიცინო პრაქტიკა მოითხოვს, რომ მედიატორი იყოს ძალთა დინამიკის მთავარი მაკონტროლებელი. მედიატორს უფლებამოსილებათა არსენალში აქვს ისეთი ტექნიკები, როგორებიცაა კერძო შეხვედრების ფორმატის გამოყენება, გადაწყვეტილების მიმღები ყველა პირის მონაწილეობა, იურიდიული კონსულტაციის მიღების შესახებ რეკომენდაცია, რეალობის ტესტის ჩატარება და სხვა, რითაც შეუძლია დააბალანსოს პროცესი.⁶⁸

3.3. კონფიდენციალურობა გამჭვირვალობის პირისპირ

სამედიცინო დავების მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის სტანდარტი ეთიკური თვალსაზრისით ამბივალენტურ ფუნქციას ასრულებს. ერთი მხრივ, ის ხელს უწყობს გულწრფელობას და ღიაობას, პაციენტს ნახალისებს, რომ გამოხატოს შეგრძნებები შიშის გარეშე, ექიმს კი შესაძლებლობას აძლევს, რომ აღიაროს შეცდომა.⁶⁹ მედიაციის კონფიდენციალური ხასიათი უზრუნველყოფს რეპუტაციის შენარჩუნებას⁷⁰ და მნიშვნელოვანი მოტივატორია მხარეებისა და განსაკუთრებით ჯანდაცვის პროფესიონალებათვის, ისაუბრონ ღიად და გახსნილად.⁷¹ მეორე მხრივ, როდესაც სამედიცინო შეცდომა სერიოზულია, ამ ფაქტის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფამ შეიძლება დააზიანოს საჯარო ინტერესი სამედიცინო დანესებულებების ანგარიშვალდებულებისა და სამედიცინო ზრუნვის უსაფრთხოების თვალსაზრისით.⁷² ამ მხრივ, მედიაციის ნაკლოვანება ისაა, რომ არ არსებობს პრევენდენტის შექმნის შესაძლებლობა⁷³ და ერთი და იმავე ტიპის დავები შესაძლოა მუდმივად განმეორდეს.⁷⁴ მაგალითად, ექიმის შესახებ, რომელიც გამუდმებით სჩადის სამედიცინო შეცდომებს და ყველა პოტენციურ დავას მედიაციის მეშვეობით აგვარებს, ფართო საზოგადოება ვერ იქნება ინფორმირებული. მაშინ, როდესაც საჯარო სასამართლო პროცესმა შესაძლოა გამოავლინოს მისი არაკომპეტენტურობა ან დააჩქაროს სისტემური რეფორმა, მედიაციის ფარგლებში მორიგებისას აღნიშნული ფაქტი დაფარული რჩება. ეთიკურად ეს წარმოშობს გამონ-

⁶⁶ *McClay C.*, Mediation in Medical Treatment: A More Effective Way to Manage Disputes, *Catholic University Law Review*, Vol.68, No.3, 2019, 546.

⁶⁷ *Lindsey J., Doyle M., Wazynska-Finck K.*, Navigating Conflict: The Role of Mediation in Healthcare disputes, *Clinical Ethics*, Vol.19, No.1, 2024, 31.

⁶⁸ *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის საფუძვლები, *თბილისი*, 2024, 279 – 294.

⁶⁹ *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება (პრაქტიკული სახელმძღვანელო), *თბილისი*, 2022, 87.

⁷⁰ *Johnson S.W.*, Mediation as an Alternative Dispute Resolution Tool in Healthcare Malpractice, *International Journal of Novel Research in Healthcare and Nursing*, Vol.11, No.1, 2024, 272.

⁷¹ *Sybbilis S.*, Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol.6, No.3, 2006, 505.

⁷² იქვე, 506.

⁷³ *Jigajinni M., Joseph C.*, Exploring Mediation Techniques for Resolving Private Healthcare Issues: An Overview, *International Journal of Creative Research Thoughts*, Vol.12, No.4, 2024, 305.

⁷⁴ *Sybbilis S.*, Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol.6, No.3, 2006, 506.

ვევას სამართლიანობისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით. საზოგადოებას აქვს ინტერესი ჯანდაცვის სექტორში მოსალოდნელი საფრთხეების მიმართ. მედიაციის კონფიდენციალურმა ხასიათმა, რომელიც შესაძლოა დადებითად ზემოქმედებდეს ინდივიდუალური საქმეების გადაწყვეტაზე, შესაძლოა უნებურად გამორიცხოს სამედიცინო დანესებულებების ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე.

აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ მედიაციას შეუძლია კონფიდენციალურობის დაბალანსება ანგარიშვალდებულების მექანიზმებით. სამედიცინო მორიგების ფარგლებში შეიძლება გათვალისწინებული იქნას სამედიცინო დანესებულების ვალდებულება, რომ უზრუნველყოფს სისტემურ რეფორმას, პოლიტიკისა და პროტოკოლის ცვლილებას, რომელიც სამომავლოდ დააზღვევს პოტენციურ რისკებს.

3.4. მედიატორის ეთიკური ვალდებულებანი სამედიცინო დავების მედიაციის პროცესში

მედიატორებისთვის მედიაციის პროცესში მოქმედებს ეთიკური სტანდარტების სპეციალური სისტემა, რომელიც, როგორც წესი, პროფესიული ქცევის კოდექსებშია რეგლამენტირებული. სამედიცინო დავების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს კომპეტენციის, მიუკერძოებლობის, თანაბარი პროცედურული შესაძლებლობებით უზრუნველყოფის, თვითგამორკვევისა და კონფიდენციალურობის ეთიკურ ვალდებულებებზე.

მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა მედიატორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური ვალდებულებაა მედიაციის პროცესის მართვის ნაწილში, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ამ სპეციფიკის დავებისთვის დამახასიათებელია ერთი სუსტი მხარის, პაციენტის არსებობა, რომელსაც არ აქვს შესაბამისი პროფესიული ცოდნა, რომ სათანადოდ დაიცვას თავი. ამასთან, მხარეთა თვითგამორკვევის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია თავად მედიატორს ჰქონდეს საკმარისი კომპეტენცია სამედიცინო საკითხების შესახებ, რათა შეძლოს დავის არსის გააზრება და სწორი შეკითხვების ფორმულირება, რაც სპეციალიზებული მომზადების საჭიროებასა და კომპეტენციის ეთიკურ ვალდებულებაზე მიუთითებს. აღნიშნული გულისხმობს როგორც პროცესუალურ, ისე – დარგობრივ კომპეტენციას.⁷⁵

ეთიკური თვალსაზრისით, მედიატორს ეკრძალება რჩევის მიცემა, რადგან ეს შეიძლება ნეიტრალობის ვალდებულების დარღვევად იქცეს. ამავე დროს, იგი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მხარეებს ჰქონდეთ ნდომა იმ ინფორმაციაზე ან ექსპერტულ შეფასებაზე, რომელიც აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. ნეიტრალობა არ ნიშნავს პასიურობას: სამედიცინო დავების მედიატორებმა უნდა მართონ პროცესის დინამიკა ისე, რომ თავიდან აიცილონ სუსტი მხარის ექსპლუატაცია. ისინი ხშირად ასრულებენ ეთიკური ბალანსირების ფუნქციას, რათა თავად პროცესი კეთილსინდისიერი მოლაპარაკების პრინციპებს შეესაბამებოდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო დავების მედიაციის პროცესისთვისაც ეთიკური გამოწვევები თანმდევა, თუმცა მართვადი. სწორად განხორციელების პირობებში მედიაცია უზრუნველყოფს პაციენტის ავტონომიას, ინფორმირებულ, თვითგამორკვევაზე დაფუძნებულ და სამართლიან გადაწყვეტას.

4. მედიაციის პრაქტიკული უპირატესობანი სამედიცინო დავებში

სამართლებრივი ჩარჩოსა და ეთიკური გამოწვევების შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია პრაქტიკული შედეგების თვალსაზრისით შეფასდეს მედიაციის ეფექტიანობა სამედიცინო დავებში.

⁷⁵ კომპეტენციის ეთიკური ვალდებულება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას არ გულისხმობს, არამედ, მედიატორი ვალდებულია შეაფასოს აქვს თუ არა კონკრეტული პროცესის წარმართვისთვის საჭირო კვალიფიკაცია და ცოდნა, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. დამატებით იხ.: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის საფუძვლები, თბილისი, 2024, 60- 61.

4.1. პროცედურა

მედიაციის უპირატესობა პროცედურული სირთულეების შემსუბუქებაშიც ვლინდება. სასამართლოში მტკიცების ტვირთი პაციენტისთვის გართულებულია მისი შეზღუდული პროფესიული ცოდნიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამედიცინო დასკვნები, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მტკიცების პროცესში, მიკერძოებულია და ექსპერტთა დამოკიდებულება ხასიათდება კოლეგიალობით,⁷⁶ აქედან გამომდინარე ექსპერტი მონმეების უხალისობა ჩაერთონ სასამართლო პროცესში ან დადონ დასკვნა, რეალურად უფრო ართულებს პროცესს.⁷⁷ მედიაცია კომფორტულია პაციენტისთვის გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი მტკიცებითი სტანდარტი არ მოითხოვება.

4.2. ხარჯები

მედიაციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი დროისა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან დაზოგვას უზრუნველყოფს სასამართლო დავებთან შედარებით. კვლევები და სხვადასხვა პროგრამის შეფასებები თანმიმდევრულად აჩვენებს, რომ მედიაციის მეშვეობით საქმეები წყდება უფრო სწრაფად და გაცილებით დაბალი ხარჯებით (ადვოკატთა ჰონორარები, სასამართლო ხარჯები და სხვა), ვიდრე სრულფასოვანი სასამართლო განხილვის პირობებში.

დავის შინაარსის განურჩევლად, სასამართლო სამართალწარმოების ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება მედიაციის პროცესის ხარჯებს. სამედიცინო სამედიაციო დავების შედეგების გასანალიზებლად ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, მედიაციის სრული ხარჯი სასამართლოს ხარჯების მხოლოდ 25%-ს შეადგენს.⁷⁸

4.3. დრო

ცალკე უნდა აღინიშნოს მედიაციის ფარგლებში დავის გადაწყვეტის საგრძნობლად მცირე ვადები. ლექსინგტონში მდებარე ვეტერანთა საქმეთა სამედიცინო ცენტრში ადრეული მედიაციის პროგრამის დანერგვის შემდეგ, დავების გადაწყვეტისთვის საჭირო საშუალო დრო 2–4 წლიდან 2–4 თვემდე შემცირდა, რაც ნათლად ადასტურებს მედიაციის ეფექტიანობას როგორც დროის, ისე რესურსების ეკონომიის თვალსაზრისით.⁷⁹ ევროკავშირის ქვეყნებში სამართალწარმოების ჯამური დღეების რაოდენობა 566 იყო, მაშინ, როდესაც ამ საშუალო მაჩვენებელმა მედიაციაში 43 დღე შეადგინა, იგივე შეიძლება ითქვას სამართალწარმოებისა და მედიაციის ხარჯების საგრძნობლად განსხვავებულ თანაფარდობაზე.⁸⁰ მიჩიგანის უნივერსიტეტის მონაცემები ცხადყოფს, რომ მედიაციაზე დაფუძნებული CRP-ს შემოღების შემდეგ საგრძნობლად შემცირდა როგორც სასამართლო დავების რაოდენობა, ისე – დავების გადაწყვეტის დროც.⁸¹ აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით ისეთ

⁷⁶ უზნაძე ნ., ექიმის უმოქმედობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პრობლემატიკა სამედიცინო სამართალში, სამართლის ჟურნალი, No.1, 2025, 190.

⁷⁷ Dimitrov K, Miteva-Katrandzhieva T., Mediation in Healthcare: Enhancing Conflict Resolution Between Patients and Physicians Beyond the Courtroom, Cureus 16 (12), 2024, 3.

⁷⁸ National Arbitration Forum, Mediating and Arbitrating Healthcare Disputes, 2005, 3.

⁷⁹ Kass J. S., Rose R. V., Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs, American Medical Association Journal of Ethics, Vol. 18, No. 3, 2016, 304.

⁸⁰ Šustek P., Holčapek T., Alternative Dispute Resolution in Medical Malpractice Disputes, Proceedings of the 22nd International Scientific Conference on Economic and Social Development “Legal Challenges of Modern World”, 2018, 236-237.

⁸¹ Kass J. S., Rose R. V., Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs, American Medical Association Journal of Ethics, Vol. 18, No. 3, 2016, 304.

მონყვლად ჯგუფებთან მიმართებით, როგორებიც დაზარალებული პაციენტები არიან, მედიაციის დროის ეფექტურობა განაპირობებს, რომ მათი სტრესი⁸² და ტრავმაც არ გახანგრძლივდეს და მალე შეძლონ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება.⁸³

4.4. უსაფრთხოება და ანგარიშვალდებულება

მედიაციის კიდევ ერთი პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი სარგებელი არის მისი გავლენა პაციენტის უსაფრთხოებასა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ურთიერთობებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად შემთხვევაში პაციენტების მიერ სარჩელის აღძვრა განპირობებულია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელსა და პაციენტს შორის ხიდჩატეხილობით, არასწორი⁸⁴ ან არასრულყოფილი კომუნიკაციით.⁸⁵ ვინაიდან მედიაცია აქცენტირებს იმის კვლევაზე, თუ რა მოხდა არასწორად, იგი ხშირად ავლენს სისტემურ პრობლემებს (მაგალითად, გაურკვეველ საავადმყოფო პროტოკოლებს) და უბიძგებს დაწესებულებას მათი გამოსწორებისკენ. სასამართლო დავის შემთხვევაში, შიდა განხილვები შეცდომების შესახებ, როგორც წესი, მიმდინარეობს ბრალის დაკისრების შიშის ფონზე, მედიაცია კი ქმნის გარემოს, სადაც, მაგალითად, ქირურგმა შეიძლება მოიბოდიშოს პროცედურის სათანადოდ შეუსრულებლობის გამო, ხოლო საავადმყოფოს წარმომადგენელმა განმარტოს, რომ ექიმები გადამზადდებიან, დაინერგება ახალი სისტემა მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის და სხვ. აღნიშნული სამედიცინო მორიგებაშიც შეიძლება და სასურველიცაა, რომ მიეთითოს. ამასთან საგულისხმოა, რომ უფლება, იყო მოსმენილი, მიემართება არა მხოლოდ პაციენტებს, არამედ მედიკოსებსაც, რომელთათვისაც მედიაცია შესაძლებლობაა, რომ ისტორიის მათი ვერსია მიანოდონ პაციენტებს პასუხისმგებლობის შიშისა და წნეხის გარეშე.⁸⁶

სასამართლოში არ არის ის სივრცე სადაც ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებმა შეიძლება შესთავაზონ ხარისხის გაუმჯობესება ან შეცდომის გამოსწორება,⁸⁷ მოიბოდიშონ და შესთავაზონ ის არაქონებრივი საშუალებები,⁸⁸ რომლებსაც ვერ მიიღებენ სასამართლო დავის გზით.⁸⁹

4.5. კომუნიკაციის შესაძლებლობა

პაციენტის პერსპექტივიდან, პრაქტიკული შედეგები მხოლოდ ფინანსური კომპენსაციის მიღებით არ განისაზღვრება, არამედ პროცესის ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს, რომ პაციენტს ჰქონდეს პროცესით ემოციური და სუბიექტური კმაყოფილების შეგრძნება, განურჩევლად იმისა, მორიგებით სრულდება თუ არა დავა. მედიაციის ფარგლებში ბოდიში და ეფექტიანი კომუნიკაცია მრავალი პაციენტისთვის შეიძლება ისეთივე ან უფრო მეტად ღირებული იყოს, როგორც ფულადი კომპენსაცია.

ხშირ შემთხვევაში სამედიცინო დავების წარმოშობის ძირითადი მიზეზია არა უშუალოდ სამედიცინო შეცდომა, არამედ ექიმების არახელმისაწვდომობა, პაციენტებს, მათს წარმომადგენლებსა

⁸² HOPE, Mediation in Healthcare, European Hospital and Healthcare Federation, December 2012, 4.

Within the mediation process of medical disputes, the standard of confidentiality performs an ethically ambivalent function. On the one hand, it fosters candor and openness, encouraging the patient to express feelings without fear, while enabling the physician to acknowledge error.⁶⁹ The confidential nature of mediation safeguards reputation⁷⁰ and serves as a significant motivator for the parties, particularly healthcare professionals, to speak openly and transparently.⁷¹ On the other hand, where a medical error is serious, ensuring confidentiality of that fact may undermine the public interest in terms of the accountability of medical institutions and the safety of medical care.⁷² In this respect, a limitation of mediation lies in the absence of precedent-setting capacity,⁷³ as disputes of the same type may continue to recur.⁷⁴ For example, in the case of a physician who repeatedly commits medical errors and resolves each potential dispute through mediation, the broader public may remain uninformed. Whereas a public judicial proceeding may reveal a physician's incompetence or accelerate systemic reform, within the framework of mediation such facts may remain concealed in the event of settlement. Ethically, this gives rise to challenges from the perspective of fairness and transparency. Society has a legitimate interest in potential risks within the healthcare sector. The confidential nature of mediation, while potentially beneficial for the resolution of individual cases, may inadvertently exclude the accountability of medical institutions before the public.

In response to this challenge, mediation may balance confidentiality with mechanisms of accountability. Within the framework of a mediated settlement, it may be stipulated that the medical institution undertake obligations to ensure systemic reform, including amendments to policies and protocols designed to mitigate potential risks in the future.

⁶⁶ *McClay C.*, Mediation in Medical Treatment: A More Effective Way to Manage Disputes, *Catholic University Law Review*, Vol.68, No.3, 2019, 546.

⁶⁷ *Lindsey J., Doyle M., Wazyńska-Finck K.*, Navigating Conflict: The Role of Mediation in Healthcare disputes, *Clinical Ethics*, Vol.19, No.1, 2024, 31.

⁶⁸ *Chitashvili N.*, Fundamentals of the Mediation Ethics, Tbilisi, 2024, 279 – 294 (in Georgian).

⁶⁹ *Kandashvili I.*, Mediation, Mediation, An Effective Means of Dispute Resolution, (practical guide), Tbilisi, 2022, 87 (in Georgian).

⁷⁰ *Johnson S.W.*, Mediation as an Alternative Dispute Resolution Tool in Healthcare Malpractice, *International Journal of Novel Research in Healthcare and Nursing*, Vol.11, No.1, 2024, 272.

⁷¹ *Sybbilis S.*, Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol.6, No.3, 2006, 505.

⁷² *Ibid.*, 506.

⁷³ *Jigajinni M., Joseph C.*, Exploring Mediation Techniques for Resolving Private Healthcare Issues: An Overview, *International Journal of Creative Research Thoughts*, Vol.12, No.4, 2024, 305.

⁷⁴ *Sybbilis S.*, Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol.6, No.3, 2006, 506.

3.4. Ethical Obligations of the Mediator in the Process of Medical Dispute Mediation.

For mediators, a specific system of ethical standards governs the mediation process, typically regulated in professional codes of conduct. In the context of medical disputes, particular emphasis must be placed on the ethical obligations of competence, impartiality, the assurance of equal procedural opportunities, self-determination, and confidentiality.

Ensuring equality between the parties constitutes one of the mediator's significant ethical obligations in the management of the mediation process, particularly given that, as previously noted, disputes of this nature are characterized by the presence of a weaker party – the patient who lacks the requisite professional knowledge to adequately protect his or her interests. Moreover, in order to facilitate the parties' self-determination, it is essential that the mediator possess sufficient competence in medical matters to comprehend the substance of the dispute and to formulate appropriate questions, thereby indicating the necessity of specialized training and the ethical duty of competence. This encompasses both procedural and subject-matter competence.⁷⁵

From an ethical perspective, the mediator is prohibited from providing advice, as this may constitute a breach of the duty of neutrality. At the same time, the mediator is obliged to ensure that the parties have access to the information or expert assessment necessary to make an informed decision. Neutrality does not equate to passivity: mediators in medical disputes must manage the dynamics of the process in a manner that prevents the exploitation of the weaker party. They often perform an ethical balancing function to ensure that the process itself complies with the principles of good faith negotiation.

In conclusion, it may be stated that the mediation process in medical disputes is likewise accompanied by ethical challenges; however, these are manageable. When properly implemented, mediation ensures patient autonomy and facilitates an informed, self-determination-based, and fair resolution.

4. Practical Advantages of Mediation in Medical Disputes

Alongside the assessment of the legal framework and ethical challenges, it is important to evaluate the effectiveness of mediation in medical disputes from the perspective of practical outcomes.

4.1. Procedure

The advantage of mediation is also manifested in the alleviation of procedural complexities. In judicial proceedings, the burden of proof is particularly difficult for the patient due to limited professional knowledge. It must also be taken into account that medical opinions, which play a crucial role in the evidentiary process, may be biased, and the attitude of experts is often characterized by collegiality.⁷⁶ Consequently, the reluctance of expert witnesses to participate in court proceedings or to issue opinions further complicates the process.⁷⁷ Mediation is more accessible for the patient, as it does not require compliance with such stringent evidentiary standards.

4.2. Expenses

One of the most significant advantages of mediation lies in its capacity to ensure substantial savings of time and financial resources in comparison with judicial proceedings. Studies and evaluations of various programs consistently demonstrate that cases resolved through mediation are concluded more swiftly and at considerably lower cost (including attorneys' fees, court expenses, and related expenditures) than under conditions of full judicial adjudication.

⁷⁵ The ethical obligation of competence does not merely entail compliance with the professional competency requirements prescribed by legislation; rather, the mediator is under a duty to assess whether he or she possesses the qualification, knowledge, and relevant subject-matter expertise necessary for the proper conduct of the specific mediation process. See additionally: *Chitashvili N.*, *Fundamentals of the Mediation Ethics*, Tbilisi, 2024, 60-61 (in Georgian).

⁷⁶ *Uznadze N.*, *The Problematic Aspects of Compensation for Damage Caused by a Doctor's Omission in Medical Law*, *Journal of Law*, No.1, 2025, 190 (in Georgian).

⁷⁷ *Dimitrov K, Miteva-Katrandzhieva T.*, *Mediation in Healthcare: Enhancing Conflict Resolution Between Patients and Physicians Beyond the Courtroom*, *Cureus* 16 (12), 2024, 3.

Irrespective of the subject matter of the dispute, the costs associated with court litigation significantly exceed those of the mediation process. According to one study conducted to analyze the outcomes of medical mediation disputes, the total cost of mediation amounted to only 25% of the costs of court proceedings.⁷⁸

4.3. Time

It should be separately noted that the timeframes for dispute resolution within mediation are significantly shorter. Following the introduction of an early mediation program at the Veterans Affairs Medical Center in Lexington, the average time required for resolving disputes was reduced from 2–4 years to 2–4 months, clearly demonstrating the effectiveness of mediation in terms of both time and resource efficiency.⁷⁹ In European Union countries, the total average number of days required for judicial proceedings was 566, whereas the corresponding average duration in mediation was 43 days, a similarly marked disparity is observable in the comparative costs of litigation and mediation.⁸⁰ Data from the University of Michigan indicate that, following the introduction of a mediation-based Communication and Resolution Program (CRP), both the number of court cases and the duration of dispute resolution significantly decreased.⁸¹ It should be emphasized that, particularly with respect to vulnerable groups such as injured patients, the time efficiency of mediation ensures that their stress⁸² and trauma are not prolonged and that they are able to obtain satisfaction of their interests more promptly.⁸³

4.4. Safety and Accountability

Another practically significant benefit of mediation lies in its impact on patient safety and on relationships with healthcare service providers. It should be noted that, in most cases, the initiation of a claim by patients is prompted by a breakdown in the relationship between the healthcare provider and the patient, as well as by improper⁸⁴ or incomplete communication.⁸⁵ Since mediation places emphasis on examining what went wrong, it frequently reveals systemic problems (for example, unclear hospital protocols) and encourages the institution to undertake corrective measures. In the context of judicial proceedings, internal reviews concerning errors are generally conducted against the backdrop of fear of liability, whereas mediation creates an environment in which, for example, a surgeon may apologize for the improper performance of a procedure, and a hospital representative may explain that physicians will undergo retraining and that new systems will be introduced to prevent similar incidents. Such undertakings may, and desirably should, be reflected in the mediated settlement. It is also noteworthy that the right to be heard pertains not only to patients but also to medical professionals, for whom mediation provides an opportunity to present their version of events without fear of liability or pressure.⁸⁶

The court is not a forum in which healthcare service providers may offer quality improvements or corrective measures,⁸⁷ extend an apology, or propose non-pecuniary remedies⁸⁸ that cannot be obtained through judicial proceedings.⁸⁹

⁷⁸ National Arbitration Forum, *Mediating and Arbitrating Healthcare Disputes*, 2005, 3.

⁷⁹ *Kass J. S., Rose R. V.*, Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs, *American Medical Association Journal of Ethics*, Vol. 18, No. 3, 2016, 304.

⁸⁰ *Šustek P., Holčapek T.*, Alternative Dispute Resolution in Medical Malpractice Disputes, *Proceedings of the 22nd International Scientific Conference on Economic and Social Development “Legal Challenges of Modern World”*, 2018, 236-237.

⁸¹ *Kass J. S., Rose R. V.*, Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs, *American Medical Association Journal of Ethics*, Vol. 18, No. 3, 2016, 304.

⁸² *HOPE*, *Mediation in Healthcare*, European Hospital and Healthcare Federation, December 2012, 4.

⁸³ *Sybbilis S.*, *Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving*, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol.6, No.3, 2006, 506.

⁸⁴ *Lee D.W.H., Lai P.B.S.*, The practice of mediation to resolve clinical, bioethical, and medical malpractice disputes, *Hong Kong Medical Journal*, Vol.21, No.6, 2015, 561.

⁸⁵ *Dimitrov K, Miteva-Katrandzhieva T.*, Mediation in Healthcare: Enhancing Conflict Resolution Between Patients and Physicians Beyond the Courtroom, *Cureus* 16 (12), 2024, 4.

⁸⁶ *Munuera Gómez P., Armadans Tremolosa I.*, Health mediation as an alternative means of conflict resolution in the practice of medicine in turbulent times: An update, *Medicina Clínica*, Vol.162, 2024, 30.

⁸⁷ National Arbitration Forum, *Mediating and Arbitrating Healthcare Disputes*, 2005, 3.

4.5. The Opportunity for Communication

From the patient's perspective, practical outcomes are not determined solely by the receipt of financial compensation; rather, the guiding principle of the process should be that the patient experiences emotional and subjective satisfaction with the process, regardless of whether the dispute concludes in settlement. Within mediation, an apology and effective communication may be of equal or even greater value to many patients than monetary compensation. In many instances, the primary cause of medical disputes is not the medical error itself, but rather the inaccessibility of physicians, miscommunication between patients, their representatives, and physicians,⁹⁰ inadequate information, and a lack of acknowledgment of the problem.⁹¹

Mediation creates the opportunity for dialogue to take place within a controlled and confidential environment. A physician's apology or an explanation as to how the hospital will prevent the recurrence of a similar incident may significantly alleviate the patient's suffering and thus constitute an outcome of mediation that is not reflected in monetary terms, yet is nevertheless substantial.⁹² From both an ethical and practical perspective, this may be assessed as a form of non-pecuniary compensation, a healing-oriented outcome that a court is not empowered to impose. An important merit and advantage of mediation lies in the fact that it does not merely examine the amount of compensation, but rather the patient's interests. In seeking compensation, the patient's interest may not consist in financial gain, but in the accountability of the hospital, which may be achieved through other means, for example, by preventing future instances of medical negligence through adjustments to internal policies. Such matters may be raised and addressed within mediation.⁹³

4.6. Preservation of Relationships

Another practical advantage of mediation lies in the preservation of the physician-patient relationship, oriented toward the development of cooperation and the improvement of communication.⁹⁴ A patient may continue to require medical treatment. Judicial proceedings, however, almost inevitably lead to the erosion of the patient's trust in the physician, as it is rare for a patient to continue treatment with a physician against whom a claim has been filed.⁹⁵ When conducted at an early stage and in an empathetic manner, mediation has, in certain cases, made it possible to continue the relationship or, at a minimum, to conclude it in a more constructive form.

Physicians who participate in mediation experience less emotional stress and are not required to be separated from their professional duties for extended periods, compared to those who undergo full judicial proceedings. The opportunity to apologize and to remedy harm aligns with their professional values and alleviates feelings of shame or guilt, while also serving as a preventive measure against future disputes.⁹⁶ A physician who perceives that the matter has been resolved in a dignified and fair manner is less inclined to engage in defensive medical practice, which is rooted in fear.

Mediation is future-oriented, whereas judicial proceedings are directed solely toward the rigid resolution of the existing dispute.⁹⁷

⁸⁸ Šustek P., Holčapek T., *Alternative Dispute Resolution in Medical Malpractice Disputes*, Proceedings of the 22nd International Scientific Conference on Economic and Social Development "Legal Challenges of Modern World", 2018, 235.

⁸⁹ Lee D.W.H., Lai P.B.S., *The practice of mediation to resolve clinical, bioethical, and medical malpractice disputes*, Hong Kong Medical Journal, Vol.21, No.6, 2015, 562.

⁹⁰ McClay C., *Mediation in Medical Treatment: A More Effective Way to Manage Disputes*, Catholic University Law Review, Vol.68, No.3, 2019, 526.

⁹¹ Lee D.W.H., Lai P.B.S., *The practice of mediation to resolve clinical, bioethical, and medical malpractice disputes*, Hong Kong Medical Journal, Vol.21, No.6, 2015, 562.

⁹² Bichia M., *Confidentiality of the Mediation Process and Ethical Dilemmas*, *Alternative Dispute Resolution – Yearbook 2023 (Bilingual Edition)*, 12 (1), 9 (in Georgian).

⁹³ Uznadze N., *Conceptual Models of Evaluative and Facilitative Mediation and Accompanying Ethical Challenges*, *Alternative Dispute Resolution – Yearbook 2024 (Bilingual Edition)*, 13 (1), 36-37 (in Georgian).

⁹⁴ Lindsey J., Doyle M., Wazynska-Finck K., *Navigating Conflict: The Role of Mediation in Healthcare disputes*, *Clinical Ethics*, Vol.19, No.1, 2024, 30.

⁹⁵ Lioupi O., Kostoulas P., Griva K., Billinis C., Tsiamis C., *Applications of Medical Mediation: A Systematic Review of Its Role in Healthcare Dispute Resolution and Bioethical Decision-Making*, *Healthcare*, Vol.13, 2025, 3235, 8.

⁹⁶ National Arbitration Forum, *Mediating and Arbitrating Healthcare Disputes*, 2005, 3.

⁹⁷ Sybbilis S., *Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving*, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol.6, No.3, 2006, 499.

4.7. Results

The rate of cases concluded by settlement within mediation constitutes another significant indicator for assessing the practical effectiveness of the process. As noted above, for example, the NHS pilot program recorded an 81% settlement rate, which serves as clear evidence of the high practical efficiency of mediation.⁹⁸

Naturally, it must be taken into account that not all cases will conclude in settlement, and certain disputes will still proceed to judicial adjudication, particularly where issues of principle are involved or where the parties' assessments of the value of the harm differ substantially. A patient who considers the proposed terms insufficient retains the right to refuse and to continue litigation; however, even in such instances, mediation may narrow the scope of disputed issues and ensure that the parties are better prepared for court proceedings.⁹⁹

5. Conclusion

Studies indicate that mediation constitutes an effective mechanism for resolving disputes arising from medical relationships and responds to the specific needs characteristic of such conflicts. Mediation, initially introduced in the format of pilot programs, has gradually evolved into an institutional practice and has been integrated into national legal frameworks as a dispute resolution mechanism that promotes the restoration of trust, the strengthening of communication, and the assurance of fairness in the decision-making process.¹⁰⁰

Comparative legal analysis demonstrates that, across various jurisdictions, a gradual consensus is emerging according to which judicial proceedings in medical conflicts should remain a measure of last resort. The involvement of a neutral mediator and the opportunity for communication and negotiation frequently yield outcomes that more adequately reflect the interests of both patients and healthcare service providers. Although the legal infrastructure of mediation varies from fully voluntary models to forms of mandatory mediation, their common objective is to enhance efficiency, reduce costs, and achieve non-material outcomes such as the expression of apology, the restoration of trust, and the improvement of patient safety.¹⁰¹

For the full realization of the potential of mediation, it is necessary to ensure the training of specialized and qualified mediators, the appropriate education of lawyers and clinicians, as well as the development of procedural mechanisms that secure the balancing of power and informational asymmetries.

In a prospective perspective, a further strengthening of the role of mediation in the resolution of medical disputes is to be expected. It constitutes part of a broader cultural transformation underway in medicine and law, which entails a transition from a paternalistic and closed model toward a collaborative and patient-centered approach.

In conclusion, mediation in the field of healthcare clearly demonstrates that fair and humane outcomes may be achieved on the basis of consensus, beyond a confrontational process. The parties themselves participate in shaping a resolution that is often more nuanced and more sustainable for the relationship than a formal judicial decision. Under conditions of appropriate institutional support, mediation is capable of ensuring not only the effective resolution of disputes, but also the protection of those values that are of essential significance in the healthcare sector. Its further development is linked to the objective of transforming dispute resolution into not merely a mechanism for terminating conflicts, but also a means of fostering improved healthcare and a more developed legal culture.

⁹⁸ National Health Service Resolution, *Mediation in Healthcare Claims – an Evaluation*, NHS Resolution, February 2020, 5. Accessible at: <[https://resolution.nhs.uk/wp-content/uploads/2020/02/NHS-Resolution-Mediation-in-healthcare-claims-an-evaluation.pdf#:~:text=launched%20a%20pilot%20to%20test,came%20to%20an%20end%20on](https://resolution.nhs.uk/wp-content/uploads/2020/02/NHS-Resolution-Mediation-in-healthcare-claims-an-evaluation.pdf#:~:text=launched%20a%20pilot%20to%20test,came%20to%20an%20end%20on>)> [22.02.2026].

⁹⁹ *Sybbilis S.*, *Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving*, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol.6, No.3, 2006, 499.

¹⁰⁰ *Lioupi O., Kostoulas P., Griva K., Billinis C., Tsiamis C.*, *Applications of Medical Mediation: A Systematic Review of Its Role in Healthcare Dispute Resolution and Bioethical Decision-Making*, *Healthcare*, Vol.13, 2025, 3235, 10.

¹⁰¹ *Bichia M.*, *Confidentiality of the Mediation Process and Ethical Dilemmas*, *Alternative Dispute Resolution – Yearbook 2023 (Bilingual Edition)*, 12 (1), 9 (in Georgian).

Bibliography:

1. The law of Georgia on “Mediation”, website, 27/09/2019.
2. Civil Procedure Code of Georgia, Parliamentary Gazette, 47-48, 31/12/1997.
3. Law of Georgia on “Health Care“, parliamentary gazette, 47-48, 31/12/1997.
4. The Law of Georgia on “Amendments to Certain Legislative Acts of Georgia“, website, 111228090, 28/12/2011.
5. Order No. 10-20o of 5 February 2013 of the Head of the Legal Entity of Public Law – Medical Mediation Service of the Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia, “on the Approval of the Regulation on the Medical Mediation Process”.
6. Explanatory Note to the Draft Law of Georgia on “Health Care”.
7. Explanatory Note to the Draft Law of Georgia on “Amendments to Certain Legislative Acts of Georgia”.
8. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters [2008] OJ L 136/3.
9. *Antich F.*, The Italian Model of Mediation: An Update, International Bar Association, 2021.
10. *Barbot J., Parizot I., Winance M.*, No-fault Compensation for Victims of Medical Injuries. Ten years of Implementing the French model, Health Policy, Vol. 114 (2-3), 2014, 236.
11. *Bichia M.*, Confidentiality of the Mediation Process and Ethical Dilemmas, Alternative Dispute Resolution – Yearbook 2023 (Bilingual Edition), 12 (1), 9 (in Georgian).
12. *Chitashvili N., Bichia M., Barnabishvili G., Gatsereia Ak., Egnatashvili D., Kandashvili I. (ed.)*, Commentary on the Law of Georgia on Mediation, Tbilisi, 2024, 156 (in Georgian).
13. *Chitashvili N.*, Fundamentals of the Mediation Ethics, Tbilisi, 2024, 60-61, 173-174, 279-294, 331 (in Georgian).
14. *Dimitrov K, Miteva-Katrandzhieva T.*, Mediation in Healthcare: Enhancing Conflict Resolution Between Patients and Physicians Beyond the Courtroom, Cureus 16 (12), 2024, 1, 3, 4.
15. *HOPE*, Mediation in Healthcare, European Hospital and Healthcare Federation, December 2012, 4,5,7.
16. *Indovina V.*, When Mandatory Mediation Meets the Adversarial Legal Culture of Lawyers: An Empirical Study in Italy, Harvard Negotiation Law Review, Vol.26, 2020, 70-71, 76.
17. *Jigajinni M., Joseph C.*, Exploring Mediation Techniques for Resolving Private Healthcare Issues: An Overview, International Journal of Creative Research Thoughts, Vol.12, No.4, 2024, 305.
18. *Johansson H.*, The Swedish system for compensation of patient injuries, Upsala Journal of Medical Sciences, Vol. 115, No. 2, 2010, 88.
19. *Johnson S.W.*, Mediation as an Alternative Dispute Resolution Tool in Healthcare Malpractice, International Journal of Novel Research in Healthcare and Nursing, Vol.11, No.1, 2024, 270, 272.
20. *Kandashvili I.*, Mediation, Mediation, An Effective Means of Dispute Resolution, (practical guide), Tbilisi, 2022, 87 (in Georgian).
21. *Kass J. S., Rose R. V.*, Medical Malpractice Reform – Historical Approaches, Alternative Models, and Communication and Resolution Programs, American Medical Association Journal of Ethics, Vol. 18, No. 3, 2016, 300, 303-304.
22. *Lee D.W.H., Lai P.B.S.*, The practice of mediation to resolve clinical, bioethical, and medical malpractice disputes, Hong Kong Medical Journal, Vol.21, No.6, 2015, 561-562.
23. *Lindsey J., Doyle M., Wazynska-Finck K.*, Navigating Conflict: The Role of Mediation in Healthcare disputes, Clinical Ethics, Vol.19, No.1, 2024, 26, 30-31.
24. *Lioupi O., Kostoulas P., Griva K., Billinis C., Tsiamis C.*, Applications of Medical Mediation: A Systematic Review of Its Role in Healthcare Dispute Resolution and Bioethical Decision-Making, Healthcare, Vol.13, 2025, 3235, 1, 2, 8, 10.
25. *McClay C.*, Mediation in Medical Treatment: A More Effective Way to Manage Disputes, Catholic University Law Review, Vol.68, No.3, 2019, 526, 535, 546.
26. *Morton H.*, Summary Medical Liability/Malpractice ADR and Screening Panels Statutes, National Conference of State Legislatures, 2021.
27. *Munuera Gómez P., Armadans Tremolosa I.*, Health mediation as an alternative means of conflict resolution in the practice of medicine in turbulent times: An update, Medicina Clínica, Vol.162, 2024, 29, 30.
28. National Arbitration Forum, Mediating and Arbitrating Healthcare Disputes, 2005, 1, 2, 3, 10, 11.
29. National Health Service Resolution, Mediation in Healthcare Claims – an Evaluation, NHS Resolution, February 2020.

30. Šustek P., Holčapek T., Alternative Dispute Resolution in Medical Malpractice Disputes, Proceedings of the 22nd International Scientific Conference on Economic and Social Development “Legal Challenges of Modern World”, 2018, 235-237.
31. Sybbilis S., Mediation in the Health Care System: Creative Problem Solving, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol.6, No.3, 2006, 496, 498-499, 503, 505-506.
32. Tepler A., The Case for Using ADR In Medical Malpractice Disputes, New York University Annual Survey of American Law (forum), 2020, 7, 10-11.
33. Uznadze N., The Problematic Aspects of Compensation for Damage Caused by a Doctor’s Omission in Medical Law, Journal of Law, No.1, 2025, 190, 202 (in Georgian).
34. Uznadze N., Conceptual Models of Evaluative and Facilitative Mediation and Accompanying Ethical Challenges, Alternative Dispute Resolution – Yearbook 2024 (Bilingual Edition), 13 (1), 36-37 (in Georgian).
35. Halsey v Milton Keynes General NHS Trust [2004] EWCA Civ 576.
36. The NHS Constitution for England, as of August 17, 2023.

მარიამ ბეჟიტაშვილი*

ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზების მექანიზმები მედიაციაში

სტატიაში შესწავლილია რამდენად ეფექტიანად რეალიზდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი მედიაციის პროცესში და რამდენად უზრუნველყოფს არსებული სამართლებრივი და პრაქტიკული მექანიზმები ამ პრინციპის რეალურ განხორციელებას. განხილულია ის ინსტრუმენტები და პროცედურული გარანტიები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ბავშვის ინტერესების დაცვა, აგრეთვე შეფასებულია მათი ეფექტიანობა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ფრილში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მედიატორის, მედიაციის მხარეებისა და მათი წარმომადგენლების როლს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის პროცესში. გაანალიზებულია მედიატორის პროფესიული კომპეტენციის, მიუკერძოებლობისა და ბავშვის მიმართ მგრძობიარე მიდგომის მნიშვნელობა, ასევე მხარეთა პასუხისმგებლობა, რომ პროცესში არ დაირღვეს ბავშვის უფლებები და ინტერესები.

სტატია ასევე იკვლევს ბავშვის მოსმენისა და მედიაციაში მონაწილეობის უფლებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და პრაქტიკულ გამოწვევებს. მათ შორის განხილულია ბავშვის მედიაციის სესიაზე მონაწილის საკითხი და ამასთან დაკავშირებული რისკები, ასაკობრივი ზღვრის დადგენის პრობლემატიკა, ბავშვის მონაწილეობის ნებაყოფლობითობის უზრუნველყოფა, მშობლების გავლენა ბავშვის პოზიციის ფორმირებაზე და მედიატორის კომპეტენცია, უზრუნველყოფს ბავშვის აზრის თავისუფალი და დაცული გამოხატვა. აღნიშნული საკითხების ანალიზი მიზნად ისახავს იმ გარემოებების იდენტიფიცირებას, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების ეფექტიან დაცვას მედიაციის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: ბავშვის საუკეთესო ინტერესები, საოჯახო დავების მედიაცია, მედიატორი, მედიაციის მხარეები, წარმომადგენელი მედიაციაში, ბავშვის მოსმენისა და მონაწილეობის უფლება.

1. შესავალი

„ვერაფერი გამოავლენს საზოგადოების სულს იმაზე უკეთ, ვიდრე ის, თუ როგორ ეპყრობა იგი საკუთარ შვილებს.“¹

დროის გასვლასთან ერთად, საოჯახო დავების მოგვარებისთვის, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების, მედიაციის გამოყენების სიხშირე იზრდება,² მით უფრო, როდესაც საკითხის გადაწყვეტა გავლენას ახდენს ბავშვის ინტერესებზე. საოჯახო მედიაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება მედიაციის სხვა სახეებისგან,³ რადგან მასში როგორც წესი, ჩართულია არა მხოლოდ

* მაგისტრი, ადვოკატი, მედიატორთა სასერტიფიკატო პროგრამის კურსდამთავრებული.

¹ ნელსონ მანდელა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი, აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის ლიდერი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი.

² საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2025, თბილისი, 2020, 2, <<https://mediators.ge/uploads/media/5f5fb99460eb2.pdf>> [14.02.26].

³ Recommendation No. R (98) 1, of the Committee of Ministers to Member States on Family Mediation, Council of Europe, Committee of Ministers, 1998, Preamble, <<https://rm.coe.int/rec-98-1e-on-family-mediation/1680a3b3ef>> [14.02.26].

ორი მოდავე მხარე, არამედ მესამე, დაინტერესებული და ხშირად მონყვლადი მხარე-ბავშვი,⁴ რომლის ინტერესები ამ პროცესშიც უნდა იყოს წარმოდგენილი და დაცული.⁵ საოჯახო მედიაციისას, როგორც წესი, არაერთი საკვანძო საკითხი წყდება, კერძოდ განისაზღვრება ბავშვის საცხოვრებელი ადგილი, თითოეულ მშობელთან გასატარებელი დრო, არდადეგებსა და სადღესასწაულო დღეებში მათთან ყოფნის რიგითობა და ხანგრძლივობა, ბავშვის ფინანსურად უზრუნველყოფის საკითხი და სხვა. ამასთან, მხარეთა შორის შესათანხმებელია ბავშვის განათლების, ჯანმრთელობის, ნათესავებთან კომუნიკაციისა და სხვა საკითხები.

მედიაციაში დავის სასამართლო წესით განხილვასთან შედარებით, მხარეთა თვითგამორკვევა და ავტონომია ბევრად დიდია. ეს ავტონომია მათ საშუალებას აძლევს მოიპოვონ კონტროლი როგორც დავის გადანყვეტის პროცესზე, ისე შედეგზე.⁶ მაგრამ როგორ რეალიზდება ამ პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესები? მედიატორი იკვლევს ბავშვის ინტერესს? რა მნიშვნელობა ენიჭება მის პოზიციას? რა ხდება, როდესაც ფართო უფლებამოსილების მქონე მხარეები ისეთ გადანყვეტილებას იღებენ, რაც გავლენას ახდენს ბავშვის ინტერესებზე? რა მექანიზმები აქვს მედიატორს ბავშვის ინტერესების დასაცავად?

დღეის მდგომარეობით, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს მკაფიო და ერთიანი სტანდარტები ან მექანიზმები, რომლებიც მედიაციაში უზრუნველყოფს ბავშვზე ორიენტირებული შეთანხმებების მიღწევას და პასუხს გასცემს ზემოთ აღნიშნულ კითხვებს.

2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია

2.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების სამართლებრივი საფუძვლები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების პრინციპი ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სამართლის ძირეული პრინციპია. სამართლებრივ სახელმწიფოში, ნებისმიერი მართლწესრიგი ვალდებულია სამართლებრივი სისტემა მოაწესრიგოს და საერთაშორისო კანონმდებლობა ეროვნულ დონეზე ისე დანერგოს, რომ უზრუნველყოს ბავშვის, როგორც მონყვლადი და განსაკუთრებული ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე სუბიექტის, საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება და ყველა სფეროში მისი ღირსეული დაცვა.

2.1.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად დაცვის პრინციპის ასახვა საერთაშორისო კანონმდებლობაში

ბავშვის უფლებები საერთაშორისო დონეზე, ნორმატიულად და განცალკევებულად, 1924 წლის 26 სექტემბერს მოწესრიგდა ბავშვის უფლებათა ჟენევის დეკლარაციით.⁷ „ბავშვის უფლებათა წინამდებარე დეკლარაციით, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც „ჟენევის დეკლარაცია“ – ყველა ერის კაცთა და ქალთა წარმომადგენელი, რომელიც აღიარებს, რომ კაცობრიობა ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვი ყველაფერი საუკეთესოთი, რაც კი მას გააჩნია, აცხადებს და ღებულობს მას, როგორც მოვალეობას, რომელიც რასის, ეროვნების ან აღმსარებლობასთან დაკავშირებულ ყველა მოსაზრებაზე მაღლა დგას“⁸. ჟენევის დეკლარაცია 1959 წლის 20 ნოემბერს, გაფართოვდა გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით⁹ და 1989

⁴ Roberts M., Family Mediation: The Development of the Regulatory Framework in the United Kingdom, Conflict Resolution Quarterly 22, No. 4, 2005, 511.

⁵ Hopkins, P. E., Evaluative Mediation Upholding the Child's Best Interests, Conciliation Courts Review, 1982, 20 (2), 63.

⁶ Welsh N. A., The Thinning Vision of Self-Determination in Court-Connected Mediation: The Inevitable Price of Institutionalization?, Harvard Negotiation Law Review, Rev 1, 2001, 16.

⁷ Convention on the Rights of the Child, 1989, Preamble.

⁸ Declaration of Geneva on the Rights of the Child, 1924, Preamble.

⁹ Declaration of the Rights of the Child, General Assembly of the United Nations, A/RES/14/1386, 1959.

ნელს, საფუძველი დაუდო ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღებას.¹⁰ ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმასხორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.“¹¹ ზემოაღნიშნული ჩანაწერი ბავშვის უფლებათა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ავალდებულებს: 1. უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ ინტეგრირება და თანმიმდევრულად გამოყენება საჯარო დაწესებულების ყველა ქმედებაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ბავშვებზე; 2. ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირატესად გაითვალისწინოს ყველა სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღებისას და ბავშვებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებისას, რაც მოიცავს იმის აღწერას, თუ როგორ იქნა გამოკვლეული და შეფასებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები და რა წონა მიენიჭა მათ გადაწყვეტილებაში; 3. უზრუნველყოს, რომ კერძო სექტორმაც ბავშვის საუკეთესო ინტერესები გაითვალისწინოს უპირატესად, როდესაც მათი გადაწყვეტილები თუ ქმედებები, ეხება ან გავლენას ახდენს მასზე.¹²

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის ჩანაწერით ნათელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების მნიშვნელობა, ბავშვის უფლებათა კონვენცია სხვა მუხლებშიც აინტეგრირებს აღნიშნულ პრინციპს. ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები: ბავშვის მშობლებთან განცალკევება¹³, ოჯახის გათლიანება¹⁴, მშობელთა ვალდებულებები¹⁵, ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვის დაცვა¹⁶, შვილად აყვანა და გაშვილება¹⁷, თავისუფლების აღკვეთა¹⁸ და სამართლებრივი ზომების გამოყენება კანონდამრღვევ არასრულწლოვანთა მიმართ¹⁹. ბავშვის უფლებათა კონვენციაში გათვალისწინებული ყველა უფლების რეალიზება ბავშვის საუკეთესო ინტერესშია და არც ერთი მათგანი არ შეიძლება შეილახოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების არასწორი ინტერპრეტაციით.²⁰

საგულისხმოა ტერმინოლოგიური ცვლილება, რაც ბავშვის უფლებათა დეკლარაციისგან განსხვავებულად აისახა ბავშვის უფლებათა კონვენციაში. კერძოდ, ბავშვის უფლებათა დეკლარაციის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესს ენიჭება „გადამწყვეტი“ მნიშვნელობა,²¹ მაშინ როდესაც ბავშვის უფლებათა კონვენციით ბავშვის საუკეთესო ინტერესებს „უპირველესი ყურადღება ეთმობა“. ²² შესაბამისად, ბავშვის უფლებათა კონვენციით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უპირატესად ანგარიშგასაწევია, თუმცა არა გადამწყვეტი და აბსოლუტური. არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინის – „გადამწყვეტი მნიშვნელობის“ ნაცვლად, ტერმინის – „უპირველესად გათვალისწინების“ გამოყენების მიზანს წარმოადგენდა აღნიშნული პრინციპის ქმედითობის გაზრდა და სხვა ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება უკიდურეს შემთხვევაში.²³

¹⁰ Convention on the Rights of the Child, 1989.

¹¹ იქვე, Article 3.1.

¹² General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013, § 14.

¹³ Convention on the Rights of the Child, 1989, Article 9.

¹⁴ იქვე, Article 10.

¹⁵ იქვე, Article 18.

¹⁶ იქვე, Article 20.

¹⁷ იქვე, Article 21.

¹⁸ იქვე, Article 37.

¹⁹ იქვე, Article 40.

²⁰ General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013, § 4.

²¹ Declaration of the Rights of the Child, General Assembly of the United Nations, A/RES/14/1386, 1959, Principle 2.

²² Convention on the Rights of the Child, 1989, Article 3.1.

²³ Mower A.G. Jr., The Convention on The Rights of the Child, International Law Support for Children, Greenwood Press, 1997, 23-24.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის შეფასებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნებას სამი გაგება აქვს: 1. მატერიალური – ბავშვთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღებისას, სხვადასხვა ინტერესის არსებობისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ უპირატესად იქნეს მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესი; 2. სამართლებრივი – თუ სამართლებრივი ნორმა სხვადასხვაგვარად განიმარტება, უპირატესია ის განმარტება, რომლითაც ბავშვის საუკეთესო ინტერესი უკეთ რეალიზდება და 3. პროცედურული – ბავშვთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს ბავშვზე გადანყვეტილების შესაძლო ზემოქმედება (დადებითი ან უარყოფითი), გადანყვეტილებაში უნდა დასაბუთდეს რაში გამოიხატა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებით მოქმედება, რა შეფასდა ასეთ ინტერესად და რა კრიტერიუმებით.²⁴

2.1.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად დაცვის პრინციპის იმპლემენტაცია საქართველოში

ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება ნიშნავს ქვეყნისთვის კონვენციის მონაწილის სტატუსის მინიჭებას, რაც ამ ქვეყანას ავალდებულებს კონვენციის შესაბამისად გადასინჯოს ეროვნული კანონმდებლობა.²⁵ 1994 წლის 02 ივნისიდან, სხვა 195 ქვეყანასთან ერთად, საქართველო გახდა ბავშვის უფლებათა კონვენციის მონაწილე სახელმწიფო²⁶ და იკისრა ვალდებულება, უზრუნველყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესის ინდივიდუალურად გამოკვლევის შესაძლებლობის შექმნა და შემდეგ მისი ყველა აუცილებელი ზომით დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით დადასტურებულია ქართველი ერის ურყევი ნება უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი.²⁷ ცხადია, აქ იგულისხმება ბავშვის უფლებებიც. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვაა დასახელებული.²⁸ ამ ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, ბავშვთა უფლებები ზოგადია და მოიცავს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ ზოგადი ჩანაწერით შემოიფარგლება და ბავშვის უფლებებზე და მით უფრო, მის საუკეთესო ინტერესზე აღარ მიუთითებს სხვა მუხლებში. მხოლოდ ზემოაღნიშნული ნორმა კი ვერ ქმნის ბავშვის, როგორც უფლებების მქონე დამოუკიდებელი სუბიექტის დაცვის გარანტიას.²⁹

ეროვნულ დონეზე, ყველაზე ვრცელი და ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც მოწესრიგებულია ბავშვის უფლებები, არის ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც 2019 წელს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. აღნიშნულმა კოდექსმა გაიზიარა ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთება, მოიცვა ბავშვის ყველა უფლება და ამ უფლებებთან დაკავშირებული პრინციპები. ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესი არის მისი კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესების ერთობლიობა, რომელსაც ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლებით მისი მშობელი განსაზღვრავს.³⁰ ეს პრინციპი მოქმედებს ყველგან, სადაც ბავშვია ჩართული ან/და მასთან დაკავშირებული გადანყვეტილება მიიღება. ამ პროცესებში, ბავშვს მინიჭებული აქვს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დამოუკიდებლად რეალიზებისა და მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობა.³¹ ქართველმა კანონმდებელმა იკისრა ვალდებულება ბავშვის საუკეთესო

²⁴ General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013, § 6.

²⁵ Convention on the Rights of the Child, 1989, Article 4.

²⁶ Convention on the Rights of the Child, United Nations Treaty Collection, <https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsq_no=IV-11&chapter=4&clang=_en> [14.02.26].

²⁷ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, პრეამბულა, 24/08/1995.

²⁸ იქვე, მუხლი 36 (2).

²⁹ ზარნაძე ე., ჭალიძე თ., ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2024, 47.

³⁰ საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, 27/09/2019, მუხლი 3 (თ).

³¹ იქვე, მუხლი 5 (2).

ინტერესების განსაზღვრისთვის, უზრუნველყოს ბავშვის აზრის მოსმენა და სათანადოდ გათვალისწინება.³² ერთი მხრივ, ბავშვის უფლებათა კოდექსმა დაავინროვა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის პრინციპის მოქმედების სფერო და ყოველგვარი ქმედების მაგივრად,³³ მოიცვა მხოლოდ გადანყვეტილებების მიღების პროცესი.³⁴ მეორე მხრივ, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით, დაკონკრეტდა ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესად გათვალისწინების ვალდებულების მქონე პირთა წრე და მათი ვალდებულება გავრცელდა არა მხოლოდ გადანყვეტილებების მიღების პროცესზე, არამედ ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერ ქმედებაზე.³⁵ იმავე სულისკვეთებას იზიარებს ბავშვის უფლებათა კოდექსის განმარტებითი ბარათი.³⁶ შესაბამისად, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში არსებული ბუნდოვანება დაზუსტებულია ამავე კოდექსის მე-3 ნაწილით. ამრიგად, კანონმდებლის მიზანი არ იყო „ყველა მოქმედების“ დაავინროვება „ნებისმიერ გადანყვეტილებამდე“.³⁷

2.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასება და განსაზღვრა

2.2.1. ცნება – „ბავშვის საუკეთესო ინტერესი“

ტერმინოლოგიის – „ბავშვის საუკეთესო ინტერესის“ ზუსტი, საერთაშორისოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს, რადგან ის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სოციალური, ფსიქოლოგიური და კულტურული კატეგორიაა, რომელიც მოქნილია, დროის სვლასთან ერთად მოდიფიცირდება და ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ცალკე განისაზღვრება.³⁸ ბავშვის უფლებათა კონვენცია „ბავშვის საუკეთესო ინტერესს“ მიიჩნევს დინამიურ კონცეფციად,³⁹ რომელიც ერთდროულად არის უფლება, პრინციპი და პროცედურული წესი. არ არსებობს ბავშვების საუკეთესო ინტერესების ობიექტურად განსაზღვრის გზა⁴⁰ და იგი ეფუძნება კონკრეტულ სიტუაციაში ბავშვის ინტერესების ყველა ელემენტის შეფასებას.⁴¹ ნიუ ჯერსის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე⁴² დაადგინა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისთვის სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის „უსაფრთხოებასთან, ბედნიერებასთან, ფიზიკურ, გონებრივ და მორალურ კეთილდღეობასთან“.⁴³ თუმცა, ბავშვების კეთილდღეობის, მისი გამოცდილებისა და ჩართულობის შესახებ სტანდარტული ინფორმაცია ყოველთვის ვერ იქნება საკმარისი ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრად.⁴⁴ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი კონკრეტული სიტუაციის, თავად ბავშვის პიროვნებისა და საჭიროებების შესაბამისად, ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს. კოლექტიური გადანყვეტილებების მიღებისას კი, ბავშვების საუკეთესო ინტერესი ზოგადად უნდა შეფასდეს, კონკრეტული ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით.

³² იქვე, მუხლი 5 (5.ა).

³³ როგორც ეს გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში.

³⁴ საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, 27/09/2019, მუხლი 5 (1).

³⁵ იქვე, მუხლი 5 (3).

³⁶ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე ბავშვის უფლებათა კოდექსი, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214086?>>, [14.02.26].

³⁷ *ბობოხიძე მ.*, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2020, 57.

³⁸ General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013, § 32.

³⁹ იქვე, § 11.

⁴⁰ *Emery R.E.*, *Renegotiating Family Relationships, Divorce, Child Custody, and Mediation*, 2nd ed., New York, London, the Guilford Press, 2012, 179.

⁴¹ General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013, § 46.

⁴² *Sorkow H.R.*, Best Interests of the Child: By Whose Definition, *Pepperdine Law Review*, 1991, 18 (2), 384, იხ. ციტირება: *Fantony v. Fantony*, 21 N.J. 525, 122 A.2d 593 (1956).

⁴³ იქვე, იხ. ციტირება: 536, 122 A.2d at 598.

⁴⁴ *Salminen K.*, *Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective*, *Nordic Mediation Research*, *Editors: Nylund A., Ervasti K., Adrian L.*, Cham, Springer International Publishing AG, 2018, 213.

ორივე შემთხვევაში, საუკეთესო ინტერესის შეფასებასა და განსაზღვრას საფუძვლად უნდა დაედოს ბავშვის უფლებათა კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში მოცემული უფლებები.⁴⁵

2.2.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის ეტაპები

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება ორ ეტაპს უნდა მოიცავდეს, ესენია: შეფასება და განსაზღვრა. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას, აუცილებელია იდენტიფიცირდეს, რა არის ის ელემენტები, რომლებიც უნდა შეფასდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად, რა შინაარსი აქვთ მათ და როგორ მიემართებიან ერთმანეთს. მეორე ეტაპზე, საუკეთესო ინტერესის კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე, ოფიციალურად, მკაცრი პროცედურული გარანტიებით განისაზღვრება რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი.⁴⁶ მაგალითად, მეურვეობის საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ითვალისწინებს: ბავშვის და მისი მშობლის/მშობლების სურვილს; ბავშვის ურთიერთობას მშობელთან/მშობლებთან, და-ძმასთან ან სხვა დაკავშირებულ პირებთან; ბავშვის ადაპტაციის ხარისხს მის სახლთან, სკოლასა და საზოგადოებასთან; ყველა ჩართული პირის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და სხვა.⁴⁷ გარდა კანონმდებლობისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლოებს შემუშავებული აქვთ კრიტერიუმები, რომლებსაც იყენებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისთვის, ესენია: ბავშვის სქესი; ასაკი; მისი ემოციური, სოციალური, მორალური, მატერიალური და საგანმანათლებლო საჭიროებები; მშობელთა მიერ შეთავაზებული საცხოვრებელი გარემო; მათი მახასიათებლები (ასაკი, ხასიათი, სტაბილურობა, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა); თითოეული მშობლის უნარი და ინტერესი, უზრუნველყოს ბავშვების ემოციური, სოციალური, მორალური, მატერიალური და საგანმანათლებლო საჭიროებები; თითოეულ ბავშვსა და თითოეულ მშობელს შორის ურთიერთობის ტიპი; ბავშვებს შორის ურთიერთობა; ნებისმიერი ექსპერტი მონმის ან სხვა დამოუკიდებელი გამოძიებლის ანგარიში და რეკომენდაცია და ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტულ შემთხვევაში.⁴⁸

მიუხედავად იმისა, რომ ყველა უფლებას აქვს დამოუკიდებელი ღირებულება, საუკეთესო ინტერესების შეფასების ელემენტები შეიძლება კონფლიქტში მოვიდეს ერთმანეთთან. ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა ელემენტი, ყველა შემთხვევაში რელევანტური ვერ იქნება და სხვადასხვა ელემენტის გამოყენება სხვადასხვა შემთხვევაშია გონივრული. მთავარია, შემფასებელს ახსოვდეს მიზანი, უზრუნველყოს ბავშვის უფლებათა კონვენციით აღიარებული უფლებების ეფექტური რეალიზება.⁴⁹

ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებისთვის აუცილებელია, ჯერ შეფასდეს საუკეთესო ინტერესის კრიტერიუმები და შემდეგ, განისაზღვროს რა არის ასეთი ინტერესი.

2.2.3. ბავშვის მონაწილეობა/მოსმენა, როგორც მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის ერთ-ერთი კრიტერიუმი

ტრადიციულად, მთელ მსოფლიოში მიღებული იყო, რომ სასამართლოები მაქსიმალურად ცდილობდნენ ბავშვების დაცვას/გარიდებას მშობელთა შორის კონფლიქტისგან. ბავშვების შეხედულებების უმნიშვნელოდ აღქმის კიდევ ერთი მიზეზი იყო რწმენა, რომ ბავშვებს, განსაკუთრებით

⁴⁵ General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013, § 32.

⁴⁶ იქვე § 47.

⁴⁷ Sorkow H.R., Best Interests of the Child: By Whose Definition, Pepperdine Law Review, 1991, 18 (2), 386, იხ. ციტირება: Marriage and Divorce Act § 402, 9A U.L.A., 1982, 561.

⁴⁸ იქვე, 386-387.

⁴⁹ Salminen K., Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective, Nordic Mediation Research, Editors: Nylund A., Ervasti K., Adrian L., Cham, Springer International Publishing AG, 2018, 213-214.

მოზარდობის ასაკამდე, არ აქვთ უნარი, მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან საკითხებზე. თანამედროვე მიდგომით, გაიზარდა ცნობიერება ბავშვებისთვის აზრის გამოხატვის შესაძლებლობის მიცემისა და იმ სარგებლის შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს ბავშვების მოსმენასა და ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დღეს აღიარებულია, რომ ბავშვების კომპეტენცია დამოკიდებულია არა იმდენად მათ ასაკზე, რამდენადაც კონტექსტზე, მათ მიერ მიღებულ მხარდაჭერასა და აქტივობებზე.⁵⁰

ბავშვის უფლებათა კონვენციის 4 ძირითად პრინციპს შორის, ერთ-ერთი არის ბავშვის მონაწილეობა, რაც გულისხმობს ბავშვის უფლებას ფლობდეს ინფორმაციას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და მისი გამოხატვის შესაძლებლობა.⁵¹ აღნიშნული პრინციპი დარეგულირებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით, რომელიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლება მასთან დაკავშირებულ საკითხებზე თავისუფლად გამოხატოს მოსაზრებები, რომლებსაც მნიშვნელობა მიენიჭება ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ ყველგან, მათ შორის, მასთან დაკავშირებულ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესზე, პირადად ან/და მის წარმომადგენლს, იმ წესების დაცვით, რაც ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით არის დადგენილი.⁵² ბავშვისთვის მოსმენის უფლების მინიჭება მისი მონაწილეობის უფლების რეალიზების საფუძველს ქმნის (Dell'Antonio, 2001)⁵³, მაგრამ თუ ბავშვი უარს იტყვის მონაწილეობაზე, მისი მოსმენის უფლება დაცულად ითვლება,⁵⁴ რადგან ამ უფლებებით სარგებლობა ბავშვის არჩევანია და არა მისი ვალდებულება.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის კეთილდღეობა და მეორე მხრივ, თავად ბავშვი ჩართოს იმის იდენტიფიცირებაში, თუ რაში გამოიხატება ეს კეთილდღეობა.⁵⁵ ამ უფლების რეალიზებით, ბავშვები მონაწილეობას იღებენ საკუთარ აღზრდაში და გავლენას ახდენენ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უშუალოდ მათ უკავშირდებათ, რაც მათი პიროვნებად აღიარებისა და პატივისცემის გამოხატულებაა. ისინი სწავლობენ გადაწყვეტილების მიღებას, უჩნდებათ კონტროლის განცდა და უმაღლდებათ თვითშეფასება.⁵⁶ ბავშვის მონაწილეობის/მოსმენისა და მისი საუკეთესო ინტერესების გამორკვევის პრინციპები ურთიერთდაკავშირებულია. „ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის მონაწილეობა/მოსმენა მისი საუკეთესო ინტერესის დაცვაა, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის მონაწილეობით/მოსმენით ირკვევა, რა არის მისი საუკეთესო ინტერესი“.⁵⁷ მნიშვნელოვანია, ბავშვმა აზრი გამოთქვას თავისი სურვილით; ზეგავლენის გარეშე; მასზე მორგებულ, თავისუფალ გარემოში, სადაც იგრძნობს მხარდაჭერას და გაუჩნდება ნდობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ბავშვის სასამართლოში მოსმენას ყველა შემთხვევაში სავალდებულოდ არ მიიჩნევს და ეროვნულ სასამართლოს ანდობს ამ საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტას.⁵⁸

⁵⁰ Cashmore J., Parkinson P., Children's Participation in Family Law Disputes: The Views of Children, Parents, Lawyers and Counsellors, Family Matters, 2009, No. 82, 15.

⁵¹ ბავშვის უფლებათა კონვენცია, 2007, მოკლე მიმოხილვა, 6, <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf>> [14.02.26].

⁵² იქვე, მუხლი 12.

⁵³ Bosisio R., Children's Right to Be Heard: What Children Think, International Journal of Children's Rights, Leiden, Koninklijke Brill NV, 2012, 20, 153.

⁵⁴ ბაქრაძე მ., საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალური ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, ბავშვთა მართლმსაჯულება – რა უნდა ვიცოდეთ?, 2021, <<https://shorturl.at/gQ6Eb>> [14.02.26].

⁵⁵ Bosisio R., Children's Right to Be Heard: What Children Think, International Journal of Children's Rights, Leiden, Koninklijke Brill NV, 2012, 143.

⁵⁶ Cashmore J., Parkinson P., Children's Participation in Family Law Disputes: The Views of Children, Parents, Lawyers and Counsellors, Family Matters, 2009, No. 82, 15.

⁵⁷ ბაქრაძე მ., საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალური ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, ბავშვთა მართლმსაჯულება – რა უნდა ვიცოდეთ?, 2021, <<https://shorturl.at/gQ6Eb>> [14.02.26].

⁵⁸ ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ. (რედ.), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, 24.

მოსმენამდე, ბავშვი სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული მასთან დაკავშირებით განსახილველი საკითხისა და თავისი უფლებების შესახებ, რათა შეძლოს ინფორმირებული პოზიციის დაფიქსირება. ბავშვს ინფორმაცია უნდა მიენოდოს მისი სიმნიფისა და ასაკის შესაბამისად, მისთვის გასაგებ ენაზე და ფორმით, რადგან ყველა ბავშვს აქვს ინდივიდუალური გამოცდილებები და ცოდნა, მაგრამ არა იმდენად მრავალმხრივი, როგორც ზრდასრულებს შეიძლება ჰქონდეთ. ბავშვის უფლება ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებაზე და აზრის გამოხატვაზე⁵⁹ დაცულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლით და ავსებს ბავშვის მოსმენისა და მონაწილეობის უფლებას. არაინფორმირებული ბავშვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა უარყოფს მის უნარს, ინტელექტუალურად ჩაერთოს ამ პროცესში.⁶⁰

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი ერთი მხრივ, ანესრიგებს ბავშვის უფლებას მასთან დაკავშირებულ პროცესებში მონაწილეობაზე და მეორე მხრივ, გულისხმობს ზრდასრულის მზაობას, შეიცვალოს აზრები, დამოკიდებულებები და გადაწყვეტილებები ბავშვის პოზიციების შესაბამისად. ამრიგად, ბავშვთა დაცვის პროცესში ჩართული ყველა პირი: მშობლები, მასწავლებლები, სოციალური და იურიდიული სფეროს წარმომადგენლები ბავშვებს უნდა განიხილავდნენ, როგორც გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პიროვნებებს.⁶¹ ბავშვისთვის გადაწყვეტილების მიღების უნარის მინიჭება, ცხადია არ ნიშნავს იმას, რომ ეს გადაწყვეტილება აუცილებლად იქნება სრულად გაზიარებული.

ფსიქოლოგები, ფსიქოანალიტიკოსები და მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მოსმენა ბავშვების ერთ-ერთი ძირითადი საჭიროებაა და ყურადღება უნდა გადავიდეს არა იმაზე, მოუსმინონ თუ არა ბავშვს, არამედ იმაზე – როგორ მოუსმინონ (Paz6, 2004).⁶² ბავშვის მოსმენის პროცესში, გადაწყვეტილების მიმღები ბავშვს უნდა უსმენდეს ყურადღებით და სათანადოდ ითვალისწინებდეს გაგონილს. ბავშვმა უნდა დაინახოს, რომ მისი ნათქვამი ნამდვილად მნიშვნელოვანია და გადაწყვეტილების მიღებისას მის აზრს გაითვალისწინებენ (Paz6, 2004).⁶³

ბავშვის მოსმენისა და მისი მოსაზრებების გათვალისწინების ვალდებულებას რიგი საკანონმდებლო აქტები პირდაპირ ითვალისწინებს. მაგალითად, „ბავშვთა ზრუნვის შესახებ“ ირლანდიის კანონით მოთხოვნილია ბავშვის მოსაზრებების გათვალისწინება, როგორც მისი საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.⁶⁴

ბავშვის მონაწილეობისა და მოსმენის უფლების პრაქტიკაში რეალიზებას აქტიურად უჭერს მხარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმეში *M.K. v. Greece*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რომ ეროვნულ სასამართლოს არ დაურღვევია პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება⁶⁵, როდესაც გაითვალისწინა ბავშვის სურვილი არდადეგებზე წასული, საცხოვრებლად დარჩენილიყო მამასთან, მაშინ როდესაც მისი ძირითადი საცხოვრებელი ადგილი დედასთან იყო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი, საფუძველი და არა მხოლოდ უფლება.⁶⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დადგინდა საქმეზე *N.Ts. and others v. Georgia*, რადგან დედის გარდაცვალების შემდეგ, ეროვნულმა სასამართლოებმა ბავშვების პოზიციის მოსმენის გარეშე, განსაზღვრეს მათ საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილი, მაშინ როდესაც ბავშვების მამის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ცალსახა იყო.⁶⁷

⁵⁹ ბავშვის უფლებათა კონვენცია, 2007, მუხლი 13, <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf>> [14.02.26].

⁶⁰ *Willow C.*, Children's Right to be Heard and Effective Child Protection, Save the Children Sweden, 2010, 82.

⁶¹ *Bosisio R.*, Children's Right to Be Heard: What Children Think, International Journal of Children's Rights, Leiden, Koninklijke Brill NV, 2012, 143.

⁶² იქვე, 142.

⁶³ *Bosisio R.*, Children's Right to Be Heard: What Children Think, International Journal of Children's Rights, Leiden, Koninklijke Brill NV, 2012, 153.

⁶⁴ ირლანდიის ბავშვთა ზრუნვის აქტი, 1964, მუხლი 31 (2) (b).

⁶⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 04/11/1950, მუხლი 8.

⁶⁶ *M.K. v. Greece*, [2018] ECHR (no. 51312/16).

⁶⁷ *N.Ts. and others v. Georgia*, [2016] ECHR (no. 71776/12).

შესაბამისად, ბავშვის უფლებათა კონვენცია ბავშვს წარმოაჩენს არა მხოლოდ ზრუნვის ობიექტად, არამედ – ინდივიდად, რომელსაც აქვს უფლებები და შეუძლია ამ უფლებების გამოყენება, შეხედულებების ჩამოყალიბება და საკუთარ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა.

3. მედიაციის როლი ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზებაში

3.1. მედიაციის გამოყენება საოჯახო საქმეების მოგვარებისთვის

საოჯახო საქმეებზე მედიაციის გამოყენების განხორციელება განაპირობა სასამართლო გზით საოჯახო დავების განხილვის სირთულეებმა, რაც შემდეგ ოჯახების, განსაკუთრებით ბავშვების, კეთილდღეობაზე ახდენდა უარყოფით ზეგავლენას. მედიაცია სარგებლობს რიგი უპირატესობებით, მას სასამართლოში საქმის წარმოებისგან განასხვავებს შედარებით ნაკლები ხარჯი, ნაკლები სტრესი⁶⁸ და არაფორმალური გარემო⁶⁹. საოჯახო მედიაცია ხელს უწყობს, დავის გადანყვეტის პროცესის ეფექტურობას, აუმჯობესებს მხარეთა კმაყოფილებასა და შეთანხმებების შესრულების ხარისხს (Emery & Wyer, 1987a; Irving & Benjamin, 1995; Kelly, 1996).⁷⁰ გარდა ამისა, მედიაცია აქცენტს აკეთებს მშობლების გაძლიერებაზე, რათა მოლაპარაკებების შედეგად, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები⁷¹, თავიდან აიცილონ სახელმწიფოს არასაჭირო ჩარევა ოჯახურ საქმეებში და არ შეიზოჭონ მოსამართლის გადაწყვეტილებით.⁷² ვინაიდან, მშობლებს თავადაც აქვთ უნარი, გამოავლინონ და დაიცვან შვილების საჭიროებები.⁷³

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედებისას, მოქმედმა პირმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი. სიტყვა – „ქმედება“ გულისხმობს არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღებას, არამედ ყველა მოქმედებას, წინადადებას, მომსახურებას, პროცედურასა და სხვა ზომებს.⁷⁴ შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის პრინციპი მოქმედებს მედიაციაშიც, მიუხედავად იმისა, რომ მედიატორი არ იღებს გადაწყვეტილებას. მაგალითად, ფინურ სასამართლო მედიაციაში, საოჯახო საქმეებზე მედიატორი კანონით არის ვალდებული, რომ მედიაციის პროცესი და შედეგი ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი იყოს (მედიაციის აქტის მე-10 მუხლი ბავშვის მეურვეობის აქტზე მითითებით, განსაკუთრებით მე-10 მუხლი).⁷⁵ საერთაშორისო დონეზე, მათ შორის ფინეთში, აღიარებულია მშობლების უწყვეტი კონფლიქტის უარყოფითი გავლენა ბავშვზე (McIntosh et al. 2008; Parkinson 2011; Skjærten 2005; Mueller-Johnson 2005; Johnston et al. 2009; Rejmer 2003; Karttunen 2010; Sinkkonen 2011), მედიაცია კი უზრუნველყოფს მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას, რადგან მცირდება კონფლიქტი იმ გარემოში, რომელშიც ბავშვი იზრდება (HE 114/2004, OM 25/2013, იხ. ასევე Auvinen 2006; Aaltonen 2000, 2015).⁷⁶

მედიაციის არჩევას ისიც განაპირობებს, რომ მართალია, მედიატორი თავად არ იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ ხელს უწყობს მხარეთა შორის კომუნიკაციას, ახალისებს თვითგამორკვე-

⁶⁸ Butler V.F., *Mediation Essentials and Expectations*, USA, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 2.

⁶⁹ Kuester E., L., *Confidentiality in Mediation: A Trial of Broken Promises*, Vol. 16, No. 2, *Hamline Journal of Public Law & Policy*, 1994-1995, 575.

⁷⁰ Folberg J., Milne A.L., Salem P., *Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications*, New York, London, the Guilford Press, 2004, 447.

⁷¹ ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი, 2018, 72, <https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf>, [15.02.26].

⁷² Butler V.F., *Mediation Essentials and Expectations*, USA, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 1.

⁷³ ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი, 2018, 93, <https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf>, [15.02.26].

⁷⁴ General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013, § 17.

⁷⁵ Salminen K., *Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective*, Nordic Mediation Research, Editors: Nylund A., Ervasti K., Adrian L., Cham, Springer International Publishing AG, 2018, 212.

⁷⁶ იქვე.

ვის პროცესს და ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვას, მაგრამ ის არ არის არც იურიდიული მრჩეველი და არც თერაპევტი.⁷⁷ იგი მხარეებს უნდა დაეხმაროს ურთიერთობის პარტნიორობიდან თანამშობლობად ჩამოყალიბებასა და ემოციური საკითხების გადაჭრაში, თავიანთი კეთილდღეობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.⁷⁸

3.2. „ხელშემწყობი“ და „შეფასებითი“ მედიაციის მოდელები

მედიაციის სესიები ოჯახს ეხმარება პრობლემების გადაჭრაში, კონფლიქტის მართვასა და პირადი საკითხების შვილის საჭიროებებისგან განცალკევებაში. მედიატორმა მშობლებს უნდა დაანახოს, რომ ბავშვი ცალკე პიროვნებაა, რომელსაც ორივე მათგანთან შეუძლია ჰქონდეს ინდივიდუალური ურთიერთობა.⁷⁹ მედიატორთა ჩართულობისა და როლის მიხედვით, ისინი შესაძლოა შევავასოსოთ როგორც ხელშემწყობები და როგორც შემფასებლები. ხელშემწყობი მედიატორის მთავარი ამოცანაა კონფლიქტურ მხარეებს შორის მოლაპარაკებებისა და პრობლემის გადაჭრის პროცესის ხელშემწყობა. ის ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციას და უბიძგებს მათ, გამოხატონ საკუთარი ინტერესები, რეალურად მოუსმინონ ერთმანეთს და გაუგონ. ხელშემწყობი მედიატორი არ მიმართავს მხარეებს შედეგისკენ; არ გამოხატავს საკუთარ აზრს და არ აფასებს მხარეთა მოსაზრებებს. ის პასუხისმგებელია პროცესზე, ხოლო მხარეები – შინაარსსა და შედეგზე.⁸⁰ შესაბამისად, ხელშემწყობი მედიატორი აღიარებს მშობლების, როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის საუკეთესო უნარის მქონე პირების როლს და მათ ეხმარება გადანყვეტილებების ძიებაში.⁸¹

ხელშემწყობი მედიატორი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს იცავს მისი მშობლების დახმარებით, რათა მათ ამოიციონ შვილის საჭიროებები. საინტერესოა, მედიატორი ხელშემწყობის როლში რჩება თუ არა, როდესაც მშობლები ისეთ შეთანხმებამდე მიდიან, რაც უკანონო ან არღვევს ბავშვის უფლებებს. თუ მედიატორი მშობლებს პირდაპირ განუმარტავს, რომ მათი შეთანხმება კანონსაწინააღმდეგოა, იგი გამოვა ხელშემწყობის როლიდან და მოირგებს ბავშვის ადვოკატის როლს. მეორე მხრივ, როლში დარჩენისთვის, მედიატორს შეუძლია მშობლებისთვის ისეთი ნეიტრალური შეკითხვების დასმა, რაც მათ შეხედულებებს გადააფასებს და სხვა მიმართულებას მისცემს (Mayer 2004).⁸² მშობლის გაზრდილი როლიდან და პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ხელშემწყობმა მედიაციამ შეიძლება უნებურად უგულვებლყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების პრინციპი.

მედიატორის მეორე სახეა შემფასებელი. შემფასებელი მედიატორი ფოკუსირებულია პრობლემების გადაჭრაზე. შეფასებითი მედიაცია ანალიტიკური პროცესია, რომელშიც მედიატორი ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის არსზე, აქტიურად აწვდის ინფორმაციას მხარეებს, აძლევს მათ მიმართულებებს, აკეთებს შეფასებებს და ფოკუსირებულია შეთანხმების მიღწევაზე. მედიატორის შეფასებები შეიძლება უკავშირდებოდეს: 1. მხარეთა პოზიციებს; 2. მესამე პირის, მაგალითად, მოსამართლის შესაძლო გადანყვეტილებას ან 3. პირდაპირ შეთავაზებებს (Ervasti and Nylund 2014; Riskin 1996; Mackie 1997).⁸³ მედიატორი თავისი აქტიური როლით, მხარეებს უბიძგებს ისეთი გადანყვეტილებისკენ, რომლებიც თავად მედიატორს მიაჩნია გამართლებულად. აქედან გამომდინარე, შემფასებელმა მედიატორმა შესაძლოა დაარღვიოს მედიაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, ნეიტრალიტეტი. ამასთან, საბოლოო შეთანხმებაზე ზედმეტად ორიენტირებით იქმნება

⁷⁷ Melamed J., Course Manual for the Online Training, Mediating Divorce Agreement, 78.

⁷⁸ იქვე, 146.

⁷⁹ Folberg J., Milne A.L., Salem P., Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications, New York, London, the Guilford Press, 2004, 95.

⁸⁰ Salminen K., Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective, Nordic Mediation Research, Editors: Nylund A., Ervasti K., Adrian L., Cham, Springer International Publishing AG, 2018, 214-215.

⁸¹ იქვე, 215.

⁸² იქვე, 216.

⁸³ იქვე, 217.

რისკი, რომ მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის მიზეზები, მათი საჭიროებები და ინტერესები ინდივიდუალურად არ განიხილება და შეთანხმების არსებობის მიუხედავად, რეალური პრობლემები გადაუჭრელი დარჩება.⁸⁴ მედიატორისთვის გამონვევაა, რომ ერთი მხრივ, დარჩეს ხელშემწყობის როლში და მეორე მხრივ, არ დაუშვას ბავშვის ინტერესების სანინალმდეგო გარიგება. როგორც ხელშემწყობი, ისე შეფასებითი მედიატორი ეფუძნება მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპს⁸⁵ და აღიარებს, რომ უშუალოდ მშობლები არიან ის პირები, ვინც ამ პროცესში იღებენ გადამწყვეტილებებს.⁸⁶

3.3. მედიატორის როლი ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრასა და დაცვაში

3.3.1. სკრინინგი და კონფლიქტის მართვა საოჯახო მედიატორში

მედიატორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რა ურთიერთობა აქვს ბავშვს თითოეულ მშობელთან, რამდენად მწვავეა მშობლებს შორის კონფლიქტი, რა არის კონფლიქტის წყარო და აქვთ თუ არა მშობლებს უნარი საკუთარი ემოციური ტვირთიდან ბავშვის რეალურ საჭიროებებზე ფიკუსირდნენ. ამისთვის, ყველა მედიატორი აუცილებლად უნდა ფლობდეს სკრინინგის ტექნიკას. სკრინინგით მედიატორი ადგენს, მიზანშეწონილია თუ არა მხარეთა შორის მედიატორი. სკრინინგის მიზანია, უზრუნველყოს, რომ მხარეებს ჰქონდეთ მედიატორში მონაწილეობის უნარი და შეეძლოთ ამ პროცესში უსაფრთხოდ ჩართვა. ისინი მედიატორში უსაფრთხოდ უნდა გრძნობდნენ თავს, როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად.⁸⁷ ამ ტექნიკის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, საოჯახო მედიატორი ხომ არ უკავშირდება ოჯახურ ძალადობას. თუ მედიატორმა კონფიდენციალურ შეხვედრაზე მიიღო ინფორმაცია, რომ ბავშვის კეთილდღეობას ან უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება, ის ვალდებულია დაარღვიოს კონფიდენციალობის პრინციპი და შესაძლო დანაშაულის შესახებ აცნობოს შესაბამის ორგანოებს.⁸⁸

მას შემდეგ, რაც მედიატორი სკრინინგით გამოიკვლევს კონფლიქტის არსს და დაადგენს, რომ მხარეებს აქვთ მედიატორში უსაფრთხოდ მონაწილეობის უნარი, უნდა სცადოს მათი კონფლიქტის მართვა. როდესაც მშობლები ერთმანეთზე იმდენად არიან გაბრაზებული, რომ ეს ბრაზი ხელს უშლით ბავშვის საუკეთესო ინტერესების დანახვაში, მედიატორმა ცალსახა პოზიცია უნდა გამოხატოს ბავშვის მხარდასაჭერად. მშობლებს უნდა მოუწოდოს, ითანამშრომლონ შვილის აღზრდაში და თავად მიიღონ შვილის საუკეთესო ინტერესების შესახებ გადამწყვეტილებები. ამისთვის ერთ-ერთი ტექნიკა, რომლის გამოყენებაც მედიატორს შეუძლია არის „რეაქციების სარკისებური ასახვა“, რაც გულისხმობს იმას, რომ როდესაც მშობელთა კონფლიქტის დროს, მედიატორი თავს არაკომფორტულად გრძნობს, იგი ღიად გამოხატავს საკუთარ გრძნობებს და ამით მშობლებს აჩვენებს სავარაუდოდ, რას გრძნობს ბავშვი მათი კონფლიქტისას. ამ უკუკავშირის მიწოდებისას, მედიატორმა ნათლად უნდა განაცხადოს, რომ მისი მიზანი არ არის მშობლების ბრაზის სრულად გაქრობა.⁸⁹ ცხადია, ყოფილი პარტნიორები შესაძლოა იყვნენ ერთმანეთზე გაბრაზებული, განაწყენებული და გულნატკენები. მათი ეს ემოციები ღირებულია და მედიატორმა ისინი არ უნდა უგულვებლყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მოტივით, რადგან გადაუჭრელი პრობლემა ადრე თუ გვიან იჩინს თავს და ბავშვის ინტერესებზე კვლავ უარყოფითად აისახება. მან ნათლად უნდა განაცხადოს, რომ კონფლიქტი აუცილებლად „ცუდი“ არ არის და ის მოლაპარაკებების ნაწილი-

⁸⁴ იქვე, 218.

⁸⁵ Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Association of Family and Conciliation Courts, 1987, Standard I.

⁸⁶ Salminen K., Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective, Nordic Mediation Research, Editors: Nylund A., Ervasti K., Adrian L., Cham, Springer International Publishing AG, 2018, 219.

⁸⁷ Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, Law Reform Commission, (LRC 98-2010), 2010, 117.

⁸⁸ იქვე, 116.

⁸⁹ Emery R.E., Renegotiating Family Relationships, Divorce, Child Custody, and Mediation, second edition, New York, London, the Guilford Press, 2012, 183.

ა.⁹⁰ ნაცვლად დანაშაულის გრძნობის გაღვიძებისა, მათი აზროვნება უნდა მიმართოს პოზიტიურზე და დააფიქროს ერთმანეთთან თანამშრომლობით როგორ შეძლებენ ბავშვისთვის სარგებლის მოტანას. ტკივილის მიუხედავად, ბევრი მშობელი გრძნობს მომავალში მეორე მშობელთან თანამშრომლობითი აღზრდის აუცილებლობას. ყოველი შესაძლებლობისას, მედიატორმა მათ უნდა შეახსენოს საერთო ინტერესი შვილის მიმართ. ამ გზით, მედიაციის პირველი სესიის დასაწყისიდანვე, მშობლებმა იციან, რა არის საუკეთესო მათი შვილებისთვის და აქედან გამომდინარე, აქვთ სურვილი და შესაძლებლობა თავად მიიღონ გადაწყვეტილებები.⁹¹

მედიატორი მხარეებთან კომუნიკაციისას, უნდა იყოს პოზიტიური და მხარდამჭერი.⁹² მხარდამჭერი საუბრის გარდა, მშობელთა კონფლიქტის მართვის კიდევ ერთი ტექნიკაა ბავშვზე საუბარი. როდესაც მედიატორი ხვდება, რომ მხარეები ჩიხში შედიან, შეუძლია დასვას ზოგადი კითხვა: „სანამ თქვენ უთანხმოებებზე დავინყებთ საუბარს, მომიყევით როგორია თქვენი შვილი?“. შვილებზე პოზიტიურად საუბრით, მშობლებს ახსენდებათ რა არის მათი საერთო ინტერესი.⁹³ ბავშვებზე საუბარი მედიატორისთვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ კონფლიქტის სამართავად, არამედ მოგვიანებით შეეძლება ეს ინფორმაცია გამოიყენოს ბავშვთან სესიაზე. მედიატორს შეუძლია ბავშვის საკითხზე ნეგატიურად ფოკუსირდეს და დასვას კითხვები მშობლების კონფლიქტის გავლენის შესახებ ბავშვზე. ბავშვზე ფოკუსის დასრულების შემდეგ, მედიატორი თითოეულ მშობელს სთხოვს, წარმოადგინოს თავისი აღქმა ბავშვებთან დაკავშირებული უთანხმოების შესახებ. მშობელთა საუბრისას, მედიატორები იყენებენ აქტიური მოსმენის ტექნიკებს, ემპათიას და შეკითხვებით აჯამებენ საკითხებს.⁹⁴ ბავშვების კეთილდღეობა ყველა მშობლის საერთო ინტერესია. ამიტომ, ბავშვზე ფოკუსირება, რომელიც პირველ სესიაზე დამყარდა, მედიაციის მთელი პროცესის განმავლობაში რჩება ნამყვან თემად.⁹⁵

მედიატორმა სკრინინგით, უნდა განსაზღვროს მშობელთა კონფლიქტის მართვისთვის რომელ სტრატეგიას გამოიყენებს. გონივრული იქნება სხვადასხვა სტრატეგიის ცვლაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან მედიატორი წინასწარ, ზუსტად ვერ გათვლის რომელ მშობელს რა სტრატეგიაზე, როგორი უკუკავშირი ექნება.

3.3.2. ნეიტრალური და მიუკერძოებელი მედიატორი მხარეთა თვითგამორკვევის პროცესში

მედიაციის ბუნებასა და სიკეთეებს მისთვის დამახასიათებელი პრინციპები განსაზღვრავენ, რომელთა შორის უმთავრესია: ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა.

მედიატორი ნეიტრალური უნდა იყოს მედიაციის შედეგის მიმართ. მან უნდა დაიცვას ნეიტრალურობა ფაქტებსა და მათ შეფასებასთან დაკავშირებით.⁹⁶ მისი მიზანია, დაეხმაროს მხარეებს გადაწყვეტილება თავად მიიღონ⁹⁷, მედიატორის სამართლებრივი რჩევების გარეშე.⁹⁸ სამართლებრივი რჩევისგან განსხვავდება მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ, მედიატორის „დახმარება“ გამოიხატება მხარეთა ინფორმირებაში, მათი ინტერესების გამოკვლევასა და ისეთი საკითხების წამოჭრაში, რომ მათ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება შეძლონ.⁹⁹ მას აქვს უფლებამოსილება, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით გაუზიაროს მხარეებს საქმეზე ინფორმაცი-

⁹⁰ იქვე.

⁹¹ იქვე, 149-150.

⁹² *Bush R. A. B.*, *Effi Ciency and Protection or Empowerment and Recognition? The Mediator's Role and Ethical Standards in Mediation*, Fla. Law Rev., Vol. 41, 1989, 278.

⁹³ *Emery R.E.*, *Renegotiating Family Relationships, Divorce, Child Custody, and Mediation*, second edition, New York, London, the Guilford Press, 2012, 153.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე, 178.

⁹⁶ *ბიჭია მ.*, მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები, *ბურღული ი.* (რედ.), *ჟურნ.* „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდელი 2023“, თსუს გამომცემლობა, №1, 2023, 17.

⁹⁷ *Spencer D., Brogan M.*, *Mediation Law and Practice*, China, Cambridge University Press, 2006, 3.

⁹⁸ *Townslay B. (editor.)*, *Understanding Justice*, Middlesex University Press, 2016, 27.

⁹⁹ *Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation*, Association of Family and Conciliation Courts, 1987, Standard I.

ა.¹⁰⁰ მაგალითად, მედიაციის მიზნებისთვის, შესაძლოა სასარგებლო იყოს მხარეებმა იცოდნენ, დავის მოგვარების რა მექანიზმები არსებობს ან რას ითვალისწინებს მოსამართლე ბავშვებთან დაკავშირებული დავების განხილვისას.¹⁰¹ ირვინგი ადასტურებს, რომ „მედიატორი მოქმედებს როგორც ნეიტრალური მესამე მხარე...“, მაგრამ მომდევნო წინადადებაში ის აცხადებს, რომ „ბავშვების ინტერესები მედიატორისთვის უმთავრესია“ (ირვინგი, 1980, 77).¹⁰² თუ მედიატორი ვინმესთან შექმნის ალიანსს, ის ბავშვთან უნდა იყოს (საპოსნეკი, 1983).¹⁰³ მაკინტოში და ლონგი (2006: 18) საოჯახო საქმეების მედიატორს ახასიათებენ „როგორც ბავშვების მოკავშირეს და შვილების საჭიროებების შესაბამისად მოქმედი მშობლების მხარდამჭერს“.¹⁰⁴ ნეიტრალურობის მასშტაბი შესაძლოა იცვლებოდეს დავის არსის,¹⁰⁵ დასაცავი სიკეთისა და ღირებულებების მიხედვით.¹⁰⁶ შესაბამისად, არაერთი ავტორი მედიატორის ნეიტრალური როლიდან „გამონაკლისს“ უშვებს ბავშვის ინტერესების სასიკეთოდ.

ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის პრინციპების პარალელურად, მედიატორის როლია დაიცვას ბალანსი დავის ნებაყოფლობით გადანყვეტასა და მედიაციის სესიების ჯეროვნად წარმართვას შორის.¹⁰⁷ მედიატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა სრულად განსაზღვრონ და განიხილონ საკითხების გადაჭრის ყველა შესაძლო ვარიანტი, სანამ კონკრეტულ ვარიანტებზე გადავლენ და რეალურად მიიღებენ გადანყვეტილებებს.¹⁰⁸ იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ისეთ გადანყვეტილებას იღებენ, რაც ვერ იქნება ბავშვის ინტერესში, მედიატორს შეუძლია კითხვების დასმით დააფიქროს ისინი შეთანხმების შესაძლო შედეგებზე¹⁰⁹ და მიანოდოს სამართლებრივი ინფორმაცია. მაგალითად, ალაბამას ეთიკის კოდექსით დასაშვებია, რომ მედიატორმა მხარეებთან განიხილოს განქორწინების შემთხვევაში, ქონების განაწილების შესახებ სასამართლოს შესაძლო და სავარაუდო გადანყვეტილება.¹¹⁰ თუ მედიატორი მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ შეთავაზებული შეთანხმების პირობა არ იცავს ბავშვების საუკეთესო ინტერესებს, მას აქვს ვალდებულება, აცნობოს წყვილს თავისი მოსაზრებისა და მისი საფუძვლის შესახებ.¹¹¹ მედიატორის ასეთი აქტიური ქმედება შესაძლოა მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევად შეფასდეს, მაგრამ მშობლების ინფორმაციულ ვაკუუმში დატოვება ვერ გამართლდება ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით.¹¹² ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად შესაძლოა საჭირო იყოს გარკვეული ხარისხის მიკერძოება. ძირითადი პრინ-

¹⁰⁰ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, 2021, მუხლი 3.3.

¹⁰¹ Family Mediation Recommendation No. R (98) 1, adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 21 January 1998, and explanatory memorandum, Council of Europe Publishing, 25.

¹⁰² Hopkins, P. E., Evaluative Mediation Upholding the Child's Best Interests, Conciliation Courts Review, 1982, 20 (2), 63.

¹⁰³ Emery R.E., Renegotiating Family Relationships, Divorce, Child Custody, and Mediation, second edition, New York, London, the Guilford Press, 2012, 178.

¹⁰⁴ Lindstein T., Meteyard B., What Works in Family Mediation: Mediating Residence and Contact Disputes, Russell House Publishing Limited, 38 Silver Street, 1996, 189.

¹⁰⁵ Cohen O., Dattner N., Luxenburg A., The Limits of the Mediator's Neutrality, Mediation Quarterly, Vol. 16, No4, 1999, 224.

¹⁰⁶ იხ. ასევე Kishore S., The Evolving Concepts of Neutrality and Impartiality in Mediation, Commonwealth Law Bulletin, Vol. 32, N2, 2006, 222, შემდგომი მითითებით: Moore C., The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict, San Francisco, 1986, 52.

¹⁰⁷ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, კოდექსი, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, 2021, 4.2.

¹⁰⁸ Bush R. A. B., Efficiency and Protection or Empowerment and Recognition? The Mediator's Role and Ethical Standards in Mediation, Fla. Law Rev., Vol. 41, 1989, 278.

¹⁰⁹ Folberg J., Milne A.L., Salem P., Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications, New York, London, the Guilford Press, 2004, 36.

¹¹⁰ Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 12.

¹¹¹ Standards of Practice for Mediators, Standard IV (c), Mediation Council of Illinois, 1999, <<https://mediate.com/standards-of-practice-for-mediators-illinois/>> [15.02.2025].

¹¹² Lindstein T., Meteyard B., What Works in Family Mediation: Mediating Residence and Contact Disputes, Russell House Publishing Limited, 38 Silver Street, 1996, 104.

ციპები, როგორცაა: ნეიტრალიტეტი, ბავშვთა ინტერესების შესაბამისად მოქმედება და მათი დაცვა ყოველთვის ვერ იქნება თანაბრად პატივსაცემი ყველა გარემოებაში¹¹³ და მედიატორს შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევაში, მათ შორის არჩევანის გაკეთება მოუწიოს.

3.4. მედიატორის როლი ბავშვის მონაწილეობისა და მოსმენის უზრუნველყოფაში

3.4.1. ბავშვის მოსმენის აუცილებლობა მედიაციის სესიაზე

ბავშვის „საუკეთესო ინტერესები“ კვლავ რჩება მშობელთა გადანყვეტილებების სახელმძღვანელო პრინციპად, მათ შორის მედიაციაში (Kelly, 1997). თუმცა, მედიატორთა მხოლოდ მცირე ნაწილი ესაუბრება ბავშვებს მათი საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად. 1996 წელს, კალიფორნიაში ჩატარებულმა კვლევამ (Client Baseline Study) აჩვენა, რომ მედიატორების 16%-ზე ნაკლებმა გამოკითხა ბავშვები. კანადელი მოსამართლე ქლერ ლკერე-დიუბმა (1998, 389) აღნიშნავს: „ბავშვის საუკეთესო ინტერესებით მოქმედების პრინციპი მოითხოვს, რომ ყურადღებით მოვუსმინოთ ჩართული ბავშვების ხმებს ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით“. ბავშვის მეურვეობის შემფასებელთა უმეტესობაც ხედავს ბავშვებთან გასაუბრების მნიშვნელობას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის მცდელობაში (Ackerman, 1995; Ackerman & Ackerman, 1997; Hynan, 1998; Stahl, 1994). „ბავშვები ყველაზე მეტად განიცდიან განშორებასა და განქორწინებას, ასევე მედიაციის პროცესის შედეგებს და მათ უნდა ჰქონდეთ ხმა ამ პროცესში.“¹¹⁴ ამერიკული სტანდარტით, „გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ბავშვები არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას მედიაციის პროცესში მშობლების თანხმობისა და ბავშვისთვის სასამართლოს მიერ დანიშნული წარმომადგენლის თანხმობის გარეშე.“ ტერმინი – „განსაკუთრებული შემთხვევები“ განზრახ ადგენს მაღალ ბარიერს და არ ავალდებულებს მშობელს, ჩართოს ბავშვი პროცესში, თუ ის ამის წინააღმდეგია. ბავშვების მონაწილეობის საკითხი მშობლებმა ურთიერთშეთანხმებითა და ბავშვის თანხმობით უნდა გადანიშნონ.¹¹⁵

როგორც წესი, მედიაციის სესიამდე მისულ საოჯახო საქმეებს, წინ უძღვის საოჯახო კონფლიქტები, რომელთა შემსწრე და მონაწილე უდიდესი ალბათობით არის ბავშვი. ასეთ დავაში მოხვედრილი ბავშვი არის მეტად მონყვლადი, შესაძლოა ჰქონდეს დეპრესია, მიტოვების განცდა, დანაშაულის გრძობა, ფარული ან ღია აგრესია. შესაბამისად, მედიატორს მასთან განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რომ თავისუფლად გამოხატოს შეხედულებები და ამ შეხედულებებს სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ეს პრინციპი განმარტებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის N12 ზოგად კომენტარში, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს ერთი მხრივ, ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზების პრინციპს¹¹⁶ და მეორე მხრივ, ბავშვის შეხედულებების მოსმენისა და მათი ჩართვის უფლებას ყველა საკითხში, რომელიც ეხება ბავშვს, მათ შორის მისი საუკეთესო ინტერესების შეფასებას.¹¹⁷ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ვერ იქნება სწორად გამოყენებული, თუ არ დაკმაყოფილდება ამავე კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნები. ანალოგიურად, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი აძლიერებს მე-12 მუხლს, რადგან ხელს უწყობს ბავშვების როლის ზრდას მათ ცხოვრებაზე მოქმედ ყველა გადანყვეტილებაში.¹¹⁸ თუ ბავშვების მონაწილეობა უზრუნველყოფილია, მედიაციის შედეგად მიღებული შეთანხმებები უფრო ეფექტურად შეს-

¹¹³ Folberg J., Milne A.L., Salem P., *Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications*, New York, London, the Guilford Press, 2004, 131.

¹¹⁴ იქვე, 155-156.

¹¹⁵ Schoffer M.J., *Bringing Children to the Mediation Table: Defining a Child's Best Interest in Divorce Mediation*, New Jersey, Family Court Review, 2005, 43 (2), 326.

¹¹⁶ ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3 (1), <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf>> [14.02.26].

¹¹⁷ იქვე, მუხლი 12.

¹¹⁸ General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013, § 43.

რულდება,¹¹⁹ რადგან როდესაც ბავშვი უშუალოდ არის ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შედეგის მიმართ მეტი მიმდებლობა აქვს. შესაძლოა, ბავშვს გადაწყვეტის მისეული ხედვაც ჰქონდეს, რომელზეც მშობლებს მანამდე არ უფიქრიათ და ბავშვის პოზიციის მოსმენის შემდეგ, საერთო ინტერესისთვის უკან გადაწიონ საკუთარი პოზიციები.¹²⁰

ბავშვთა ინტერესების რეალურად დაცვა საოჯახო მედიაციის პროცესში გულისხმობს მედიატორის მიერ ბავშვის შინაგანი სამყაროსა და ქცევის სიღრმისეულ გაცნობას, რასაც მედიატორმა ბავშვის მოსმენითა და მისი გაგებით უნდა მიაღწიოს. ზოგიერთ ბავშვს შეიძლება არც სურდეს მედიაციაში მონაწილეობა ან მშობელი არ იყოს ამაზე თანახმა. ასეთ შემთხვევაში, ბავშვთან შესვდერა არ იქნება მიზანშეწონილი.¹²¹

ზოგიერთი ავტორი ბავშვის მედიაციაში ჩართვას მის ასაკს უკავშირებს. კერძოდ, 1.5-5 წლამდე ბავშვების მედიაციაში ჩართვა არაგონივრულია ენობრივი ბარიერის გამო, 5-7 წლამდე ბავშვები ადვილად მანიპულირებადები არიან მშობელთა მხრიდან, 8-10 წლის ასაკი კი საუკეთესოა ბავშვების მედიაციაში ჩასართავად.¹²² ბავშვის მოსმენის უფლება გარანტირებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც. კერძოდ, 7-18 წლის არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები/მზრუნველები. ამასთან, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც¹²³, ხოლო მცირეწლოვნების შემთხვევაში, აქვს დისკრეცია.¹²⁴ სასამართლო ბავშვს უსმენს, თუ მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა.¹²⁵ მსგავს დანაწესს ვხვდებით ბავშვის უფლებათა კოდექსშიც, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებმა, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესები განსაზღვრონ სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის პირველია – ბავშვის აზრის მოსმენა და სათანადოდ გათვალისწინება.¹²⁶ „ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.“¹²⁷ შესაბამისად, ბუნდოვანია რატომ არ უნდა რეალიზდეს ეს უფლება მედიაციაში, რომელიც კიდევ უფრო მეტად არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე?

საფუძველი და არგუმენტაცია აქვს მედიაციაში ბავშვის მონაწილეობის აუცილებლობასაც და მისი ჩართვის თანმდევ რისკებსაც. საბოლოო გადაწყვეტილება ბავშვის მონაწილეობაზე ინდივიდუალურად, კონკრეტული შემთხვევისა და თითოეული ბავშვის მახასიათებლების შესაბამისად უნდა იქნეს მიღებული.

3.4.2. მედიატორი, როგორც მსმენელი საოჯახო მედიაციაში

ინფორმაცია ბავშვის საჭიროებების შესახებ, როგორც წესი, საუკეთესოდ გროვდება უშუალოდ ბავშვისგან.¹²⁸ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისთვის მედიატორმა აქტიურად უნდა მოუსმინოს მშობლებსა და ბავშვს. ამ დროს, ის უნდა იყოს ღია და არაგანმსჯელი, უნდა უსმენ-

¹¹⁹ Folberg J., Milne A.L., Salem P., *Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications*, New York, London, the Guilford Press, 2004, 158.

¹²⁰ Rodríguez-Domínguez K., Roustan M., *The Inclusion of/Focus on Children in Family Mediation: A Review of Studies and Future Proposals*, Papeles del Psicólogo, 2015, 36(3), 199.

¹²¹ Lindstein T., Meteyard B., *What Works in Family Mediation: Mediating Residence and Contact Disputes*, Russell House Publishing Limited, 38 Silver Street, 1996, 196.

¹²² Adams C.W., *Children's Interest, Lost in Translation: Making the Case for Involving Children in Mediation of Child Custody Cases*, University of Dayton Law Review, 2011, 36 (3), 353, 4.

¹²³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 81 (3).

¹²⁴ იქვე, მუხლი 81 (5).

¹²⁵ იქვე, მუხლი 351¹³.

¹²⁶ საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, 27/09/2019, მუხლი 5 (2).

¹²⁷ იქვე, მუხლი 8 (1).

¹²⁸ Folberg J., Milne A.L., Salem P., *Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications*, New York, London, the Guilford Press, 2004, 177.

დეს არა მხოლოდ ბავშვის ან მისი მშობლების სიტყვებს, არამედ ამ სიტყვების მიღმა მათ ინტერესებსა და საჭიროებებს.¹²⁹ მხოლოდ ამ გზით შეუძლია მედიატორს სრულად გაიგოს, რას გამოხატავს მხარე. მოსაუბრემ უნდა იგრძნოს, რომ მედიატორი მას უსმენს და ესმის, ამიტომ მიზანშეწონილია, თუ ის გამოიყენებს ვერბალური და არავერბალური/ჟესტური დადასტურების ფორმებს, დასვამს დამაზუსტებელ კითხვებს, მისცემს უკუკავშირს, შეაჯამებს მოსმენილს და სრულად ფოკუსირდება მოსაუბრეზე.¹³⁰ მედიატორი ბავშვს უსმენს იმიტომ, რომ გაიგოს მისი გრძნობები, დამოკიდებულებები, ინტერესები, სურვილები და საჭიროებები. ამასთან, ბავშვის მოსმენით ის აღიარებს მისი აზრის მნიშვნელობას, რაც თავდაჯერებას მატებს ბავშვს და ნდობას უჩენს მედიატორის მიმართ. მსგავსად განწყობილმა ბავშვმა მედიატორს შესაძლოა ისეთი ინფორმაცია მიანოდოს, რასაც მშობლებს ვერ ეტყოდა. ვინაიდან, ბევრი ბავშვი პირდაპირი საუბრისგან თავს იკავებს, მისთვის თავისუფალი და უსაფრთხო გარემოს შესაქმენლად რეკომენდებულია, თუ მედიატორი გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად: ხატვას, თემატური ზღაპრების მოყვლას, თოჯინების თეატრს, ვიდეორგოლებს, სლაიდებს და სხვა.¹³¹ ბავშვს, მასზე მორგებული მეთოდებით მოსმენა, უმცირებს სტრესს, უქმნის კომფორტს და ის იწყებს რეალური საჭიროებების გამოხატვას. მას შემდეგ, რაც მედიატორი დარწმუნდება, რომ ბავშვი თავისუფლად გრძნობს თავს და მზადაა კონკრეტულ საკითხებზე საუბრისთვის, უნდა აუხსნას, რომ მათ შორის საუბარი იქამდე იქნება კონფიდენციალური, სანამ თავად არ მოისურვებს მისმა მშობლებმაც შეიტყონ ამის შესახებ. მედიატორმა ნეიტრალური კითხვებით უნდა გამოარკვიოს, რა ურთიერთობა აქვს ბავშვს თითოეულ მშობელთან, რა იცის მათ შორის კონფლიქტზე, რა ინფორმაცია აქვს მშობლებისგან, რა დამოკიდებულება აქვს მათ ქმედებებზე და რაში ხედავს გამოსავალს. მედიატორმა ბავშვს უნდა აუხსნას, რომ გადანყევტილებას მშობლები იღებენ, რადგან ეს მათი უფლებაა, თუმცა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი აზრი. ბავშვისთვის მისი მოსმენის შემდეგ უკუკავშირის დაბრუნება კი გარანტიაა იმისა, რომ მისი შეხედულებები არა მხოლოდ ფორმალურად მოისმინეს, არამედ სერიოზულად მიიღეს.¹³²

3.4.3. მედიატორის როლი ბავშვისგან მოსმენილი ინფორმაციის მშობლებისთვის გაზიარებისას

მას შემდეგ, რაც ბავშვებისგან ინფორმაცია შეგროვდება, მედიატორმა უნდა დაგეგმოს უკუკავშირის მშობლებისთვის წარდგენის ყველაზე ეფექტური გზა. ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მშობლებმა შეიძლება თავი დაუცველად იგრძნონ შვილების კრიტიკის ან უარყოფის მიმართ. რამდენადაც შესაძლებელია, მედიატორი უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვისგან მიღებული ინფორმაციის გადაცემისას, დარჩეს ნეიტრალური და არაგანმსჯელი მშობლების მიმართ.¹³³ პარალელურად, მან უნდა წაახალისოს ისინი, გაითვალისწინონ ბავშვების სურვილები.

კონფიდენციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მედიატორმა მშობლებს ბავშვისგან მიღებული მხოლოდ ის ინფორმაცია უნდა გაუზიაროს, რაზეც ბავშვი განაცხადებს ინფორმირებულ თანხმობას. ბავშვის მონანილეობითა და მოსმენით არა მხოლოდ ბავშვების, არამედ მშობელთა უფლებებიც რეალიზდება. ბავშვების საჭიროებების შესახებ უშუალო ცოდნის მიღებით, მედიატორს შეუძლია მშობლებს უფრო მეტი ინფორმაცია მიანოდოს შვილების ემოციური, ფსიქოლოგიური თუ სხვა საჭიროებების შესახებ – რაც, როგორც წესი, უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ზოგადი შენიშვნები განქორწინების გავლენაზე ბავშვებზე.¹³⁴ მედიატორმა უნდა გამოიყენოს ბავშვისგან მიღებული ცოდნა და მისი ნებართვით, მშობლებს აცნობს ბავშვების პერსპექტივები, ემოციები და კონ-

¹²⁹ იქვე, 236.

¹³⁰ იქვე, 238.

¹³¹ იქვე, 104-105.

¹³² *Bosisio R., Children's Right to Be Heard: What Children Think, International Journal of Children's Rights, Leiden, Koninklijke Brill NV, 2012, 153.*

¹³³ *Folberg J., Milne A.L., Salem P., Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications, New York, London, the Guilford Press, 2004, 173.*

¹³⁴ იქვე, 158.

ფლიქტის გაგრძელების რისკები.¹³⁵ ბავშვის მოსმენის შემდეგ, მნიშვნელოვანია, მედიატორმა მშობლებს აუხსნას, რომ მოერიდონ მისთვის შეკითხვების დასმას სესიის შინაარსზე, არ გააკრიტიკონ ის და არ გაუბრაზდნენ.¹³⁶

მედიატორს შეუძლია შეხვდეს მშობლებს ერთად, ბავშვებთან ერთად ან მათ გარეშე. მაგალითად, თუ ბავშვმა თქვა, რომ მამა დედაზე მეტად უყვარს ან მედიატორისთვის აშკარაა, რომ ბავშვის პოზიციები ერთ-ერთი მშობლის გავლენის შედეგია, მაშინ ბავშვი არ უნდა იყოს წარმოდგენილი უკუკავშირის სესიის დროს და სასურველია, მშობლებსაც ცალკე შეხვდეს. მეორე მხრივ, თუ ბავშვმა გამოხატა თანაბარი დამოკიდებულება ორივე მშობლის მიმართ, მაშინ ერთობლივი სესია შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს.¹³⁷

შესაძლოა, მშობლები არც ფლობდნენ ინფორმაციას ბავშვის რეალურ საჭიროებებზე ან ეგონოთ, რომ ინფორმირებულები არიან, მაგრამ ბავშვის რეალური პოზიციის მოსმენის შემდეგ მიხვდნენ, რომ ცდებოდნენ. შესაბამისად, ბავშვის ჩართულობა და მისი მოსმენა, მშობლებზეც დადებითად აისახება.

4. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრაში მონაწილე სუბიექტები კერძო და სასამართლო მედიაციაში

მედიაციის თეორიების პერსპექტივიდან შეიძლება, დაისვას კითხვა, ვის ეკისრება ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესრულების ვალდებულება?

მედიაციაში მხარეთა ავტონომიურობა¹³⁸ და თვითგამორკვევა ცენტრალური ელემენტია და მედიატორს არ აქვს საქმის გადანყვეტის უფლებამოსილება.¹³⁹ გადანყვეტილებას იღებენ მხარეები, ამ შემთხვევაში, ბავშვის მშობლები, რადგან ივარაუდება, რომ ისინი საუკეთესოდ არიან აღჭურვილნი ბავშვის „საუკეთესო ინტერესების“ განსაზღვრისთვის.¹⁴⁰ მაგრამ უნდა ვენდოთ თუ არა ერთმანეთთან დაპირისპირებულ მშობლებს იმაში, რომ ისინი ობიექტურად გაითვალისწინებენ თავიანთი შვილების საჭიროებებსა და ინტერესებს? ეს კითხვა ალბათ განსაკუთრებით აქტუალური იქნება სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, რომლის დროსაც მოსამართლის გადანყვეტილებით გადაეცემა საქმე მედიაციას და არა მხარეთა სურვილით¹⁴¹ და შეთანხმებაზე მხარეთა მზაობა ბევრად დაბალია.

გარდა მედიატორისა, მედიაციის სესიაზე შესაძლოა მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პროფესიის პირები: ადვოკატი, ფსიქოლოგი, სოც. მუშაკი და სხვა. შესაძლოა, ამ პირთა პოზიციებმა საბოლოო შეთანხმებაზე უდიდესი გავლენა მოახდინოს. მედიატორმა მაქსიმალურად ინფორმირებული შეთანხმების მიღწევისთვის, შესაძლოა მხარეები წაახალისოს შესაბამის ექსპერტების მიმართვაზე.¹⁴²

4.1. მშობლის როლი და პასუხისმგებლობა

„მშობელი არის ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე, გამოდის მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში.“¹⁴³ მშობლის განსაკუთრებული როლი და მისი თანმდევი პასუხისმგებლობები ბავშვის საუკეთესო

¹³⁵ იქვე, 98.

¹³⁶ იქვე, 164.

¹³⁷ იქვე, 174.

¹³⁸ *Nolan-Haley J.M.*, Court Mediation and the Search for Justice through Law, Washington University Law Quarterly, 1996, 74, 57.

¹³⁹ *Salminen K.*, Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective, Nordic Mediation Research, *Editors: Nylund A., Ervasti K., Adrian L.*, Cham, Springer International Publishing AG, 2018, 214.

¹⁴⁰ *Gottwik, P. J.*, Determining Best Interests of the Child in Divorce Custody Disputes: A Procedural Approach, Vermont Law Review 9, no. 2, 1984, 314.

¹⁴¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 187¹.

¹⁴² Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Association of Family and Conciliation Courts, 1987, Standard VI.

¹⁴³ საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, 27/09/2019, მუხლი 24 (3).

სო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, აღიარებულია ბავშვის უფლებათა კონვენციითაც. მართალია, კონკრეტულად მშობლები არ არიან მოხსენიებული ამ კონვენციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, თუმცა კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესები „მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.“¹⁴⁴ მშობლის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, პატივი სცენ მშობლების პასუხისმგებლობას, უფლებებსა და მოვალეობებს, რათა მათ იზრუნონ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების წარმოდგენაზე.¹⁴⁵ შესაბამისად, კონვენციის მიზანია, ბავშვის კეთილდღეობა და ამ კეთილდღეობის უზრუნველყოფის ძირითად სუბიექტად მშობელს აღიარებს არა მხოლოდ მისი მოვალეობებისა და ვალდებულებების, არამედ უფლებების თვალსაზრისითაც.

მშობელთა როლი და მათი პასუხისმგებლობა შვილების ინტერესების უპირატესად გათვალისწინებაში¹⁴⁶ დარეგულირებულია ქართული კანონმდებლობითაც. ისინი ვალდებული არიან თავიანთი უფლებები გამოიყენონ იმგვარად, რომ ამით ზიანი არ მიადგეს ბავშვის ინტერესებს.¹⁴⁷ მსგავს ან დაკავშირებულ მონესრიგებს არ ვხვდებით „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ან/და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის თავში.¹⁴⁸

საოჯახო მედიაციის მთავარი გამოწვევაა ბავშვის დამოუკიდებელი პერსპექტივა, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება ორივე მშობლის შეხედულებებს. ბავშვები არცთუ იშვიათად ხდებიან მშობლების მანიპულაციის მსხვერპლნი, რადგან მისგან მოელიან, რომ მათ დაუჭერენ მხარს მეორე მშობლის წინააღმდეგ. თუმცა, ბავშვების პერსპექტივიდან, მთავარი პრობლემა ხშირად არ არის სწორი მხარის არჩევა, არამედ ის, რომ მათ საერთოდ უნევთ არჩევანის გაკეთება.¹⁴⁹ თუ ბავშვი უარყოფს ერთ მშობელს, ეს ასევე ბავშვისთვის საკუთარი თავის უარყოფაა. ამიტომ, კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ ორივე მშობელთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება გადამწყვეტია ბავშვის ნორმალური განვითარებისთვის.¹⁵⁰

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს მედიაციაში განსაკუთრებული ადგილი აქვთ და მათი საჭიროებები უპირატესად რჩება მთელი პროცესის განმავლობაში, ისინი არ არიან საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები მხარეები. მედიაციის კონტექსტში, მშობლებს აქვთ უფლება და პასუხისმგებლობა, მიიღონ გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ რა არის საუკეთესო მათი შვილებისთვის¹⁵¹ და საოჯახო მედიაციაში ბავშვების მონაწილეობა არ ნიშნავს, რომ მშობლები უარს ამბობენ ამ პასუხისმგებლობაზე.¹⁵²

ბავშვის ცხოვრებაში ყველაზე დიდია მშობლის როლი და შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობაც. ბავშვისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სენსიტიური სწორედ მშობელთან დამოკიდებულებაა და როგორც წესი, სწორედ მათ ქცევას იმეორებენ. თუ ერთ-ერთი მათგანი მეორე მშობლის მიმართ აგრესიულია, შესაძლოა, მისი ქცევა ბავშვმაც გაიმეოროს, იმ მშობლის სასარგებლოდ, რომელთან ერთადაც თუნდაც იმ მომენტში ცხოვრობს. საოჯახო სამართლის დავები იმით არის გამორჩეული, რომ მათში გაძლიერებულია ემოციური კომპონენტი.¹⁵³ ცხადია, ამ პროცესს თან ახლავს სულ მცირე დისკომფორტი, ემოციური არასტაბილურობა, ლელვა, შიში და სხვა მძაფრი ემოციები. ამ ფონზე, საფრთხე არსებობს, რომ მხარეთა პირადი ინტერესები უნებურად ბავშვის ინტერესებზე მალ-

¹⁴⁴ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 20/11/1989, მუხლი 18 (1).

¹⁴⁵ იქვე, მუხლი 3 (2).

¹⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 1198.

¹⁴⁷ იქვე, მუხლი 1199.

¹⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, თავი XXI¹.

¹⁴⁹ *Emery R.E., Renegotiating Family Relationships, Divorce, Child Custody, and Mediation, second edition, New York, London, the Guilford Press, 2012, 14.*

¹⁵⁰ *Franzén T., Mandatory Mediation in the Best Interest of the Child, Faculty of Law University of Lund, 2007, 15.*

¹⁵¹ *Emery R.E., Renegotiating Family Relationships, Divorce, Child Custody, and Mediation, second edition, New York, London, the Guilford Press, 2012, 146.*

¹⁵² *Lindstein T., Meteyard B., What Works in Family Mediation: Mediating Residence and Contact Disputes, Russell House Publishing Limited, 38 Silver Street, 1996, 195.*

¹⁵³ *McFarlane T., Mediation: The Future of Dispute Resolution in Contemporary Scots Family Law, Aberdeen Student Law Review, 2012, 28.*

ლა დადგება. სწორედ ამ შემთხვევაში უნდა გაძლიერდეს მედიატორის როლი. მას შეუძლია მშობლების ყურადღება მიაქციოს ბავშვის პერსპექტივებსა და ინტერესებზე, მაგრამ საბოლოოდ, ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა მშობლებზეა დამოკიდებული.¹⁵⁴ კერძოდ, მედიატორისგან ინფორმირებული მშობლები თავად იღებენ გადაწყვეტილებას. სწორედ თვითგამორკვევა და მხარეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარია, რაც მედიაციას გამორჩეულსა და ეფექტიანს ხდის.

4.2. ბავშვის იურიდიული წარმომადგენლის როლი და უფლებამოსილება

მედიაციაში საკუთარი ინტერესების სათანადოდ წარმოსადგენად, მიზანშეწონილია თუ ბავშვი წარმოდგენილი იქნება ადვოკატით, რომელიც მხოლოდ მის ინტერესებს დაიცავს და მის ხმას გააჟღერებს. სამართლებრივი რისკების პრევენციისთვის, მედიატორმა უნდა წაახალისოს მხარეები დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსულტაციის მიღებაზე ადვოკატისგან და მოუწოდოს წარმომადგენლის ჩართულობისკენ.¹⁵⁵

მერილენდის ადვოკატთა კოლეგიის დასკვნის თანახმად, მეურვეობის დავაში ჩართული ადვოკატები ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ ისინი „წარმომადგენენ ბავშვს“. ვინაიდან, ბავშვი არ იხდის საადვოკატო მომსახურების თანხას, სავარაუდოა, რომ ადვოკატს უნარჩუნდება იმ პირის ერთგულება, რომელიც ამ საფასურს იხდის, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვზე ორიენტირებულ წარმომადგენლობას, თუკი ამ ორი პირის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდება.¹⁵⁶ ამ რისკის დასაძლევად, მედიაციის მხარეებმა შეიძლება ერთობლივად დაიქირაონ მიუკერძოებელი ადვოკატი, რომელიც წარმომადგენს საკონსულტაციო, არასავალდებულო მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გადაჭრას სასამართლომ მხარეთა შორის წამოჭრილი საკითხი¹⁵⁷, მათ შორის ბავშვთან მათი ურთიერთობა. ადვოკატის პროფესიის არსიდან გამომდინარე, მისი როლი მხოლოდ საკონსულტაციო დასკვნით ვერ ამოიწურება და საოჯახო მედიაციაში, გამართლებულია მისი უფრო აქტიურად ჩართვა და ბავშვის, როგორც კლიენტის, ინტერესების სრულყოფილად წარმოდგენა. ბავშვის ადვოკატირება ნიშნავს მისი, როგორც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედებას და მისი ნების საუკეთესოდ წარმოჩენას სხვადასხვა ორგანოების წინაშე.¹⁵⁸

ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და გამოიყენოს კანონით დადგენილი და გათვალისწინებული ყველა საშუალება, რომელიც აუცილებლად მიაჩნია კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის ნებისმიერი მოქმედება თუ უმოქმედობა განიხილება მისი კლიენტის ინტერესების დაცვის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.¹⁵⁹

ადვოკატთან ურთიერთობის კონტექსტში, ბავშვის საუკეთესო ინტერესი რეალიზებულია, თუ მას გაეწია სათანადო საადვოკატო მომსახურება. სათანადო წარმომადგენლობა გულისხმობს, ბავშვის განვითარების, მისი სოციალური და კულტურული მახასიათებლების, გადაწყვეტილების მიღების უნარისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერი და დამოუკიდებელი ადვოკატის მიერ მისთვის კვალიფიციური იურიდიული რჩევის მიცემასა და კონსულტირებას.¹⁶⁰ ადვოკატისთვის უპირატესი უნდა იყოს ბავშვის ინტერესები. თუ ბავშვის, როგორც კლიენტის მითითება, ადვოკატის შეფასებით, ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესს – ჰქონდეს ურთიერთობა მშობელთან, მან მაინც კლიენტის კანონიერი მითითებით უნდა იმოქმედოს. წინააღმდეგ შემ-

¹⁵⁴ Emery R.E., *Renegotiating Family Relationships, Divorce, Child Custody, and Mediation*, second edition, New York, London, the Guilford Press, 2012, 179.

¹⁵⁵ Bush R. A. B., *Efficiency and Protection or Empowerment and Recognition? The Mediator's Role and Ethical Standards in Mediation*, Fla. Law Rev., Vol. 41, 1989, 280.

¹⁵⁶ Crouch R.E., *Divorce Mediation and Legal Ethics*, Family Law Quarterly, 1982, 16(3), 228.

¹⁵⁷ Melamed J., *Mediating Divorce Agreement, Course Manual for the Online Training*, 61.

¹⁵⁸ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 27 მაისის N002/21 რეკომენდაცია, 2.

¹⁵⁹ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N084/15, § 5.3-5.4.

¹⁶⁰ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 01 მაისის N004/24 რეკომენდაცია, 4.

თხვევაში, ადვოკატის ქმედება შეფასდება არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად.¹⁶¹ შესაბამისად, ადვოკატის როლი არის კლიენტის კანონიერი მითითებების შესაბამისად მოქმედება და არა ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატ-კლიენტის პოზიციები რადიკალურად დაუპირისპირდება, წარმომადგენლობის გაგრძელება არაგონივრულია და უნდა შეწყდეს. მედიაციაში, ბავშვის აღქმის შესაბამისად, მისი საუკეთესო ინტერესების რეალიზებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩართული იყოს ბავშვთა უფლებებში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ბავშვთან ერთად ან მის გარეშე გააჟღერებს მის ხმას მედიაციაში და დამოუკიდებელი იქნება მედიაციის მხარეებისგან.

5. ბავშვის მოსმენის უფლების რეალიზების მექანიზმები, გამონვევები და გადაწყვეტის გზები მედიაციაში

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზებისთვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიაციაში მის მონაწილეობასა და მოსმენას. თუმცა, ჩვენს საკანონმდებლო ბაზაში არ არსებობს წესები, მედიატორმა რა მექანიზმებითა და მეთოდებით უნდა მოუსმინოს მას სესიაზე. წინამდებარე თავში, მიმოვიხილავ თეორიულად და პრაქტიკულად რა მეთოდების გამოყენება შეუძლია მედიატორს, რა არის ამ პროცესში მოსალოდნელი გამონვევები და მათ გადასაჭრელად რა გზები შეიძლება არსებობდეს.

5.1. ბავშვის მოსმენის ფორმები და მეთოდები მედიაციის პროცესში

მედიატორისთვის უდიდესი გამონვევაა იმის გარკვევა ბავშვი საკუთარ აზრსა და პოზიციას გადასცემს მას თუ მშობლის გავლენისა და მანიპულაციის ქვეშაა. მშობელთა კონფლიქტში მოხვედრილ ბავშვს აქვს სტრესი, რომელიც მედიატორმა უნდა შეამციროს შესაბამისი ზომების მიღებით. სტრესი შესაძლოა შემცირდეს შემდეგი ეტაპების გავლით: 1. მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვის მედიაციის სესიაზე ჩართვის სარგებელი, გრძელვადიან პერსპექტივაში, გადაწონის რისკებს; 2. ორივე მშობლისგან ბავშვის მონაწილეობაზე უნდა მიიღოს თანხმობა და 3. ორივე მშობელი უნდა მოამზადოს იმაში, თუ რა ინფორმაციის მიწოდებაა გონივრული ბავშვისთვის მედიაციის სესიაზე მოსვლამდე.¹⁶²

არ არსებობს ჩამოყალიბებული სტანდარტი რა არის მიზანშეწონილი დრო, ბავშვის მედიაციაში ჩასართავად. არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვი მედიაციაში საწყის ეტაპზე უნდა ჩაერთოს და მისი მოგვიანებით ჩართვა ალტერნატივად არ უნდა განიხილებოდეს.¹⁶³ ბავშვის აზრი საბოლოო შეთანხმებაში საუკეთესოდ ინტეგრირდება, თუ ის პროცესის დასაწყისშივე მოიპოვება.¹⁶⁴ თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ ბავშვი მედიაციის სესიაზე პერიოდულად და იმის მიხედვით უნდა ჩაერთოს, ნამოიჭრება თუ არა ისეთი საკითხი, რომლის გადასაჭრელადაც მისი მოსაზრება იქნება მნიშვნელოვანი. ბავშვის ჩართვა დასაშვებია მედიაციის ბოლო სესიაზეც, რომელზეც ინფორმაციას მიიღებენ მშობელთა სამედიაციო შეთანხმების შესახებ.¹⁶⁵

There is no established standard for the appropriate timing of a child's involvement in mediation. One perspective holds that the child should participate from the initial stage of mediation, and later involvement should not be considered an alternative.¹⁶¹ The child's opinion is best integrated into the final agreement when obtained at the outset of the process.¹⁶² However, another perspective suggests that the child should participate periodically, depending on whether an issue arises for which their opinion is significant. Child participation is also permissible in the final mediation session, where information regarding the parents' mediated agreement is provided.¹⁶³

The mediator must create a safe, comfortable, and free environment in which the child can speak openly. To achieve this, the child may be provided with toys, drawing materials, animations, or engaging stories, as well as other methods, until the child feels comfortable. During the conversation, the mediator should use language appropriate to the child's developmental stage¹⁶⁴ and carefully select questions.

It is advisable to begin with neutral questions that introduce the mediator to the child's personality and reduce stress, for example: "What is your favorite color?" or "What is the name of your best friend?" Questions that compel the child to choose between parents are inappropriate. "Every child has the right to remain free from taking sides, defending, or denigrating either parent."¹⁶⁵ Children are often too immature to fully understand what is in their best interests, especially in a conflictual environment. For instance, they may prefer to be with the parent who allows them to eat chocolate cake for breakfast. Children find it very difficult to disappoint the parent on whom they are entirely dependent. They are often willing to tell the mediator what the parent wants to hear. Once trust is established, the mediator should explore the child's level of information, what they know about the parents' divorce, and what expectations they hold.

Accordingly, it is more prudent to invite the child to the mediation session at an early stage, so the mediator can clearly understand their interests and attitudes. This allows the mediator to conduct sessions with the parents more productively, providing them with information obtained from the child, which may be new to the parents and facilitate reaching an agreement. This does not preclude inviting the child again if necessary; what is essential is that the session is conducted in an appropriate environment and format for the child.

In families with multiple siblings, the mediator must decide whether to hear them together or separately. Interviewing siblings together is justified because they can support each other in discussing difficult topics, making the children's attitudes clearer to the mediator. However, joint sessions are inappropriate if there is a significant age difference, radically differing positions, or if one child is considerably more dominant than the others.¹⁶⁶

¹⁶⁰ Folberg J., Milne A.L., Salem P., *Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications*, New York, London, the Guilford Press, 2004, 162.

¹⁶¹ Lindstein T., Meteyard B., *What Works in Family Mediation: Mediating Residence and Contact Disputes*, Russell House Publishing Limited, 38 Silver Street, 1996, 196

¹⁶² Folberg J., Milne A.L., Salem P., *Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications*, New York, London, the Guilford Press, 2004, 162.

¹⁶³ *Ibid.*, 161.

¹⁶⁴ *Ibid.*, 166.

¹⁶⁵ Melamed J., *Course Manual for the Online Training, Mediating Divorce Agreement*, 161, *Adapted from the Family Center of the Conciliation Court of Pima County, Arizona, 1991.

¹⁶⁶ Folberg J., Milne A.L., Salem P., *Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications*, New York, London, the Guilford Press, 2004, 165.

5.2. Grounds for Limiting the Child's Right to Be Heard

The purpose of a child's participation and being heard in mediation is primarily to safeguard their best interests. However, the mediator may not always exercise this option. For example, such a need may not exist when both parents acknowledge the child's needs and have a mutually agreed-upon plan for interacting with them; when the child is under three years of age; when the parents do not consent; or when the child themselves refuses to participate.¹⁶⁷

Some authors argue that the child's right to be heard should be limited because children who have not reached adolescence may not be reliable judges of their own best interests. Accordingly, their position should not be determinative in decision-making.¹⁶⁸ A child may also lack the mental capacity or intellectual readiness to participate in such processes.

The use of mediation in family disputes is not advisable in cases where there is clear evidence of domestic violence, allegations of sexual or physical abuse against children, one parent is dependent on alcohol or drugs, or when there is an obvious power imbalance between the parties.¹⁶⁹

The European Court of Human Rights, in *Sahin v. Germany*¹⁷⁰, did not find a violation when the national court decided without hearing the child, concluding that contact with the father would be detrimental. The court relied on an expert report, which determined, through meetings with the parents, that questioning the child carried risks that could not be avoided despite the court's efforts.¹⁷¹

5.3. Practical Recommendations for Realizing the Child's Best Interests in Mediation Sessions

This section offers several recommendations derived from the foregoing discussion:

1. **Informing the Parties Early:** At the initial stage of mediation, the mediator should provide the parties with information regarding the existence and significance of the child's right to participate and be heard. The mediator should remind the parties that they retain decision-making authority, but understanding the child's positions and reflecting them in the final agreement is in their mutual interest.
2. **Communication with the Child:** Interaction with the child involved in mediation should occur in a language and format appropriate to their age and developmental stage, within a suitable environment. The mediator should establish the child's trust through neutral questions and must provide information about the confidentiality of shared information.¹⁷²
3. **Mediator's Qualification and Continuous Development:** Although the mediator does not make decisions, they play a central role in realizing the child's best interests. It is therefore critical that the mediator possess appropriate education and be specifically trained for family mediation.¹⁷³ The mediator must acquire a deep understanding of family law, even if they cannot provide legal advice and may not be a lawyer. In this type of mediation, psychological or therapeutic skills are particularly necessary. The mediator must be knowledgeable about child development stages, family dynamics, the child's primary emotional state during parental divorce, the long-term effects of parental conflict on the child's psyche, and other relevant issues.¹⁷⁴ An unqualified mediator may, through inadequate realization of the child's right to be heard and participate, cause far greater harm than if the child were not involved at all. Mediator associations should ensure ongoing training and continuous education, and the state should provide appropriate funding to enhance the qualifications of mediators in family cases, since "the mediator must have the education and qualifications necessary to conduct the mediation process effectively."¹⁷⁵

¹⁶⁷ Ibid., 160.

¹⁶⁸ Ibid.

¹⁶⁹ Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, Law Reform Commission, (LRC 98-2010), 2010, 114-116.

¹⁷⁰ *Sahin v. Germany*, [2003] ECHR (no. 30943/96), § 73.

¹⁷¹ European Handbook of Children's Rights, *Lursmanashvili L.* (Translator), *Bobokhidze M.* (Ed.), Sulokhan-Saba Orbeliani University Press, 2020, 24-25 (in Georgian).

¹⁷² Law of Georgia "On Mediation," 18/09/2019, Article 10 (6).

¹⁷³ Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Association of Family and Conciliation Courts, 1987, Standard II.

¹⁷⁴ *Folberg J., Milne A.L., Salem P.*, Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications, New York, London, the Guilford Press, 2004, 177.

¹⁷⁵ Code of Professional Ethics for Mediators, LEPL "Georgian Mediators' Association", 2021, Article 1.1. (in Georgian).

4. **Co-Mediation in Family Mediation:** Co-mediation can be effective, involving both legal and psychological mediators. As noted above, proficiency in these two areas significantly influences the conduct and outcome of mediation. For example, in Finnish court-connected family mediation, the mediator is a district court judge assisted by an expert mediator. The expert mediator may be a social worker, psychiatrist, or psychologist specializing in divorced families and child development.¹⁷⁶
5. **Legislative Integration and Awareness-Raising:** Beyond raising awareness and implementing practical mechanisms, it is essential to integrate the principle of prioritizing the child's best interests, as well as the child's right to participate and be heard, into mediation-related legislation. The Law of Georgia "On Mediation" stipulates that, prior to commencing mediation, the mediator must explain to the parties their right to participate in the process through their representatives.¹⁷⁷ Within the mediation context, it would also be justified to emphasize the involvement of a child psychologist and a child's attorney. The participation of professionals in these two fields is so important in family mediation that, rather than merely reminding the parties of their right to invite them, direct instruction to include them may be appropriate.

The regulation of family mediation and the realization of the child's best interests depend equally on legislative provisions, the development of practical mechanisms, and the enhancement of awareness.

6. Conclusion

Assessing and determining the child's best interests is an extremely complex and multifaceted process. It requires an individualized approach and careful examination of a range of factors. The complexity of the matter does not justify the mediator or the parties in avoiding the child's participation in mediation or failing to hear the child.

In mediation, the principle of prioritizing the child's best interests should be clearly understood and effectively implemented, drawing on the guiding standards established in the legal systems of the United Nations, the European Union, and the Council of Europe. While there is no precise definition of the "best interests of the child," as demonstrated above, one of the primary mechanisms for defining and realizing this concept is to ensure informed participation and hearing of the child in an environment and manner appropriate to their age and development. As a rights-holder, the child must have the opportunity to actively exercise these rights in mediation.

The child's participation in mediation should not be treated as an optional measure; rather, it should be a given from the very outset, although in specific cases, it may not become necessary. Georgian legislation should regulate this right in such a way that it arises directly from statutory provisions, ensuring that the mediator does not need to rely on general principles or, intentionally or inadvertently, avoid the responsibility to hear the child. While, in some instances, the child's best interests might be partially assessed through consultation with the parents alone, the concept of the "child's best interests" is so complex and multi-layered that it cannot be reliably determined without hearing the child. In this context, the Finnish model of mediation is instructive, where, in family matters, the mediator is legally obligated to ensure that both the mediation process and its outcomes align with the child's best interests (Article 10 of the Mediation Act, with reference to the Child Custody Act, particularly Article 10).¹⁷⁸

Not only children but also parents are often insufficiently informed, live in challenging and conflictual environments, and may be unable to make fully rational decisions. In such circumstances, tactical and strategic interventions¹⁷⁹ by an experienced, objective, and impartial mediator to guide them toward rational choices and informed decisions are justified.¹⁸⁰ In family mediation, the mediator must demonstrate strong process

¹⁷⁶ *Salminen K.*, Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective, *Nordic Mediation Research*, Editors: *Nylund A., Ervasti K., Adrian L.*, Cham, Springer International Publishing AG, 2018, 212.

¹⁷⁷ Law of Georgia "On Mediation," 18/09/2019, Article 8 (1).

¹⁷⁸ *Salminen K.*, Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective, *Nordic Mediation Research*, Editors: *Nylund A., Ervasti K., Adrian L.*, Cham, Springer International Publishing AG, 2018, 212.

¹⁷⁹ *Chitashvili N., Chalidze T.*, The Freedom of Considering Family Law Disputes in Mediation and Possible Ethical-Legal Dilemmas, *Journal "Alternative Dispute Resolution – Yearbook"* (Special Edition), TSU Press, 2022, 67 (in Georgian).

¹⁸⁰ *Chitashvili N.*, The Scope of Regulation of Mediation Ethics and the Addressees Bound by Ethical Standards, "Journal of Law", №1, 2016, 31 <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [14.02.25].

management skills, plan the sequence of sessions appropriately, create a supportive environment¹⁸¹, address power imbalances between the parties¹⁸², select suitable language and forms of communication, clarify key issues, identify parties' interests and demands, ensure comfort, actively listen, balance power dynamics, and remain empathetic, calm, non-judgmental, considerate, and neutral while mitigating tension between the parties. The mediator must ensure not only that an agreement is reached, but also that the agreement does not contravene the child's well-being. To this end, the mediator may recommend the involvement of professionals specialized in children's rights, such as a child psychologist or child's attorney.

Crucially, the mediator must maintain neutrality, refrain from excessive interference in the parties' self-determination, and preserve the core value of mediation – the parties' autonomous decision-making. The enforceability and long-term effectiveness of a mediated agreement depend on the parties' voluntary acceptance; if they later perceive the agreement as a result of the mediator's influence rather than their own genuine will, the outcome loses legitimacy, and the child's interests may be disregarded.

Through timely, precise, and targeted questioning, the mediator must help the parents focus on acting in accordance with the child's best interests and guide them from conflict toward cooperation, as the final decision ultimately rests with them.

Although Georgian legislation does not explicitly mandate the child's participation in mediation when the matter under consideration affects the child, the law should provide for the child's involvement in the mediation process, with limitations applied only in specific cases based on appropriate grounds. The child's participation should be manifested not merely by listening but by understanding their position, accurately communicating it to the parents, and reflecting it in the mediated agreement.

Bibliography:

1. *Civil Code of Georgia*, 14/11/1997 (in Georgian).
2. *Civil Procedure Code of Georgia*, 14/11/1997 (in Georgian).
3. *Child Care Act, Ireland*, 1964.
4. *Constitution of Georgia*, Legislative Bodies of the Parliament of Georgia, 24/08/1995 (in Georgian).
5. *Convention on the Rights of the Child*, 1989.
6. *Convention on the Rights of the Child*, 2007, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf> [14.02.2025] (in Georgian).
7. *Convention on the Rights of the Child*, United Nations Treaty Collection, https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-11&chapter=4&clang=_en [14.02.2025].
8. *Declaration of Geneva on the Rights of the Child*, 1924, Preamble.
9. *Declaration of the Rights of the Child*, General Assembly of the United Nations, A/RES/14/1386, 1959.
10. *European Convention on Human Rights*, 04/11/1950 (in Georgian).
11. *Explanatory Note to the Draft Law of Georgia on the Code of the Rights of the Child*, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214086?> [14.02.2025] (in Georgian).
12. *Family Mediation Recommendation No. R (98) I*, adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 21 January 1998, and explanatory memorandum, Council of Europe Publishing.
13. *General Comment No. 14, on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration* (Article 3, § 1), CRC/C/GC/14, UN Committee on the Rights of the Children, 2013.
14. *Law of Georgia "On Mediation"*, 18/09/2019 (in Georgian).
15. *Law of Georgia on the Code of the Rights of the Child*, 27/09/2019 (in Georgian).
16. *Marriage and Divorce Act § 402*, 9A U.L.A., 1982, 561.
17. *Mediation Directive*, 2008/52/EC.
18. *Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation*, Association of Family and Conciliation Courts, 1987.
19. *Recommendation No. R (98) I*, Committee of Ministers to Member States on Family Mediation, Council of Europe, Committee of Ministers, 1998, Preamble, <https://rm.coe.int/rec-98-1e-on-family-mediation/1680a3b3ef> [14.02.2025].

¹⁸¹ Waldman E., *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 98.

¹⁸² *Ibid.*, 97.

20. *Standards of Practice for Mediators*, Standard IV (c), Mediation Council of Illinois, 1999, <https://mediate.com/standards-of-practice-for-mediators-illinois/> [15.02.2025].
21. *Strategic Development Plan of the Association of Mediators of Georgia 2020-2025*, Tbilisi, 2020, 2, <https://mediators.ge/uploads/media/5f5fb99460eb2.pdf> [14.02.2025] (in Georgian).
22. *Code of Professional Ethics for Mediators*, LEPL “Association of Mediators of Georgia,” 2021 (in Georgian).
23. *Adams C.W.*, Children’s Interest, Lost in Translation: Making the Case for Involving Children in Mediation of Child Custody Cases, *University of Dayton Law Review*, 2011, 36 (3).
24. *Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation*, Law Reform Commission, (LRC 98-2010), 2010.
25. *Bakradze M.*, Official Journal of the Georgian Bar Association “My Lawyer,” *Juvenile Justice – What We Should Know?*, 2021, <https://shorturl.at/gQ6Eb> [14.02.2025] (in Georgian).
26. *Bichia M.*, Confidentiality and Ethical Dilemmas in the Mediation Process, *Burduli I.* (ed.), *Journal “Alternative Dispute Resolution – Annual,”* TSU Press, N1, 2023 (in Georgian).
27. *Bosisio R.*, Children’s Right to Be Heard: What Children Think, *International Journal of Children’s Rights*, Leiden, Koninklijke Brill NV, 2012.
28. *Bobokhidze M.*, Legal Guarantees for the Priority of the Child’s Best Interests Principle, Dissertation, Tbilisi, 2020 (in Georgian).
29. *Bush R.A.B.*, Efficiency and Protection or Empowerment and Recognition? The Mediator’s Role and Ethical Standards in Mediation, *Fla. Law Rev.*, Vol. 41, 1989.
30. *Butler V.F.*, *Mediation Essentials and Expectations*, USA, Dorrance Publishing Co., Inc., 2004.
31. *Cashmore J.*, *Parkinson P.*, Children’s Participation in Family Law Disputes: The Views of Children, Parents, Lawyers and Counsellors, *Family Matters*, 2009, No. 82.
32. *Chitashvili N.*, *Chalidze T.*, Regulatory Framework of Mediation Ethics and Recipients Bound by Ethical Standards, “*Law Journal*,” №1, 2016, 31, <https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf> [14.02.2025] (in Georgian).
33. *Chitashvili N.*, *Chalidze T.*, Freedom of Consideration of Family Law Disputes in Mediation and Potential Ethical-Legal Dilemmas, *Journal “Alternative Dispute Resolution – Annual”* (Special Edition), TSU Press, 2022 (in Georgian).
34. *Cohen O.*, *Dattner N.*, *Luxenburg A.*, The Limits of the Mediator’s Neutrality, *Mediation Quarterly*, Vol. 16, No. 4, 1999.
35. *Convention on the Rights of the Child*, 2007, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf> [14.02.2025] (in Georgian).
36. *Crouch R.E.*, Divorce Mediation and Legal Ethics, *Family Law Quarterly*, 1982, 16(3).
37. *Decision of the Ethics Commission of the Georgian Bar Association*, 28 September 2016, Case #084/15 (in Georgian).
38. *Emery R.E.*, *Renegotiating Family Relationships, Divorce, Child Custody, and Mediation*, 2nd ed., New York, London, the Guilford Press, 2012.
39. *Fantony v. Fantony*, 21 N.J. 525, 122 A.2d 593 (1956).
40. *Folberg J.*, *Milne A.L.*, *Salem P.*, *Divorce and Family Mediation Models, Techniques, and Applications*, New York, London, the Guilford Press, 2004.
41. *Franzén T.*, *Mandatory Mediation in the Best Interest of the Child*, Faculty of Law University of Lund, 2007.
42. *Gottwik P.J.*, Determining Best Interests of the Child in Divorce Custody Disputes: A Procedural Approach, *Vermont Law Review* 9, no. 2, 1984.
43. *Hopkins P.E.*, Evaluative Mediation Upholding the Child’s Best Interests, *Conciliation Courts Review*, 1982, 20 (2), 63.
44. *Kandashvili I.*, Alternative Dispute Resolution: Judicial and Non-Judicial Forms in Georgia Using Mediation as an Example, Tbilisi, 2018, 72, https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf [15.02.2025] (in Georgian).
45. *Kishore S.*, The Evolving Concepts of Neutrality and Impartiality in Mediation, *Commonwealth Law Bulletin*, Vol. 32, #2, 2006, 222.
46. *Kuester E.L.*, Confidentiality in Mediation: A Trial of Broken Promises, Vol. 16, No. 2, *Hamline Journal of Public Law & Policy*, 1994-1995.
47. *Lindstein T.*, *Meteyard B.*, *What Works in Family Mediation: Mediating Residence and Contact Disputes*, Russell House Publishing Limited, 38 Silver Street, 1996.
48. *Lursmanashvili L.* (translator), *Bobokhidze M.* (ed.), *European Child Rights Law Manual*, Sul Khan-Saba Orbeliani University Press, 2020 (in Georgian).

49. *McFarlane T.*, Mediation: The Future of Dispute Resolution in Contemporary Scots Family Law, Aberdeen Student Law Review, 2012.
50. *Melamed J.*, Course Manual for the Online Training, Mediating Divorce Agreement.
51. *Moore C.*, The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict, San Francisco, 1986, 52.
52. *Mower A.G. Jr.*, The Convention on The Rights of the Child, International Law Support for Children, Greenwood Press, 1997, 23-24.
53. *Nolan-Haley J.M.*, Court Mediation and the Search for Justice through Law, Washington University Law Quarterly, 1996, 74.
54. *Recommendation of the Ethics Commission of LEPL "Georgian Bar Association"*, 01 May 2024, № 004/24 (in Georgian).
55. *Recommendation of the Ethics Commission of LEPL "Georgian Bar Association"*, 27 May 2021, № 002/21 (in Georgian).
56. *Rodriguez-Dominguez K.*, Roustan M., The Inclusion of/Focus on Children in Family Mediation: A Review of Studies and Future Proposals, Papeles del Psicólogo, 2015, 36(3).
57. *Roberts M.*, Family mediation: The development of the regulatory framework in the United Kingdom, Conflict Resolution Quarterly 22, no. 4, 2005, 511.
58. *Salminen K.*, Mediation and the Best Interests of the Child from the Child Law Perspective, Nordic Mediation Research, Editors: Nylund A., Ervasti K., Adrian L., Cham, Springer International Publishing AG, 2018.
59. *Schoffer M.J.*, Bringing Children to the Mediation Table: Defining a Child's Best Interest in Divorce Mediation, New Jersey, Family Court Review, 2005, 43 (2).
60. *Sorkow H.R.*, Best Interests of the Child: By Whose Definition, Pepperdine Law Review, 1991, 18 (2), 384.
61. *Spencer D.*, Brogan M., Mediation Law and Practice, China, Cambridge University Press, 2006.
62. *Townsley B.* (editor.), Understanding Justice, Middlesex University Press, 2016.
63. *Waldman E.*, Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 98.
64. *Welsh N.A.*, The Thinning Vision of Self-Determination in Court-Connected Mediation: The Inevitable Price of Institutionalization?, Harvard Negotiation Law Review, Rev 1, 2001, 16.
65. *Willow C.*, Children's Right to be Heard and Effective Child Protection, Save the Children Sweden, 2010 (in Georgian).
66. *Zarnadze E., Chalidze T.*, Institute of Psychology in the Context of a Multidisciplinary Approach to Juvenile Justice, "Law Journal," №1, 2024 (in Georgian).
67. *Sahin v. Germany*, [2003] ECHR (no. 30943/96).
68. *N.Ts. and others v. Georgia*, [2016] ECHR (no. 71776/12).
69. *M.K. v. Greece*, [2018] ECHR (no. 51312/16).

ქეთევანი დალაგაშვილი*

სამედიაციო მორიგების აღსრულების ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

სტატია ეძღვნება მედიაციას, როგორც კონფლიქტების მართვის¹ თანამედროვე და არაკონფრონტაციულ მექანიზმს², რომლის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამედიაციო მორიგებების აღსრულების სამართლებრივ უზრუნველყოფაზე. ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკაში სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი მექანიზმების სისტემურ ანალიზსა და შეფასებას.

ამასთან, კვლევა ეხმიანება 2025 წლის 9 დეკემბერს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონსა (შემდეგში – კანონი) და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – კოდექსი) XLIV³ თავში, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვნად მოდიფიცირდა მედიაციის ორი ფუნდამენტური მიმართულება: (ა) კერძო და სასამართლო სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმი; (ბ) მედიატორთა პროფესიული ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ინსტიტუციური მექანიზმები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეფორმა წარმოადგენს მედიაციის ინსტიტუციური განვითარების ახალ ეტაპს საქართველოს ისტორიაში, რომლის მიზანიც არის მედიაციის ჩარჩოს ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან და პროფესიული რეგულირების გაძლიერება, რეფორმას თან ახლავს გარკვეული თეორიული და პრაქტიკული გამოწვევებიც. კერძოდ, კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის ახალი რედაქციის პირობებში, რომლის მიხედვითაც, სასამართლო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგება სასამართლოს მიერ იმავე განჩინებით დამტკიცდება, ბუნდოვანი რჩება, ექვემდებარება თუ არა ასეთი სამედიაციო მორიგება ავტომატურ აღსრულებას მხარეთა დამატებითი მიმართვის გარეშე და ხომ არ შეიძლება აღნიშნული მიჩნეულ იქნეს მედიაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის, ნებაყოფლობითობის პრინციპის, შეზღუდვად.

ამავდროულად, სტატიაში წარმოდგენილია სინგაპურის კონვენციის როლი საერთაშორისო მედიაციის ფარგლებში მიღწეული მორიგებების აღსრულების უზრუნველყოფის კონტექსტში და შეფასებულია მისი გავლენა სხვადასხვა იურისდიქციის – ევროპული, აზიური და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემების – პრაქტიკაზე. შედარებითი ანალიზის საფუძველზე, დადგენილია ის ძირითადი გამოწვევები და მიდგომები, რომელთა რეალიზებაც ხელს შეუწყობს სამედიაციო მორიგების აღსრულების სანდოობისა და სტანდარტების გაუმჯობესებას.

ამავე დროს, ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია მედიაციის პროცესის გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ნდობის გაზრდისკენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. რეკომენდაციები მოიცავს სასამართლოს დისკრეციის ფარგლების მკაფიო განსაზღვრას სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სამედიაციო მორიგების აუცილებელი რეკვიზიტების დაზუსტებას, ჰიბრიდული მედიაციის მოდელების ინტეგრაციას, საერთაშორისო აღსრულების პროცედურების სტანდარტიზაციასა და არსებული პრაქტიკის ჰარმონიზაციას. კანონში და კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ნაშრომში ასევე მოცემულია განმარტებითი ხასიათის რეკომენდაცია, რომელიც მიზნად

* სამართლის მაგისტრი, ადვოკატთა ასოციაციის ადაპტაციის პროგრამის მსმენელი, მედიატორთა სასერტიფიკატო პროგრამის კურსდამთავრებული.

¹ Roberts M., *Mediation in Family Disputes: Principles of Practice*, Ashgate Publishing, 2008, 229.

² Kriesberg L., Northrup T. A., Northrup, *Constructive Conflicts: From Escalation to Resolution*, Rowman & Littlefield Publishers, 2017, 2.

ისახავს კერძო და სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგებების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმების დიფერენცირებას.

საკანძო სიტყვები: მედიაცია, სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულება, საკანონმდებლო ცვლილება, ჰიბრიდული მოდელები.

1. შესავალი

კონფლიქტი სოციალური ინტერაქციის განუყოფელი ნაწილია³, რომელიც უძველესი დროიდან თან სდევს ცივილიზაციის განვითარებას.⁴ კაცობრიობის პროგრესის პარალელურად კონფლიქტების გადაჭრის გზები ტრანსფორმაციას განიცდიდა. რადიკალური და ძალადობრივი ფორმებიდან თანდათანობით ჩამოყალიბდა მშვიდობიანი და კონსტრუქციული მიდგომების სისტემა.⁵

21-ე საუკუნეში კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და აპრობირებულ სამართლებრივ მექანიზმად მიჩნეულია მედიაცია⁶, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს.

მედიაცია, როგორც ნეიტრალური მესამე მხარის ჩართულობით დავის გადაწყვეტის პროცესი, საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა.⁷ თანამედროვე გაგებით, მედიატორი წარმოადგენს ნეიტრალურ მესამე პირს⁸, რომელიც მხარეებს კომუნიკაციის ეფექტიან წარმართვასა და კონფლიქტის ურთიერთმისაღები ფორმით გადაწყვეტაში⁹ ეხმარება.

სამართლებრივი სისტემების განვითარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ალტერნატიული დავის გადაწყვეტის მექანიზმების სასამართლო სისტემასთან ინტეგრაციასთან.¹⁰ აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სამართლებრივი კონფლიქტების მოქნილ, ნაკლებხარჯიანი და ოპტიმალური ფორმით მოგვარებას.

ამგვარად, სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ტრადიციულ ფორმებთან ერთად, მოდერნიზებული სისტემები მნიშვნელოვნად ეფუძნება შეთანხმებაზე დაფუძნებულ, ორიენტირებულ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მოდელებს. მედიაციის, როგორც ამ კატეგორიის ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტის მიზანია, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი კონფლიქტის ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტა.¹¹

საზოგადოების დაინტერესება მედიაციის მიმართ მზარდ ხასიათს ატარებს, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მედიაცია ასოცირდება დავების მოგვარების სწრაფ და ნაკლებად კონფრონტაციულ გზასთან.¹²

ბიზნეს სექტორისთვის მედიაცია ასევე ჩამოყალიბდა დავის გადაწყვეტის სასურველ და პრიორიტეტულ მექანიზმად, რაც დაკავშირებულია ხარჯების ოპტიმიზაციისა და მხარეთათვის მისაღები შედეგის მიღწევის შესაძლებლობასთან.¹³

³ Azar E.E., *Protracted Social Conflict: An Analytical Framework in The Management of Protracted Social Conflict Theory and Cases*, Dartmouth Publishing Company London, United Kingdom, 1990, 1.

⁴ Fisher R., Ury W., Patton B., *Getting to Yes: Negotiating Agreement Without Giving In*, Second edition by Fisher, Ury and Patton random house business book 1991, 6-8.

⁵ იქვე, 15-17.

⁶ Stulberg J.B., *Mediation: A Comprehensive Guide to Resolving Conflicts Without Litigation*, American Arbitration Association, 1986, 4-7.

⁷ Bush R.A.B., Folger J. P., *The Promise of Mediation: Responding to Conflict Through Empowerment and Recognition*, Jossey-Bass, University of Michigan Law School, 1994, 23.

⁸ Moore C. W., Spencer L. K., *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, 2015, 15.

⁹ Moore C. W., *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, San Francisco: Jossey-Bass Publishers, 2004, 11-13.

¹⁰ Welsh N. A., *The Thinning Vision of Self-Determination in Court-Connected Mediation: The Inevitable Price of Institutionalization?* Harvard Negotiation Law Review, 2001, 6-10.

¹¹ Hoffman D. A., *Bringing Peace into the Room: How the Personal Qualities of the Mediator Impact the Process of Conflict Resolution*, 2003, 13-14.

¹² Mayer B. S., *The Dynamics of Conflict Resolution: A Practitioner's Guide*, 2000, 145-148.

მედიაციის საშუალებით მიღწეული შეთანხმების ეფექტურობა პრაქტიკაში უკავშირდება მისი აღსრულების შესაძლებლობას.¹⁴ სწორედ ამ კონტექსტში, განსაკუთრებულ იურიდიულ მნიშვნელობას იძენს სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმი, რაც განსაზღვრავს იმ ინსტიტუციურ და პროცესუალურ ჩარჩოებს, რომლებიც აუცილებელია სამედიაციო მორიგების ნამდვილობისა და აღსრულებადობისთვის.¹⁵

მედიაციის ინსტიტუტის როლი როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, დინამიურად ვითარდება, ვინაიდან იგი ხელს უწყობს პროცესუალური ხარჯების შემცირებას, სასამართლო სისტემის ეფექტიანობის ზრდას, სოციალური სამართლიანობის განმტკიცებასა და სამართლებრივ მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაფართოებას.¹⁶ თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სამედიაციო მორიგების აღსრულების იურიდიული მექანიზმები ჯერ კიდევ არ ხასიათდება ერთგვაროვანებით, სამართლებრივი პროგნოზირებადობის, ნდობისა და პროცესის სანდოობის თვალსაზრისით, თავს იჩენს გარკვეული სირთულეები.

იმის გათვალისწინებით, რომ სამედიაციო მორიგება თავისთავად არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას სასამართლო ჩარევის გარეშე, შესაბამისად, მედიაცია წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმების ხელშეწყობ პროცესს, ხოლო მედიატორი თავისი ფუნქციური ბუნებით, არ ახორციელებს მართლმსაჯულებას და არ ირგებს მოსამართლის მანტიას.¹⁷

ამრიგად, სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმის რეგულირება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იურიდიული პროგნოზირებადობის უზრუნველსაყოფად, არამედ მხარეთა ნდობის გასამყარებლად ალტერნატიული დავების გადაწყვეტის მექანიზმების მიმართ.¹⁸ სწორედ ამ გამოწვევამ განაპირობა საერთაშორისო დონეზე ერთიანი სტანდარტების შექმნის აუცილებლობა.¹⁹

სამედიაციო შეთანხმებების აღსრულების თვალსაზრისით, კარდინალურ როლს ასრულებს სინგაპურის კონვენცია საერთაშორისო კომერციულ მედიაციაზე მიღწეულ შეთანხმებათა შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2018 წელს გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (ე.წ. UNCITRAL) მიერ²⁰. კონვენციის ეფექტური მოქმედება დამოკიდებულია მასში მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობასა და ნაციონალურ სამართალში იმპლემენტაციის ხარისხზე, რაც კვლავ წარმოშობს პრაქტიკულ და დოგმატურ გამოწვევებს.²¹

წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციების შედარებით ანალიზზე, რაც უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებასა და საქართველოს შიდა კანონმდებლობის სრულყოფის პოტენციალის შეფასების შესაძლებლობას.

აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები,²² ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს აღნიშნული საკანონმდებლო რეფორმის

¹³ ცერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ყიფიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ცერცვაძე გ. (რედ.), დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 164.

¹⁴ <<https://blog.cpradr.org/tag/report-on-international-mediation-and-enforcement-mechanisms/>> [16.06.2025]

¹⁵ Wolff R., The Singapore Convention on Mediation: A Commentary, 2020, 49-52.

¹⁶ Law Reform Commission, Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, Ireland, 2010, 67-68.

¹⁷ El Siddik A., Enforceability of the Mediation Outcome, eLaw Journal: Murdoch University Electronic Journal of Law, Vol. 17, Issue 2, 2010, 21.

¹⁸ მშვილდაძე თ., მედიატორის როლი მედიაციის დასრულების ეტაპზე ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადური 2020, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 67.

¹⁹ <<https://www.ejiltalk.org/a-new-legal-framework-for-the-enforcement-of-settlement-agreements-reached-through-international-mediation-uncitral-concludes-negotiations-on-convention-and-draft-model-law/>> [16.06.2025].

²⁰ Singapore Convention on Mediation, 2018. <https://uncitral.un.org/en/texts/mediation/conventions/international_settlement_agreements> [16.06.2025].

²¹ A handbook on singapore convention on mediation, Second Edition, 2021, 22-24.

²² <<https://mediators.ge/ka/article/mediaciis-shesaxeb-saqartvelos-kanonshi-dargis-shemdgomi-ganvitarebistvis-umnishvnelovanesi-cvllibi-xorcieldeba/577>> [16.06.2025]

ანალიზი, რომელიც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის განმტკიცებას, ხოლო, მეორე მხრივ, აჩენს კითხვებს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეძლებს ქართული სამართლებრივი სისტემა პრაქტიკულ გამოწვევებზე ეფექტიან რეაგირებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

2. სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი ბუნება

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სამედიაციო მორიგება წარმოადგენს მედიაციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ წერილობით დოკუმენტს, რომლის შესრულება სავალდებულოა.

სამედიაციო მორიგება, რომლის პირობებსაც მხარეები ნებაყოფლობით განსაზღვრავენ სასამართლოს ჩარევის გარეშე, თავისუფალი და ურთიერთშეთანხმებული ხასიათის გამო, აღსრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.²³ აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მხარეებს თავად აქვთ ინტერესი შეასრულონ მათ მიერ შეთანხმებით მიღწეული ვალდებულებები.²⁴

მიუხედავად ამისა, სამედიაციო შეთანხმებების სავალდებულო წესით აღსრულებადობის უზრუნველყოფა ნებისმიერ შემთხვევაში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები მომავალში შესრულებას ექვემდებარება ან მხარეებს ესაჭიროებათ მათი შესრულების სამართლებრივი გარანტიები.²⁵

მედიაციის შესახებ კანონის მე-13 მუხლი ახალი რედაქცია არეგულირებს კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების სასამართლო წესით აღსრულების სამართლებრივ საფუძვლებსა და პროცედურას. ნორმის მიხედვით, ასეთი მორიგება შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლო აღსრულებას მხარეთა შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, ხოლო აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ. ამასთან, სასამართლო კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს განიხილავს მედიაციის შესახებ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. შესაბამისად, მე-13 მუხლის მოქმედი რედაქცია კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულებადობას უკავშირებს როგორც მხარეთა ავტონომიურ ნებას, ისე სასამართლო კონტროლის პროცედურულ ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფს მის იძულებითი აღსრულების შესაძლებლობას კანონით განსაზღვრული პირობების დაცვით.

სამედიაციო მორიგების აღსრულების სავალდებულო ხასიათი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო კონტექსტში, რამეთუ სწორედ აღსრულების მექანიზმების ფრაგმენტულობა და იურისდიქციათაშორისი განსხვავებები განაპირობებს საერთაშორისო სამედიაციო შეთანხმებების პრაქტიკული ეფექტიანობის შეზღუდვას. ასეთ პირობებში აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეები არა მხოლოდ ახანგრძლივებს დავის საბოლოო გადაწყვეტის ვადებს, არამედ ზრდის მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯებს,²⁶ რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მედიაციის, როგორც ეფექტიანი ტრანსნაციონალური დავის გადაწყვეტის მექანიზმის, სრულფასოვან ფუნქციონირებას.

სწორედ ამიტომ, რიგი ეროვნული კანონმდებლობებისა, სასამართლოებს უფლებამოსილებას ანიჭებს, სასამართლო წარმოების დაწყების გარეშეც კი, სამედიაციო შეთანხმებას მიანიჭონ სასამართლო გადაწყვეტილების ეკვივალენტური იურიდიული ძალა.²⁷

²³ *Menkel-Meadow C., Love L. P., Schneider A. K., Mediation: Practice, Policy, And Ethics (First Edition), Aspen Publishing, 2022, 20-27.*

²⁴ *Leda M. Cooks, Claudia L. Hale, The Construction of Ethics in Mediation, 12 Mediation Q. 55, 1994, 62.*

²⁵ *Chua E., Enforcement of International Mediated Settlement Agreements, Singapore Management University, 2019, 15-20 .*

²⁶ *Stipanowich T. J., Multi-Tier Commercial Dispute Resolution Processes in the United States, Legal Studies Research Paper Series, 2020, 8-12.*

²⁷ *Akhtar N., Alternative Dispute Resolution: Concept, Criticism and Future of Arbitration and Mediation, Global Legal Studies Review, 2023, 38-40 .*

ნორდიკული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებები ორგვარ აღსრულებადობას იძენს, კერძოდ, ან სასამართლო ჩანაწერში შეტანის გზით, რაც მათ სასამართლო მორიგების სტატუსს ანიჭებს და პირდაპირ აღსრულებადს ხდის, ან ჩვეულებრივი სახელშეკრულებო შეთანხმების სახით, რაც მათ სახელშეკრულებო სამართლის ზოგად წესებს დაუქვემდებარებს.²⁸ აღსანიშნავია, რომ ნორვეგიაში არსებობს გარკვეული ფორმალური მოთხოვნები სასამართლო მორიგებისთვის, დანიისგან განსხვავებით, თუმცა ეს მოთხოვნები შეზღუდულია და მხარეთა არჩევანი შეთანხმების სტატუსის შესახებ მნიშვნელოვანია მისი აღსრულების მექანიზმის განსაზღვრისთვის.²⁹

ონტარიოს (კანადა) 2010 წლის „კომერციული მედიაციის აქტის“ შესაბამისად, შესაძლებელია სამედიაციო მორიგების ე.წ. „რეგისტრაცია“ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში, რის შედეგადაც მას ენიჭება სასამართლო განჩინების მსგავსი აღსრულებადი ძალა.³⁰

ფილიპინების 2004 წლის ალტერნატიული დავების გადაწყვეტის აქტი მხარეებს უფლებას აძლევს წარადგინონ სამედიაციო შეთანხმება სასამართლოში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს მას დაჩქარებული პროცედურით.³¹

სინგაპურის კონვენცია³² კი საშუალებას იძლევა, რომ მედიაციის გზით მიღწეული მორიგება გარკვეული საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღიარებულ იქნას სასამართლოს მიერ და მიენიჭოს აღსრულებადი ხასიათი, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს სამედიაციო მორიგების აღსრულებას.³³

მექანიზმი, რომლის საფუძველზეც შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოს შეუძლია სამედიაციო შეთანხმებას მიანიჭოს იძულებითი აღსრულების ძალა, ავტომატურად არ გულისხმობს მის საერთაშორისო აღიარებასა და აღსრულებას.³⁴ ეს ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულად ერთი სახელმწიფოს სასამართლო არ არის ვალდებული აღიაროს ან აღასრულოს მეორე ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება (მათ შორის, სასამართლოს მიერ დამტკიცებული სამედიაციო მორიგება), თუ არ არსებობს შესაბამისი მრავალმხრივი ან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ამ საკითხს არეგულირებს³⁵. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად შეიქმნა სინგაპურის კონვენცია, რომელიც მიზნად ისახავს სამედიაციო მორიგებების ტრანსსასაზღვრო აღსრულების გამარტივებას.

მიუხედავად ამისა, სინგაპურის კონვენცია, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, არ ხასიათდება უნივერსალური მოქმედებით და მისი გამოყენება შემოიფარგლება მხოლოდ იმ სახელმწიფოებით, რომლებიც კონვენციის მონაწილეები არიან. შესაბამისად, კონვენციის არსებობის პირობებშიც კი, რეგიონულ და სახელმწიფოთაშორის ორმხრივ შეთანხმებებს კვლავ შენარჩუნებული აქვს მნიშვნელოვანი როლი სამედიაციო მორიგებების აღიარებისა და აღსრულების უზრუნველყოფაში.

ამგვარად, რეგიონალური და ორმხრივი შეთანხმებები ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგებების აღსრულების სფერო რთული სამართლებრივი მექანიზმია.³⁶ მისი ეფექტიანი

²⁸ Nylund A., *Ervasti K., Adrian L. (eds), Nordic Mediation Research*, Springer Open, 2017, 86.

²⁹ იქვე, 87-88.

³⁰ Commercial Mediation Act, 2010, <<https://www.ontario.ca/laws/statute/10c16a>> [16.06.2025].

³¹ Alternative Dispute Resolution Act of 2004, Republic Act No. 9285 (Philippines), Section 17. <https://lawphil.net/statutes/repacts/ra2004/ra_9285_2004.html> [16.06.2025].

³² United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2018 https://uncitral.un.org/en/texts/mediation/conventions/international_settlement_agreements [16.06.2025]

³³ Alexander N., Campbell-Ross N., (Eds.), *The Singapore Convention: A Commentary*, Kluwer Law International, 2020, 55-60.

³⁴ Fach Gómez K., *The Role of Mediation in International Commercial Disputes: Reflections on some Technological, Ethical and Educational Challenges*, Mediation in International Commercial and Investment Disputes, Oxford University Press, 2019, 4-8.

³⁵ Alexander N., Chong S., Giorgadze V., *The Singapore Convention on Mediation: A Commentary*, 2022, 16-20.

³⁶ Spencer D., Brogan M., *Mediation Law and Practice*, Published in the United States of America by Cambridge University Press, New York, 2006, 12-16.

გამოყენებისთვის აუცილებელია სხვადასხვა იურიდიული ინსტრუმენტის – იქნება ეს ევროკავშირის რეგულაციები, რეგიონული კონვენციები თუ ორმხრივი ხელშეკრულებები – ერთობლივი მოქმედება.

შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების არარსებობის პირობებში სამედიაციო მორიგებების საერთაშორისო აღსრულების ეფექტიანობა ვერ მიიღებს სათანადო განმტკიცებას, რაც ზღუდავს მედიაციის, როგორც საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის მექანიზმის, პრაქტიკულ პოტენციალს.³⁷

2.1. სამედიაციო მორიგების სამართლებრივი ბუნება: კერძო სამართლის გარიგება თუ პროცესუალური ინსტიტუტი

სამედიაციო მორიგება, როგორც მედიაციის შედეგი,³⁸ წარმოადგენს მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ან/და პოტენციური დავის გადაწყვეტას.³⁹ სამედიაციო მორიგება მხოლოდ მაშინ იქნის საერთაშორისო აღსრულების პოტენციალს, როდესაც მას მიენიჭება გარკვეული „უფლებრივი ტიტული“ იქნება ეს სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება, თუ კონვენციით აღიარებული სტატუსი.⁴⁰

სამედიაციო მორიგების სამართლებრივი ბუნება კომპლექსური და მრავალმხრივი საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ იგი არსებითად წარმოადგენს კერძო სამართლებრივ გარიგებას⁴¹, რომელიც ეფუძნება მხარეთა ნების ავტონომიას, მისი ეფექტურობისა და პრაქტიკული ღირებულების გაზრდის მიზნით⁴², მას ხშირად ენიჭება პროცესუალური ინსტიტუტის მახასიათებლები, განსაკუთრებით აღსრულებადობის ক্ষრილში.⁴³

სამედიაციო მორიგების კერძო სამართლის გარიგებად განხილვის მომხრეები აპელირებენ მხარეთა ავტონომიისა და ნების თავისუფლების⁴⁴ პრინციპებზე. ამ მიდგომის თანახმად, სამედიაციო მორიგება განიხილება როგორც მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე მიღწეული შეთანხმება, რომლის მიზანია კონკრეტულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, ცვლილება ან შეწყვეტა. ეს დეფინიცია სამედიაციო მორიგებას გარიგების ერთ-ერთ ფორმად აქცევს, სადაც მხარეები დისპოზიციური უფლებით სარგებლობენ დავების ნაკლებად კონფრონტაციული გზით გადასაწყვეტად.

გარიგების ამგვარი გაგება უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობასა და სამოქალაქო ბრუნვის მონანილეთა კეთილსინდისიერებას.⁴⁵ იმ შემთხვევაში თუ სამედიაციო მორიგება განხილული იქნება როგორც ერთგვარი გარიგება, მაშინ სამედიაციო მორიგება არსებითად არ განსხვავდება სხვა სახის ხელშეკრულებებისგან, როგორცაა, მაგალითად, ნასყიდო-

³⁷ *Wheeler M.*, What's Fair Ethics for Negotiators, A Publication of the Program on Negotiation at Harvard Law School, 2004, 16-20.

³⁸ *Susmann E.*, The Final Step: Issues in Enforcing the Mediation Settlement Agreement, Newsletter of the Mediation Committee of the International Bar Association, Vol. 2, No1, 2006, 2.

³⁹ *Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S.*, Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration, and Other Processes, 7th ed., Aspen Publishers, 2015, 120-123.

⁴⁰ *Chua E.*, Enforcement of international mediated settlements without the Singapore convention on mediation, Singapore Management University, 2019, 574-579.

⁴¹ ადვიშვილი ი., ბარნაბიშვილი გ., ბიჭია მ., განერელია ა., გერსამია ნ., დულაშვილი ს., ეგნატაშვილი დ., თოდუა უ., იმნაიშვილი თ., კიკილაშვილი გ., სიხარულიძე ტ., ტყემალაძე ს., ყანდაშვილი ი., ჩაჩავა ს., ჩაჩანიძე ე., ჩიტაშვილი ნ., ხურციძე ა., ჯორბენაძე ს., მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ყანდაშვილი.ი(რედ), გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024, 52-53.

⁴² აკობია თ., კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკანონმდებლო გარანტიები ევროკავშირის ნევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარების მაგალითზე წელიწადულის 2021, თსუ-ის გამომცემლობა, 87-88.

⁴³ *Lerman L., Schneider A. K.*, Mediation: Law, Policy, and Practice, Aspen Publishers, 2021, 300-305.

⁴⁴ *Bush R. A. B., Folger J. P.*, The Promise of Mediation: Responding to Conflict Through Empowerment and Recognition, 1994, 50.

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1404-2024.

ბის, ქირავნობის ან მომსახურების ხელშეკრულებები. შესაძლოა ითქვას, რომ ზემოხსენებული პო-
ზიციის ერთ-ერთი მხარდამჭერი გერმანული სამართლის დოქტრინაც არის, რომელშიც სამედიაც-
ციო მორიგება ხშირად განიხილება, როგორც შედარებითი ხელშეკრულება ე.წ. *Vergleichs-
vertrag*.⁴⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 779-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლი-
თაც მხარეებს შორის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა ან გაურკვევლობა
წყდება ორმხრივი მორიგებით, ბათილია, თუ ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით დადგენილად
მიჩნეული ფაქტები არ შეესაბამება რეალობას და დავა არ წარმოიშობოდა, ფაქტები ცნობილი
რომ ყოფილიყო.

ანგლო-ამერიკულ სამართალში მორიგების ხელშეკრულება (ე.წ. *settlement agreement*) განიხი-
ლება, როგორც ხელშეკრულება, რომელიც აკმაყოფილებს ყველა იმ ნინაპირობას, რაც ხელშეკრუ-
ლების ნამდვილობისთვის არის საჭირო.⁴⁷ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანგლო-ამერიკულ სა-
მართალში მორიგების ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება, სავალდე-
ბულო ძალის მქონეა მხარეთათვის და მისი დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლო-
ში მისი აღსრულების მოთხოვნა.⁴⁸ ამგვარი მიდგომის უპირატესობები მიდგომარეობს იმაში, რომ ის
ხელს უწყობს მხარეთა ავტონომიას, ამცირებს სახელმწიფოს ინტერვენციას კერძო-სამართლებრივ
ურთიერთობებში და იძლევა ლავირების შესაძლებლობას შეთანხმების შინაარსის განსაზღვრაში.⁴⁹
თუმცა გარკვეული გამოწვევები აქვს აღნიშნულ მიდგომასაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც
მორიგება მიღწეულია სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.

სამედიაციო მორიგების პროცესუალურ ინსტიტუტად განხილვის მომხრე ავტორთა არგუმენ-
ტაცია ეფუძნება მის მჭიდრო კავშირს სასამართლო პროცესთან და, ზოგადად, სასამართლოს
როლს მორიგების აღსრულების უზრუნველყოფაში.⁵⁰

ამ თვალსაზრისით, მორიგება არ არის მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება,
არამედ წარმოადგენს ე.წ. პროცესუალურ აქტს, რომელსაც გარკვეული საპროცესო შედეგები
მოყვება.

შესაძლოა ითქვას, რომ ევროპის დირექტივა 2008/52/EC⁵¹ აღსრულებადობის კუთხით გარ-
კვეულნილად ათანაბრებს კერძო და სასამართლო სამედიაციო მორიგებების სტატუსს. კერძოდ,
დირექტივის მე-6 მუხლი ითვალისწინებს, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უზ-
რუნველყონ, სამედიაციო მორიგებების აღსრულება თუ ისინი დამტკიცდება სასამართლოს ან სხვა
კომპეტენტური ორგანოს მიერ. ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამედიაციო მორიგების სა-
მართლებრივი ბუნების შესახებ არ არსებობს გაბატონებული მოსაზრება, თუმცა, ორივე მიდგომას
– კერძო სამართლის გარიგებად და პროცესუალურ ინსტიტუტად განხილვას – აქვს თავისი არგუ-
მენტაციები და ნაკლოვანება.

სამედიაციო მორიგების ფორმის განსაზღვრისას კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ
მისი ფორმალური რეგულირება არ ქმნიდეს მხარეთათვის ხელოვნურ ბარიერებს უკვე მიღწეული
შეთანხმების აღსრულების პროცესში. მეორე მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ისეთი სამედიაციო მორი-
გების ფორმირებას, რომელიც სრულად უზრუნველყოფს მის აღსრულებასა და გამორიცხავს ბუნ-
დოვან, არააღსრულებად შინაარსს.⁵²

⁴⁶ *Wagner G.*, *Mediation im Wirtschaftsrecht*, 2012, 100-105.

⁴⁷ *Menkel-Meadow C.*, *Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model*, West Academic, 2005, 250-255.

⁴⁸ *Carbonneau T.E.*, *The Law And Practice of Arbitration*, *Aria* Vol. 17, No. 2, 2006, 20-29.

⁴⁹ *Fraidenburg M., Teale T.*, *The Art of Mediation – Key Skills for New Mediators: Exploring Challenges, Growth, and Success in Mediation*, Paperback, 2024, 30-34.

⁵⁰ ადვიშვილი ი., ბარნაბიშვილი გ., ბიჭია მ., განერელია ა., გერსამია ნ., დულაშვილი ს., ეგნატაშვილი დ.,
თოდუა უ., იმნაიშვილი თ., კიკილაშვილი გ., სიხარულიძე ტ., ტყემალაძე ს., ყანდაშვილი ი., ჩაჩავა ს.,
ჩაჩანიძე ე., ჩიტაშვილი ნ., ხურციძე ა., ჯორბენაძე ს., მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის
კომენტარი, ყანდაშვილი.ი(რედ), გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024, 53.

⁵¹ *Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008*, <<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2008/52/oj/eng>> [16.06.2025].

⁵² *უზნაძე ნ.*, სამედიაციო მორიგების აღსრულების გამომრიცხავი გარემოებები საქართველოსა და
ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის მიხედვით, *ჟურნ. დავის ალტერნატიული
გადანწყვეტა, წელიწადი 2020-2021, თსუ-ის გამომცემლობა*, 121.

თავის მხრივ, სასამართლოს ზედამხედველობა და სამედიაციო მორიგების შინაარსის შემონ-
გება შეიძლება შეფასდეს მხარეთა ავტონომიის შეზღუდვად, ვინაიდან იგი გულისხმობს მხარეთა
ნებაზე გარკვეულ ინტერვენციას და ზღუდავს მათ შესაძლებლობას, შეთანხმება არასტანდარტუ-
ლი პირობებით ჩამოაყალიბონ. ამასთან, სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების შემონგება
უზრუნველყოფს მისი შინაარსის კანონიერებას და იცავს მხარეებს უსამართლო ან არაკეთილსინ-
დისიერი პირობებისგან, რაც, საბოლოოდ, სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის გან-
მტკიცებას უწყობს ხელს.⁵³

3. სამედიაციო მორიგების აღსრულებადობა, როგორც მორიგების სამართლებრივი ძალის განმსაზღვრელი ელემენტი

სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც მხარეთა შორის გარკვეულ უფლება-მოვალეო-
ბებს წარმოშობს, აუცილებელია არსებობდეს გარკვეული დამცავი ბერკეტი, რაც უზრუნველყოფს
მხარეთა შორის ნდობას.⁵⁴ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნათა ეფექტური რეალიზაცია,
განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დავა ვერ წყდება მოლაპარაკების, მედიაციის ან სხვა ალტერნა-
ტიული საშუალებებით, საჭიროებს იძულებით აღსრულების მექანიზმის ამოქმედებას.⁵⁵ ასეთ ვითა-
რებაში სასამართლო წარმოადგენს ყველაზე ეფექტიან ინსტიტუციურ ბერკეტს, რომლის საშუალე-
ბითაც მხარე ახორციელებს იმ უფლებებს, რომლებიც მას მატერიალური სამართლის ნორმებით
აქვს მინიჭებული.⁵⁶

სასამართლოსადმი მიმართვა უზრუნველყოფს სამართლის უზენაესობის პრინციპის პრაქტი-
კულ განხორციელებას.⁵⁷ სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იძენს
აღსრულებადობის თვისებას, რაც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, განახორციელოს მხარის
მიერ ნაკისრი ვალდებულების იძულებითი შესრულება.⁵⁸ მიუხედავად ამისა, სასამართლოსთვის მი-
მართვის საკითხი სრულად ექვემდებარება უფლებამოსილი პირის დისკრეციას. სამართლებრივი
სისტემა უზრუნველყოფს უფლების დაცვის ინსტიტუციურ შესაძლებლობას, თუმცა, კონკრეტული
სუბიექტის გადასანყვეტია, ისარგებლებს თუ არა ამ შესაძლებლობით. აღნიშნული მიანიშნებს იმა-
ზე, რომ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების არსებობა არ ნიშნავს მის ავტომატურ საპროცე-
სო რეალიზაციას. ამისთვის საჭიროა დაინტერესებული მხარის აქტიური ნება და შესაბამისი პრო-
ცედურული მოქმედებების განხორციელება.⁵⁹

მხარეთა უფლებების დაცვის ასეთ მექანიზმს წარმოადგენს აღსრულება, რომლის საშუალები-
თაც შესაძლებელია, შეთანხმებები და სასამართლო გადაწყვეტილებები იძულებით აღსრულდეს,
იმ შემთხვევაში მხარეები ნებაყოფლობით არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.⁶⁰

აღსრულების ელემენტის გარეშე ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო
თუ სამედიაციო შეთანხმება მხოლოდ ფორმალურ აქტად დარჩებოდა, რომელსაც იმპერატიულად
შესასრულებელი სავალდებულო ხასიათი არ ექნებოდა. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით
მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონტექსტში, სადაც იურისდიქციებს შორის განსხვავებები

⁵³ Burr A., *International Mediation and Arbitration: A Practical Guide*, Oxford University Press, 2017, 85-90.

⁵⁴ Berkoff L.A., Kline C.L., Falk T.N., *Mediation Matters, The Use of Mediation in Large Chapter 11 Cases: Useful, Voluntary and Mandatory (Part II)*, 2023, 62.

⁵⁵ Santiago F., *Law Enforcement to Mediation*, 2017, 15.

⁵⁶ Jacqueline M., *Judicial Review of Mediated Settlement Agreements: Improving Mediation with Consent*, 5 Y.B. Arb. & Mediation 152, 2013, 153-154.

⁵⁷ Raz J., *The Authority of Law Essays on Law*, Clarendon Press, 1979, 43.

⁵⁸ Andrews N., *Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos*, Intersentia Publishing, 2008, Chapter 2, 23.

⁵⁹ მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 206.

⁶⁰ Pesudovs A., *The civil procedure principles as the essential basis for undisputed enforcement of obligations*, Rīga Stradiņš University, 2018, 9-10.

ზოგჯერ ართულებს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას.⁶¹

სააღსრულებო წარმოება წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით⁶² გათვალისწინებული „სამართლიანი სასამართლოს“⁶³ უფლების არსებით და იმამენტურ კომპონენტს. აღნიშნული დებულება არა მხოლოდ სასამართლო განხილვის სამართლიანობასა და დროულობას უზრუნველყოფს, არამედ გულისხმობს სასამართლო და სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტურ აღსრულებას.⁶⁴ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არსებითი მნიშვნელობის მქონეა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის და იგი განამტკიცებს სასამართლო სისტემის ავტორიტეტს.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მუდმივად ხაზს უსვამს იმას, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება აზრს კარგავს, თუკი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება არ ხდება სათანადო დროში და ფორმით.⁶⁵ ნებისმიერი შეფერხება ან უარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე პოტენციურად არღვევს კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ უფლებას, რადგანაც ეს უკანასკნელი მოიცავს არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების, არამედ მისი რეალიზაციის საშუალებასაც.⁶⁶

მაშასადამე, აღსრულების მთავარი მიზანი სამართლიანობის აღდგენა და სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფაა.⁶⁷ სამედიაციო მორიგების სამართლებრივი უპირატესობა განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით, არამედ მისი ფაქტობრივი აღსრულებადობით.⁶⁸ ბუნებრივია, აღსრულების მექანიზმების გარეშე სამედიაციო მორიგება რჩება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებად, რომელიც არ იძლევა სათანადო დაცვას მექანიზმებს.⁶⁹

შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი პრაქტიკა აღსრულებადობას მიიჩნევს სამედიაციო მორიგების ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად, რომელიც განსაზღვრავს მის სამართლებრივ სტატუსს, სარგებელსა და მდგრადობას.⁷⁰ სამედიაციო მორიგების აღსრულების მექანიზმის არსებობა წარმოადგენს ბოლო ნაბიჯს, რომელიც მედიაცია ეფექტიანობამდე მიჰყავს და უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესთა დაცვას.⁷¹

აღსანიშნავია, რომ მანამ, სანამ სინგაპურის კონვენცია არ იქნა მიღებული, საერთაშორისო სამედიაციო მორიგებებს ხშირად აკლდათ ის იურიდიული ძალა და უნიფიცირებული აღსრულების მექანიზმი, რაც, მაგალითად, ნიუ-იორკის კონვენციამ არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს მიანიჭა. აღნიშნული გარემოება განაპირობებდა იმას, რომ წარმატებული მედიაციის შემთხვევაშიც კი, თუ ერთ-ერთი მხარე შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას ნებაყოფლობით არ შეასრულებდა, მეორე მხარეს კვლავ უნევდა სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოების ინიცირება მორიგების პირობების იძულებითი შესრულების მიზნით.⁷² ამ თვალსაზრისით, სინგაპურის კონვენცია არის ერთ-ერთი

⁶¹ *Sussman E.*, The New York Convention Through a Mediation Prism, *American Review of International Arbitration*, Vol. 20, No. 3-4, 2009, 1-2.

⁶² <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat> [16.06.2025].

⁶³ *Immobiliare Saffi v. Italy*, [1999] ECHR, No. 22764/93, 1999.

⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/596, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2016 წლის 30 სექტემბერი.

⁶⁵ *Hornsby v. Greece*, ECHR, No. 18357/91, March 19, 1996.

⁶⁶ *ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონღაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდემჰააგი ი.*, აღსრულების სამართლის ტრენდების სახელმძღვანელო, თბ., 2020, 9.

⁶⁷ *Deason E.E.*, Enforcing Mediated Settlement Agreements: Contract Law Collides with Confidentiality, 35 *U.C. Davis L. Rev.* 2001, 14-16.

⁶⁸ *Manetska K.*, Enforceability of Mediation Settlement Agreements: Ukrainian Perspective in the Light of Current Trends, 2019, 85.

⁶⁹ *Rhee C.H. van, Verkerk R.*, Civil Litigation in China and Europe, Essays on the Role of the Judge and the Parties, 2014, 283-284.

⁷⁰ EU Mediation Law Handbook Regulatory Robustness Ratings for Mediation Regimes, 2017, 538.

⁷¹ *Anderson D.Q.*, The Singapore Convention on Mediation: Supplying the Missing Piece of the Puzzle for Dispute Resolution, *Asian Journal of International Law*, 2020, 7.

⁷² *Butlien R.*, The Singapore Convention on Mediation: A Brave New World for International Commercial Mediation, *Dispute Resolution Journal*, 2020, 190.

უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც უშუალოდ სამედიაციო მორიგებების აღსრულებას ეხება.⁷³ მისი მიღება განპირობებული იყო იმ საჭიროებით, რომ მედიაციას მინიჭებოდა მსგავსი საერთაშორისო აღსრულებადობა, როგორც ნიუ-იორკის კონვენციამ მინიჭა არბიტრაჟს.⁷⁴

3.1. სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი მექანიზმების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ მედიაცია ხშირად განიხილება, როგორც „მეგობრული“ ან ე.წ. „არა-ფორმალური“ პროცესი, სამედიაციო მორიგებას გააჩნია ღრმა იურიდიული მნიშვნელობა. ის არა მხოლოდ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებაა, არამედ წარმოადგენს მხარეთა სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან გარანტიას.⁷⁵

როგორც უკვე აღინიშნა, აღსრულების ელემენტის გარეშე სამედიაციო მორიგება შეიძლება დარჩეს მხოლოდ „ჯენტლმენურ შეთანხმებად“, რომლის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს კვლავ მოუწევს სასამართლოში მიმართვა დავის თავიდან დასაწყებად, რაც ექვემდებარება აყენებს მედიაციის უპირატესობებს.⁷⁶

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2025 წლის 9 დეკემბრის ცვლილებებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებითად გარდაიქმნა სამედიაციო მორიგების აღსრულების საპროცესო რეგულაცია. კერძოდ, კოდექსის 187⁷-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი, რომელიც სასამართლო მედიაციის ფარგლებში მიღწეული მორიგების აღსრულებას XLIV¹³ თავით დადგენილ სპეციალურ წესს უკავშირებდა. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება გაუთანაბრდა სასამართლო მორიგებას. მოსამართლე არა ცალკე წარმოებით (XLIV¹³ თავით), არამედ იმავე განჩინებით, რომლითაც წყვეტს საქმის წარმოებას, ამტკიცებს მორიგების პირობებს. ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ სასამართლო მედიაციის შემთხვევაში აღარ არის საჭირო დამატებითი განცხადების წარდგენა და განჩინება თავად არის აღსრულებადი დოკუმენტი. აღნიშნული საკითხი ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

კონტინენტურ-ევროპული სამართლის ზოგიერთ სისტემაში სამედიაციო მორიგების აღსრულების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მექანიზმად მისი ნოტარიულად დადასტურება მიიჩნევა.⁷⁷ ეს პრაქტიკა ემყარება ნოტარიუსის როლს, რომელსაც ენიჭება დოკუმენტთა ავთენტურობისა და კანონიერების დამოწმების უფლებამოსილება.⁷⁸ ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მორიგების შეთანხმება, გარკვეულ პირობებში, იძენს სასამართლო გადაწყვეტილების ტოლფას ძალას აღსრულების კონტექსტში, რაც არსებითად ამარტივებს და აჩქარებს მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების პრაქტიკულ რეალიზაციას.⁷⁹

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 794-ე⁸⁰ მუხლიდან გამომდინარე, ნოტარიუსის მიერ შედგენილი ან დამოწმებული დოკუმენტი, რომელსაც მხარეები ნებაყოფლობით დაეთანხმნენ, შეიძლება წარმოადგენდეს პირდაპირ აღსრულებად დოკუმენტს. ეს ნიშნავს იმას, რომ შეთანხმებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია მიმართოს

⁷³ <https://uncitral.un.org/en/texts/mediation/conventions/international_settlement_agreements> [16.06.2025].

⁷⁴ Levin J., The Singapore Convention on Mediation: A Commentary, *Arbitration International*, Vol. 35, Issue 3, 2019, 373-376.

⁷⁵ ნულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 28.

⁷⁶ De Palo G., Trevor M.B., *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 88-89, 103.

⁷⁷ Law No. 192/2006 on mediation and the organization of the mediator profession <<https://www.uv.es/medarb/observatorio/leyes-mediacion/europa-resto/romania-mediacion-act-2006.pdf>> [16.06.2025].

⁷⁸ Bungenberg M., Koevski G., Böhme B., Kocev L., Fröhlich M., Zdraveva N., *Alternative Dispute Resolution in the Western Balkans: Trends and Challenges*, Springer, 2024, pp. 108-109.

⁷⁹ Tsvina, T., Ferz, S., Tvaronavičienė, A., Riener, P. "The Implementation of Consensual Tenet in Modern Civil Procedure: Comparative Analysis of Court-Connected Settlement Procedures Applied in Austria, Lithuania, and Ukraine," *European Journal of Comparative Law and Governance*, Vol. 9, Issue 1, 2022, 33.

⁸⁰ Zivilprozessordnung (ZPO) – § 794 <https://www.gesetze-im-internet.de/zpo/_794.html> [19.06.2025]

სააღსრულებო ორგანოს, სასამართლოს განჩინების მოპოვების საჭიროების გარეშე.⁸¹ აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებით გავრცელებულია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, მემკვიდრეობითი და ოჯახური სამართლის საკითხებში, ასევე გარკვეული სახის კომერციულ გარიგებებში, სადაც სწრაფი აღსრულების შესაძლებლობა აუცილებელია.⁸²

ესპანეთში ე.წ. “*escritura pública*” არის ნოტარიუსის მიერ დადასტურებული საჯარო დოკუმენტი, რომელსაც ასევე გააჩნია აღსრულებადი ძალა.⁸³ აღნიშნული მოდელი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის ხელშეკრულებაში, მათ შორის, იმ შეთანხმებებში, რომლებიც გულისხმობს ფულადი ვალდებულებების დარღვევას. ნოტარიუსი უზრუნველყოფს მხარეთა იურიდიულად ინფორმირებულობას და ნების თავისუფლებას დოკუმენტის შედგენის პროცესში.⁸⁴

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების (ADR) განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს ჰიბრიდული მიდგომები, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა მეთოდის უპირატესობებს. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული და ეფექტური მოდელია ე.წ. *Arb-Med-Arb*⁸⁵ (არბიტრაჟი-მედიაცია-არბიტრაჟი).

ეს მოდელი წარმოადგენს სტრუქტურირებულ მიმდევრობას, სადაც მხარეები ჯერ იწყებენ არბიტრაჟს, შემდეგ მიმართავენ მედიაციას და თუ მედიაცია წარმატებით დასრულდა (მორიგებით), მხარეთა შეთანხმება ფორმალურად რეგისტრირდება როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.⁸⁶

შესაძლოა ითქვას, რომ ე.წ. *Arb-Med-Arb* მოდელი აერთიანებს მედიაციისა და არბიტრაჟის საუკეთესო მახასიათებლებს, რის გამოც მას მრავალი უპირატესობა გააჩნია. *Arb-Med-Arb*-ის გამოყენების შემთხვევაში მედიაციით მიღწეული მორიგებას აქვს ისეთივე უნივერსალური იურიდიული ძალა როგორც საარბიტრაჟო შეთანხმებას.⁸⁷ გარდა ამისა, არბიტრაჟის საწყისი ფაზის არსებობა წარმოადგენს ერთგვარი გარანტიის მექანიზმს. კერძოდ, მხარეებმა იციან, რომ თუ მედიაცია არ დასრულდება წარმატებით, მათ მაინც ექნებათ საბოლოო, შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება არბიტრაჟის დახმარებით. ამგვარი მიდგომები და მოდელები ხელს უწყობს მედიაციის პოპულარიზაციას.⁸⁸

აღსანიშნავია, რომ სინგაპურის საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრი (SIAC) და ჰონგ კონგის საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრი (HKIAC) აქტიურად უჭერს მხარს *Arb-Med-Arb* მოდელს და მუშაობენ სპეციალური წესებისა და პროცედურების შემუშავებაზე. მაგალითად, SIAC-ის არბიტრაჟის წესები და SIAC-SIMC-ის პროტოკოლი სპეციალურად *Arb-Med-Arb* პროცედურებისთვის არის შექმნილი.⁸⁹

4. შიდასახელმწიფოებრივი სამედიაციო მორიგების აღსრულების მექანიზმები საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს მედიაციის ორ ძირითად ფორმას: კერძო მედიაციას და სასამართლო მედიაციას.⁹⁰ სამედიაციო მორიგების აღსრულების მექანიზმი ორივე ტიპის

⁸¹ *Winkler J.*, Die vollstreckbare Ausfertigung in der notariellen Praxis, *Bonner Rechtsjournal*, 2016, p. 118.

⁸² *Bormann J.*, The German Enforceable Notarial Act in Cross-Border Cases, *Intersentia Publishing*, 2022, pp. 51-52.

⁸³ *Revista CESCO de Derecho de Consumo*, No. 20/2016, On the Enforceability of Public Deeds and the New System for Issuing Copies: Issues Arising in Current Case Law, 2016, 76.

⁸⁴ იქვე, 77.

⁸⁵ <<https://simc.com.sg/arb-med-arb>> [16.06.2025].

⁸⁶ *Lu Y.*, Med-Arb and Arb-Med: A Law and Economic Analysis, *Journal of Dispute Resolution*, 2022, 267-268.

⁸⁷ *Born G. B.*, *International Commercial Arbitration*, *Kluwer Law International*, 2014, 288.

⁸⁸ <<https://fi.resource/what-is-arb-med-arb/>> [16.06.2025].

⁸⁹ <<https://siac.org.sg/arb-med-arb-ama-protocol>> [16.06.2025].

⁹⁰ ადგიშვილი ი., ბარნაბიშვილი გ., ბიჭია მ., განერელია ა., გერსამია ნ., დულაშვილი ს., ეგნატაშვილი დ., თოდუა უ., იმნაიშვილი თ., კიკილაშვილი გ., სიხარულიძე ტ., ტყემალაძე ს., ყანდაშვილი ი., ჩაჩავა ს., ჩაჩანიძე ე., ჩიტაშვილი ნ., ხურციძე ა., ჯორბენაძე ს., მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ყანდაშვილი.ი(რედ), გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024, 38-42.

მედიაციას ახასიათებს, თუმცა გარკვეული პროცედურული ნიუანსებით.⁹¹ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმადაც, კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება სასამართლომ აღასრულოს. აღსრულების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია როგორც ერთ, ისე ორივე მხარეს, რაც მხარეთა ავტონომიასა და ნებაყოფლობითობის პრინციპზე მიანიშნებს. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 9 დეკემბრის ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მნიშვნელოვნად შეიცვალა სასამართლო მედიაციის ინსტიტუციური რეგულირება და დაზუსტდა კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცედურული მოდელი, რის თაობაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI¹ და XLIV¹³ თავები განმარტავს მედიაციის პროცედურულ ასპექტებსა და აღსრულების მექანიზმებს. კოდექსის 187¹ – 187⁷ მუხლები არეგულირებს სასამართლო მედიაციის პროცესს, მათ შორის, საქმის მედიატორისთვის გადაცემის წესს, მედიაციის ვადებს, მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგებს და პროცესის დასრულებას. აღნიშნული მუხლები ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ სასამართლო მედიაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმება იყოს ლეგიტიმური და შემდეგში – აღსრულებადი.

იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წელს საქართველომ ხელი მოაწერა სინგაპურის კონვენციას და მისი რატიფიცირება მოახდინა,⁹² მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შიდა კანონმდებლობაში, კერძოდ, გაჩნდა ახალი ცნება – „საერთაშორისო სამედიაციო მორიგება“⁹³, რომელიც განისაზღვრა როგორც კომერციული დავის მოსაგვარებლად მიღწეული და დადებული წერილობითი შეთანხმება, რაც სინგაპურის კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო შეთანხმებაა. კონვენციის რატიფიცირების შედეგად საქართველოში შესაძლებელი გახდა სხვა კონვენციის მონაწილე ქვეყნებში დადებული სამედიაციო მორიგებების აღიარება და აღსრულება გამარტივებული პროცედურებით. ეს ნიშნავს იმას, რომ უცხოური სამედიაციო მორიგებების აღსასრულებლად, მხარეებს აღარ დასჭირდებათ ხანგრძლივი სასამართლო პროცესების გავლა ამ შეთანხმებების ნაციონალურ დონეზე გადასამოწმებლად.⁹⁴ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების უფლებამოსილების მქონე სასამართლო საქართველოს უზენაესი სასამართლო.

გარდა ამისა, 2025 წლის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, კოდექსის 49-ე მუხლის ახალი რედაქცია ადგენს, რომ თუ მხარეები მედიაციის გზით მორიგებიან მთავარ სხდომამდე, ისინი სრულად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან. ეს მიდგომა მიზნად ისახავს სასამართლო სისტემის განტვირთვას და მხარეთა წახალისებას, რათა მათ დავა ადრეულ ეტაპზევე, ურთიერთდათმობის საფუძველზე გადაწყვიტონ.

4.1. სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესუალური წესი და სამართლებრივი წინაპირობები

საქართველოში სამედიაციო მორიგებების აღსრულების პროცედურული წესი და სამართლებრივი წინაპირობები იმპერატიულად არის რეგულირებული, რაც ამ ინსტიტუტის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს.

კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი სამართლებრივად ინიცირდება ერთ-ერთი მხარის ან მხარეთა განცხადებით, რაც უშუალოდ გამომდინარეობს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 და საქართველოს სა-

⁹¹ ქანთარია გ., სასამართლო და კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმი ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2023“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2023, 22.

⁹² <<https://www.singaporeconvention.org/jurisdictions/georgia>> [16.06.2025].

⁹³ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 363⁴² 1-ლი ნაწილი გ ქვეპუნქტი.

⁹⁴ <<https://imimediation.org/2022/01/17/georgia-ratifies-the-singapore-convention/>> [16.06.2025]

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³¹ მუხლის 1-ლი ნაწილიდან. ზემოხსენებული ნორმები მხარეთა დისპოზიციური თავისუფლებისა და ნებაყოფლობითობის პრინციპების გამოვლინებაა.

სამართლებრივი წინაპირობა აღსრულების მოთხოვნისთვის არის წერილობითი სამედიაციო მორიგების არსებობა, რომელიც წარმოადგენს მედიაციის საბოლოო შედეგს. ამასთან, კანონმდებელი აწესებს განსხვავებულ მოთხოვნებს წარსადგენი დოკუმენტაციის მიმართ, რაც განპირობებულია მედიაციის ტიპოლოგიით.

2025 წლის 9 დეკემბრის რეფორმამდე სასამართლო მედიაციის შემთხვევაში მხარე ვალდებული იყო წარედგინა სამედიაციო მორიგების დედანი ან სათანადოდ დამონმებული ასლი და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო მედიაცია უკვე მიმდინარე სასამართლო დავის კონტექსტში ხორციელდება⁹⁵, ბუნებრივია სასამართლოსათვის საქმის მასალების და მედიატორისთვის მისი გადაცემის ფაქტის შესახებ დამატებით დოკუმენტაციის წარდგენა არ არის საჭირო, რადგან ეს ისედაც ცნობილია სასამართლოსთვის სასრჩელო წარმოების დროს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 9 დეკემბრის ცვლილებებით კოდექსის XLIV¹³ თავში შეიცვალა მისი სისტემური ადგილი და ურთიერთმიმართება სასამართლო მედიაციის მიმართაც, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა 187⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის – სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი წყდება ამ კოდექსის XLIV¹³ თავის შესაბამისად – სრულად ამოღებით. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის ახალი რედაქციით, რომლითაც განისაზღვრა, რომ სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, მხარეთა მორიგებისას, სასამართლო იმავე განჩინებით წყვეტს საქმის წარმოებას და ამტკიცებს მორიგების პირობებს. შედეგად, სასამართლო მედიაციის მორიგება პროცედურულად გაუთანაბრდა სასარჩელო წარმოების პროცესში მიღწეულ მორიგებას და, შესაბამისად, მისი აღსრულებადობა დაკავშირებულ იქნა სასამართლოს განჩინებასთან, XLIV¹³ თავმა კი დაარეგულირა კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების სპეციალური რეჟიმი.

ამგვარად, ზემოხსენებულ ცვლილებამდე კოდექსის 187-ე მუხლი პირდაპირ ადგენდა, რომ თუ სასამართლო მედიაციისთვის განსაზღვრულ ვადებში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდებოდა, სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი დარეგულირდებოდა XLIV¹³ თავით დადგენილი წესით. აღსრულების თვალსაზრისით, სასამართლო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგებაზე იგივე სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდებოდა, რაც კერძო მედიაციის შედეგად შედგენილ შეთანხმებაზე. ერთის მხრივ, ამგვარი მოდელი უზრუნველყოფდა აღსრულების პროცედურის ერთგვაროვნებას, თუმცა ამავე დროს არღვევდა ინსტიტუციურ დიფერენციაციას სასამართლო მედიაციასა და კერძო მედიაციას შორის და ტოვებდა გაურკვევლობას იმასთან დაკავშირებით, უნდა განეხილა თუ არა ხელახლა სასამართლოს მის მიერ უკვე „დამტკიცებული“ მორიგება ცალკე წარმოებაში.

დღევანდელი რეგულაციით XLIV¹³ თავი წარმოადგენს კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების დეტალურ პროცედურულ მოდელს. კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების შემთხვევაში მორიგების დედნის ან ასლის გარდა, დამატებით საჭიროა მედიაციის თაობაზე შესაბამისი შეთანხმების წარდგენა. ეს მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ კერძო მედიაციის ფარგლებში მიღწეული მორიგება იყოს ლეგიტიმური და ნამდვილად ეფუძნებოდეს მხარეთა თავისუფალ ნებას. დამატებითი შეთანხმება ქმნის მედიაციის შედეგად მიღწეული სამართლებრივი შედეგების აღიარების საფუძველს. აღსრულების საკითხს განიხილავს ის სასამართლო, რომელმაც დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით საქმე მედიატორს გადასცა. ეს წესი განპირობებულია პროცესუალური ეკონომიის პრინციპითა და იმ გარემოებით, რომ აღნიშნულ სასამართლოს უკვე გააჩნია სრული ინფორმაცია დავის საგნისა და მედიაციის მიმდინარეობის შესახებ.⁹⁶

⁹⁵ გურიელი ა., სასამართლო და არასასამართლო მედიაციის ურთიერთმიმართება, სასამართლო მედიაციის ფორმების გამიჯვნის აუცილებლობა საქართველოში და მოსამართლის უფლებამოსილება თითოეულის წარმართვისას, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, No12, თბ., 2019,44.

⁹⁶ European Parliamentary Research Service, The Mediation Directive, European Implementation Assessment. European Parliamentary Research Service, 2016, 20-21.

კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგებების აღსრულების საკითხს განიხილავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის/იურიდიული მისამართის მიხედვით. აღნიშნული უზრუნველყოფს კერძო მედიაციის ხელმისაწვდომობასა და მის პრაქტიკულ აღსრულებადობას, რაც ერთგვარად აძლიერებს მხარეთა ნდობას მედიაციისადმი.⁹⁷

სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცედურა ხასიათდება ოპერატიულობითა და მოქნილობით, რაც ხელს უწყობს დავების სწრაფ და ეფექტურ მოგვარებას.⁹⁸

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მედიაციის აღსრულების საკითხი განიხილება განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში ზეპირი მოსმენის გარეშე. ეს არის სტანდარტული და გამარტივებული პროცედურა, რომელიც ორიენტირებულია მორიგების სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაზე. სასამართლოს უფლება აქვს, ამავე 10 დღიანი ვადის ფარგლებში, დაადგინოს საკითხის ზეპირი განხილვა, თუკი ეს აუცილებლად მიაჩნია საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამორკვევისთვის. ამ შემთხვევაში განხილვა უნდა დასრულდეს განცხადების მიღებიდან 30 დღის ვადაში. მნიშვნელოვანია, რომ ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, თუმცა, მათი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას. ეს უკანასკნელი ნორმა უზრუნველყოფს პროცესის სტაბილურობას და ხელს უშლის მის ხელოვნურ გაჭიანურებას.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს სამედიაციო მორიგების წინასწარ დაცვის შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³⁰-ე მუხლით. ეს არის საკვანძო პროცედურული მექანიზმი, რომელიც მხარეს აძლევს საშუალებას, დაიცვას თავისი სამართლებრივი ინტერესები მედიაციის პროცესის დაწყებამდე ან მის მიმდინარეობისას. მხარეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით. ეს მექანიზმი განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც არსებობს რისკი, რომ მოპასუხე მხარე შეეცდება თავიდან აიცილოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დადგენილია შესაბამისი ვადებიც, კერძოდ, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილებიდან 10 დღის ვადაში განცხადების შემტანი პირი არ მიმართავს სასამართლო ან კერძო მედიაციას და არ წარმოადგენს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან თუ მედიაციის დასრულებიდან (შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული) 10 დღის ვადაში მხარე არ წარადგენს სასამართლოს სარჩელს / არ მიმართავს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ. წინამდებარე ჩანაწერი ეფექტური ინსტრუმენტია უზრუნველყოფის ინსტიტუტის არაკეთილსინდისიერი გამოყენების აღსაკვეთად, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის დაცვას მხარეთა ინტერესებს შორის.⁹⁹

თუ მედიაციის დასრულებიდან 10 დღის ვადაში სასამართლოს წარედგინება სარჩელი ან მოთხოვნა საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლოს მიერ გამოყენებული სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიება ავტომატურად გარდაიქმნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად. ეს უწყვეტობა უზრუნველყოფს დაცვის მექანიზმის მოქმედებას დავების გადაწყვეტის მთელი ციკლის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მხარეთა პროცედურულ ტვირთს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³³ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით, რომელსაც თან ერთვის სააღსრულებო ფურცელი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პირდაპირ სააღსრულებო დოკუმენტს, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს მო-

⁹⁷ ყანდაშვილი ი., საქართველოს მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, 72-73.

⁹⁸ Zeller B., Trakmany L., Mediation and arbitration: the process of enforcement. Uniform Law Review, 2019, 1-3.

⁹⁹ ნათაძე ა., სურგულაძე თ., ლონლაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰააგი ი., აღსრულების სამართლის ტრენდების სახელმძღვანელო, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, 17-19.

რიგების ფაქტობრივ აღსრულებას და ხელს უწყობს მისი სწრაფ აღსრულებას. აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, რაც უზრუნველყოფს მხარის პროცესუალურ გარანტიას და აძლევს მას უფლებას, გაასაჩივროს სასამართლოს უარი, თუ მიიჩნევს, რომ იგი დაუსაბუთებელია.

კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. ეს ნორმა აბსოლუტურად გადამწყვეტია სამედიაციო მორიგების სტაბილურობისა და საბოლოობის უზრუნველსაყოფად.¹⁰⁰

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების დამატებით შესაძლებლობას, კერძოდ, თუ კერძო სამედიაციო მორიგება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დამტკიცებულია, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი აღსრულდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით (კოდექსის 363³³-ე მუხლის მე-4 ნაწილი) ეს ჩანაწერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომერციული დავების კონტექსტში, სადაც ხშირად გამოიყენება არბიტრაჟი დავების გადასაწყვეტად.

მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების სახით დამტკიცება აძლევს მას არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ, არამედ საერთაშორისო აღსრულებადობის პოტენციალს ნიუ-იორკის 1958 წლის „საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ კონვენციის საფუძველზე, რაც მედიაციის, როგორც გლობალური დავების მოგვარების მექანიზმის, ეფექტურობას საგრძნობლად ზრდის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არბიტრაჟის მიერ მორიგების დამტკიცება მნიშვნელოვნად ზრდის მედიაციის, როგორც გლობალური დავების მოგვარების მექანიზმის ეფექტურობას.¹⁰¹

ამგვარად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³¹-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს უფლებამოსილებას ერთ-ერთი ან ორივე მხარის განცხადების საფუძველზე, განიხილოს კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი მორიგების აღსრულება, ადგენს კომპეტენტურ სასამართლოს (განცხადებლის საცხოვრებელი ადგილი/იურიდიული მისამართი), განსაზღვრავს წარსადგენ დოკუმენტებსა და დაჩქარებული განხილვის ვადებს. 363³²-ე მუხლი განსაზღვრავს აღსრულებაზე უარის თქმის მატერიალურ საფუძვლებს: კანონმდებლობასთან ან საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა და აღსრულების ობიექტური შეუძლებლობა, ხოლო 363³³-ე მუხლი კი განსაზღვრავს სასამართლოს განჩინების სამართლებრივ რეჟიმს, სააღსრულებო ფურცლის გაცემას, გასაჩივრების ფარგლებს და ასევე აწესრიგებს იმ შემთხვევას, როდესაც სამედიაციო მორიგება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმითაა დამტკიცებული. ამასთან, 363³⁰-ე მუხლი კვლავ იწინააღმდეგობას სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიებების ინსტრუმენტს, რომელიც მედიაციის პროცესის დაწყებამდე ან მიმდინარეობისას უზრუნველყოფს შესაძლო შეთანხმების ეფექტიანობას და შემდგომ გარდაქმნება სარჩელის უზრუნველყოფად.

4.2. სასამართლოს როლი სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში და კერძო სამედიაციო მორიგების შემონების ფარგლები

სასამართლოს როლი სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკური აღსრულებითი ფურცლის გაცემით. იგი გულისხმობს მორიგების შინაარსობრივ შემონებისასაც, რაც უზრუნველყოფს კანონიერების, საჯარო წესრიგისა და მესამე პირთა უფლებების დაცვას.¹⁰² აღნიშნული უზრუნველყოფს ბალანსის შენარჩუნებას, ერთის მხრივ, მხარეთა ავტონომიას და, მეორეს მხრივ, სამართლებრივი სისტემის მთლიანობას შორის.¹⁰³

¹⁰⁰ Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S., *Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration, and Other Processes*, 7th ed., Aspen Publishers, 2015, 125-130.

¹⁰¹ Alexander N., *International and Comparative Mediation: Legal Perspectives* (Kluwer Law International 2009) 180-182.

¹⁰² Nolan-Haley J. M., *Judicial Review of Mediated Settlement Agreements: Improving Mediation with Consent*, *Ohio State Journal on Dispute Resolution* 2013, 1, 5-7.

¹⁰³ ლიპარტია ნ., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები საჯარო წესრიგთან მიმართებით, წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80 (რედ.: ძლიერიშვილი ზ., ქავთარაძე ს.), თბ., 2013, 131-132.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³²-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უარს იტყვის კერძო მედიაციის შედეგად შედგინილი სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, როდესაც სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ეს ჩანაწერი საჯარო წესრიგის და კანონიერების პრინციპის დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. მედიაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმება არ შეიძლება არღვევდეს იმპერატიულ ნორმებს, საჯარო ინტერესებს ან მესამე პირთა კანონიერ უფლებებს.¹⁰⁴

მაშასადამე, სასამართლო ამონებებს, ხომ არ არის მორიგების რომელიმე დებულება იმპერატიული ნორმების დარღვევით შედგენილი. მაგალითად, სამედიაციო მორიგება ვერ იქნება აღსრულებული, თუ იგი გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს, ასევე, სამედიაციო მორიგება არ უნდა ლახავდეს მხარეთა ან მესამე პირთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, პირობითად, თუ მორიგება ითვალისწინებს ისეთ ქონებრივ გარიგებას, რომელიც ბათილია კანონის იმპერატიული ნორმის მიხედვით (მაგალითად, უძრავი ქონების ზეპირი ფორმით გასხვისება) სასამართლო უარს იტყვის მის აღსრულებაზე.¹⁰⁵

აღნიშნული ასპექტების შემონახვით სასამართლო უზრუნველყოფს, რომ მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსი არ არღვევდეს სახელმწიფოს ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებსა და ღირებულებებს.

ასევე, სასამართლო უარს იტყვის კერძო მედიაციის შედეგად შედგინილი სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, თუ სამედიაციო მორიგების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია. ეს გულისხმობს მორიგების ფაქტობრივ ან ობიექტურ შეუძლებლობას (ე.წ. *ad impossibilia nemo tenetur*). პირობითად, თუ მხარეები შეთანხმდებიან ისეთი მოქმედების შესრულებაზე, რომელიც ფიზიკურად ან სამართლებრივად შეუძლებელია განხორციელდეს. შეუძლებლობა შეიძლება განპირობებული იყოს როგორც ფიზიკური, ისე სამართლებრივი ფაქტორით, მაგალითად, შეთანხმება გულისხმობს ისეთი ნივთის გადაცემას, რომელიც უკვე განადგურებულია ან არ არსებობს ან თუ მხარეები შეთანხმდნენ ისეთი მოქმედების შესრულებაზე, რომელიც კანონით აკრძალულია ან მოითხოვს ისეთ ლიცენზიას/ნებართვას, რაც არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.¹⁰⁶

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს შემონახვის ფარგლები მკაცრად შეზღუდულია ამ ორი საფუძვლით. სასამართლო არ აფასებს მორიგების სამართლიანობას ან მიზანშეწონილობას.¹⁰⁷ პირობითად, თუ მორიგება კანონიერია და აღსრულებადი, სასამართლო არ იკვლევს, რამდენად „სამართლიანია“ ის ამა თუ იმ მხარისთვის, რადგან ეს მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების შედეგია.

ასევე, სასამართლო არ აფასებს მხარეთა მოტივებს¹⁰⁸ ან შეთანხმების პროცესს. სასამართლო არ იკვლევს, თუ რა მოტივაცია ჰქონდათ მხარეებს მორიგების დადებისას, ან რამდენად ეფექტური იყო მედიაციის შეხვედრები.¹⁰⁹ სასამართლო არ არ აფასებს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც მედიაციამდე არსებობდა, რადგან დავა უკვე მორიგებით დასრულდა.

მსგავსი ტიპის შემონახვა უზრუნველყოფს მედიაციის უმთავრესი პრინციპების დაცვას, კერძოდ, მხარეთა თვითდებურმინაციას. მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას და სასამართლო არ იკვლევს მედიაციის პროცესის დეტალებსა და პროცესის ეფექტურობას.¹¹⁰

¹⁰⁴ *Bush R. A. B., and Folger J. P., The Promise of Mediation: Responding to Conflict Through Empowerment and Recognition, Jossey-Bass 1994, 80-85.*

¹⁰⁵ *Andrews N., The Modern Civil Process: Judicial and Alternative Forms of Dispute Resolution, Cambridge University Press 2008, 251-253.*

¹⁰⁶ *Gilles P., Judicial Review of Mediated Settlements in Germany, 16 German Law Journal 23, 2015, 30-32.*

¹⁰⁷ *Nolan-Haley J. M., Judicial Review of Mediated Settlement Agreements: Improving Mediation with Consent (2013) 30 Ohio State Journal on Dispute Resolution 1, 10-12.*

¹⁰⁸ *Bush R. A. B., Folger J. P., The Promise of Mediation: Responding to Conflict Through Empowerment and Recognition (Jossey-Bass 1994) 70-75.*

¹⁰⁹ *Moore C. W., The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict (4th edn, Jossey-Bass 2014) 30-35.*

¹¹⁰ *Riskin L.L., Mediator Orientations, Strategies and Techniques, Alternatives to the High Cost of Litigation, Vol. 12, No. 1, 1994, 111.*

ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობა აწესებს მკაფიო და ეფექტურ მექანიზმს სამედიაციო მორიგების სასამართლო აღსრულებისთვის.¹¹¹ სასამართლოს როლი ამ პროცესში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. ის ანიჭებს მორიგებას სანდოობას, უზრუნველყოფს საჯარო წესრიგისა და კანონიერების დაცვას, ასევე მორიგების ფაქტობრივ აღსრულებადობას.¹¹²

4.3. სასამართლო იძულება, როგორც სამედიაციო მორიგების აღსრულების გარანტი

სამედიაციო მორიგების ეფექტიანობა და პრაქტიკული მნიშვნელობა დიდწილად დამოკიდებულია მის აღსრულებადობაზე, თუკი მხარეები მედიაციის შედეგად მიაღწევენ შეთანხმებას, თუმცა მორიგების შესრულება ნებაყოფლობით არ ხდება, მნიშვნელოვანია, არსებობდეს სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ შეთანხმების იძულებით აღსრულებას.

დამტკიცებული სამედიაციო მორიგების აღსრულება ხორციელდება იძულებითი აღსრულების წესით, რაც გულისხმობს სააღსრულებო ფურცლის გაცემას და საქმის გადაცემას აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის. სააღსრულებლო ფურცლის გაცემაზე უფლებამოსილია ის სასამართლო, რომელმაც დაამტკიცა მორიგება.

საერთაშორისო პრაქტიკაში სასამართლო იძულება ერთ-ერთ ცენტრალურ როლს ასრულებს მედიაციის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებაში. ინგლისურ სამართალში სამედიაციო მორიგება აღსრულებადია, თუკი ის ე.წ. "consent order"-ის სახეს იღებს, ანუ სასამართლო გამოსცემს გადაწყვეტილებას, რომელიც ეყრდნობა მხარეთა შეთანხმებას.¹¹³

სასამართლო იძულების მექანიზმის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში გამოწვევად რჩება აღსრულების პროცესის გაჭიანურება ან მხარეების მხრიდან პროცესის ბოროტად გამოყენება. ამგვარ ვითარებაში სასამართლოს ეკისრება პროაქტიული როლი, რაც გამოიხატება პროცესის ადრეულ ეტაპზე მედიაციისკენ ნახალისებასა და მორიგების ჩამოყალიბების ხარისხობრივი კონტროლის განხორციელებაში.

5. სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური გამოწვევები და მათი გადაჭრის მექანიზმები

მედიაცია, როგორც დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი, სულ უფრო მეტ აღიარებას იძენს თავისი მოქნილობით, კონფიდენციალურობითა და მხარეთა ავტონომიის გაზრდის უნარით. მიუხედავად ამ უპირატესობებისა, სამედიაციო მორიგების აღსრულების ეტაპზე ხშირად ვლინდება სერიოზული გამოწვევები.

სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად 2 კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მორიგების იურიდიულ ბუნებასა და აღსრულებადობას და პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მხარეთა ქმედებებსა და პრაქტიკულ გამოწვევებს.¹¹⁴

როგორც აღინიშნა, კერძო მედიაციის შედეგად მიღებულ მორიგებას, თავისთავად, არ გააჩნია აღმასრულებელი ძალა. ეს ნიშნავს, რომ თუ ერთ-ერთი მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მეორე მხარეს შეუძლია სასამართლოსთვის მიმართვა, რათა მიიღოს განჩინება, რომელიც შემდეგ გახდება მორიგებით გათვალისწინებული პირობების აღსრულების საფუძველი. ეს პროცესი დაკავშირებულია დამატებით დროსთან და ფინანსებთან, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება მედიაციის არსს – დავის სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას სასამართლოს გვერდის ავლით.¹¹⁵

¹¹¹ ბარნაბიშვილი გ., ნიკლაური ს., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდეული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 7.

¹¹² Goldberg S., Sander F., Rogers N., and Cole S., Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration, and Other Processes, 7th edn, Aspen Publishers, 2015, 151-155.

¹¹³ Mackie S., Enforcement of Mediated Settlement Agreements in England and Wales, 27 ADR Bulletin 2, 2016, 40-42.

¹¹⁴ Strong S.I., Realizing Rights Through Mediation?, Cambridge University Press, 2017, 112-114.

¹¹⁵ Donna E. Shestowsky, Dispute Resolution and Decision Making: How the Process Influences Outcomes, 12 Psychology, Public Policy, and Law, 2007, 10-14.

საერთაშორისო მედიაციის შემთხვევაში, პრობლემა კიდევ უფრო რთულდება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა იურისდიქციაში მიღებული სამედიაციო მორიგებების აღსრულება გლობალური გამოწვევა იყო სინგაპურის კონვენციის მიღებამდეც.¹¹⁶

სამედიაციო მორიგების აქტის არასწორი ან ბუნდოვანი ფორმულირება შეიძლება გახდეს აღსრულების შეფერხების მიზეზი. თუ შეთანხმების პირობები გაუგებარია ან არაზუსტი, შეიძლება წარმოიშვას დავა მათი ინტერპრეტაციის თაობაზე. გარდა ამისა, მედიაცია ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობით თანამშრომლობას. თუ ერთ-ერთი მხარე აღარ არის მოტივირებული შეასრულოს მორიგების პირობები, არ არსებობს პირდაპირი იძულების მექანიზმი (კერძო მედიაციისას).¹¹⁷ მორიგების მიღწევის შემდეგ შეიძლება გაჩნდეს ახალი გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ან ართულებს შეთანხმების შესრულებას. ზოგჯერ მედიაციის პროცესში მხარეები არ უზიარებენ ერთმანეთს არსებით ინფორმაციას, რაც შემდგომში მორიგების შესრულებისას იწვევს პრობლემებს.¹¹⁸

სამედიაციო მორიგების აღსრულების პრობლემების გადასაჭრელად დამატებით საჭიროა კომპლექსური მიდგომები, რომელიც მოიცავს როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს, ისე საუკეთესო პრაქტიკის იმპლამენტირებას.

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი კვლავ დისკუსიის საგანია. არსებობს მოსაზრება, რომ სანოტარო წესით დამონმება შესაძლოა წარმოადგენდეს აღსრულების გამარტივებულ მექანიზმს, განსაკუთრებით ფულადი ვალდებულებების შემთხვევაში. ამ მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ნოტარიუსის მიერ მორიგების დამონმება გაზრდის მის სამართლებრივ სტატუსს და უზრუნველყოფს პირდაპირ აღსრულებადობას, სასამართლო პროცედურების გვერდის ავლით, რაც პროცესს დააჩქარებს და ხარჯებს შეამცირებს. ამ მექანიზმის პოპულარიზაცია და კანონმდებლობის დახვეწა მის ფართო გამოყენებას შეუწყობს ხელს.¹¹⁹

აღნიშნულ მიდგომას თან ახლავს გარკვეული ნეგატიური ასპექტები და კრიტიკული მოსაზრებებიც. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მდგომარეობს ნოტარიუსის როლისა და უფლებამოსილების ფარგლების გაფართოების შედეგად წარმოქმნილ რისკებში. კანონმდებლობით სამედიაციო მორიგების პირდაპირი აღსრულების გარანტიების გათვალისწინება ნოტარიუსის მონაწილეობით კომპლექსური საკითხია.¹²⁰ თუკი სასამართლო, როგორც მორიგების კანონიერებისა და საჯარო წესრიგთან შესაბამისობის შემოწმებელი რგოლი, აღარ იქნება ჩართული, მაშინ ნოტარიუსს დაეკისრება მორიგების შინაარსის სიღრმისეული შემოწმების ვალდებულება. ეს კი, შესაძლოა, სცდებოდეს ნოტარიუსის ტრადიციულ ფუნქციებს.¹²¹

გარდა ამისა, არსებობს საფრთხე, რომ ნოტარიუსის მიერ მორიგების დამტკიცებისას არ იქნება უზრუნველყოფილი მედიაციის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების დაცვა, როგორცაა მხარეთა თვითდეტერმინაცია და კონფიდენციალურობა იმავე დონეზე, როგორც სასამართლო კონტროლის შეზღუდული მოდელის შემთხვევაში.¹²²

მეორეს მხრივ, ჰიბრიდული მოდელი, სადაც მედიაციის წარუმატებლობის შემთხვევაში, იგივე ან სხვა ნეიტრალური პირი უფლებამოსილია მიიღოს სავალდებულო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, აძლევს მხარეებს დამატებით სტიმულს, მიაღწიონ შეთანხმებას მედიაციის ფარგლებში,

¹¹⁶ *Lim L. C., Tan A., The Singapore Convention on Mediation: A Commentary, Kluwer Law International B.V., 2019, 15-20.*

¹¹⁷ *De Palo G., et al., Achieving a Balanced Relationship Between Mediation and Judicial Proceedings, European Parliament, 2014, 26-30.*

¹¹⁸ *Alfi ni J.J., McCabe C.G., Mediation in the Shadow of the Courts: A Survey of the Emerging Case Law. (2001). Arkansas Law Review, Vol. 54, No. 2, 2001, 198-199.*

¹¹⁹ *Stipanowich T. J., Lempert R. O., Resolving Disputes: Theory, Practice, and Law, Aspen Publishing, 2018, 450-452.*

¹²⁰ *უზნაძე ნ., სამედიაციო მორიგების აღსრულების გამომრიცხავი გარემოებები საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნ. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადური 2020-2021, თსუ-ის გამომცემლობა, 133-134.*

¹²¹ *Logvynenko M., Mediation in the Notary: Harmonious Resolution of Legal Disputes, Scientific Journal of Polonia University, Vol. 62, 2024, 188.*

¹²² იქვე, 189.

რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოუწევთ დამატებით მსჯელობა, შეხვედრები და პროცესის გახანგრძლივება¹²³. ამრიგად, სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მედიაციის, როგორც დავების ეფექტური გადაწყვეტის მექანიზმის სრულფასოვანი განვითარებისთვის.

აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება, განსაკუთრებით კერძო მედიაციის შემთხვევაში, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს და საერთაშორისო თანამშრომლობას, ამავდროულად, პრაქტიკული ზომები¹²⁴, როგორცაა მორიგების აქტის მკაფიო ფორმულირება, აღსრულების დეტალური გეგმის შემუშავება და მხარეთა მოტივაციის შენარჩუნება, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს მორიგების წარმატებული შესრულების უზრუნველყოფაში.

6. საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომელიც ცნობა-აღსრულებას არ ექვემდებარება

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, სადაც საერთაშორისო ვაჭრობა და ტრანსსაზღვრო ურთიერთობები სულ უფრო ინტენსიური ხდება, ეფექტური დავის გადაწყვეტის მექანიზმების საჭიროება კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.¹²⁵

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363⁴⁵-ე მუხლი და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13² მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულებაზე, ან როდესაც ასეთი მორიგება თავისთავად არ ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას. ეს საფუძვლები ორ ძირითად კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ.

პირველ რიგში, განსახილველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363⁴⁵ მუხლის 1.ა ქვეპუნქტით განსაზღვრული აღსრულებაზე უარის თქმის წინაპირობები. აქვე, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე საფუძვლები, მეტწილად ნიუ-იორკის კონვენციის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე უარის თქმის მსგავსი პრინციპებიდან გამომდინარეობს¹²⁶ და მიზნად ისახავს მხარეთა სამართლიანი უფლებების დაცვას.¹²⁷ სასამართლო უარს იტყვის საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, თუ მორიგების მხარე შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები იყო მორიგების დადების დროს. ეს პრინციპი იცავს იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება.¹²⁸ აგრეთვე, საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომლის ცნობა და აღსრულებაც მოითხოვება, იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეებმა მასში მიუთითეს, ხოლო ასეთი მიუთითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელიც შუამდგომლობის განმხილველმა სასამართლომ შესაბამისად მიიჩნია, ბათილია ან ძალადაკარგულია ან მისი აღსრულება შეუძლებელია. ეს ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ იურიდიულად სავალდებულო და ძალაში მყოფი მორიგებების აღსრულებას.

სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე სასამართლოს შეუძლია უარი თქვას, თუ შუამდგომლობაში აღძრული მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამედიაციო მორიგების პირობებს. ეს პუნქტი იცავს მხარეებს იმისგან, რომ მორიგების საფუძველზე არ აღსრულდეს ისეთი მოთხოვნები, რომლებიც თავად მორიგებით არ იყო გათვალისწინებული ან ეწინააღმდე-

¹²³ *Abramson H.*, *Med-Arb: An Ethical Hybrid or Conflict in Process?*, *Florida State University Law Review*, Vol. 27, 2000, 101-105.

¹²⁴ <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365546>> [19.06.2025].

¹²⁵ *Abed A.Z.*, *The Role of Arbitration and Mediation in Resolving International Trade Disputes*. *Utu Journal of Legal Studies (UJLS)*, 2024, Vol. 1, No. 1, 10-12.

¹²⁶ *Strong S.*, *Enforcing International Commercial Mediation Agreements as Judgments or Arbitration Awards*, 22 *Harv. Negot. L. Rev.*, 2016, 49-51.

¹²⁷ *Van den Berg, A.J.* *The New York Arbitration Convention of 1958: An Analytical Commentary*. *Kluwer Law International*, 1981, 1-4.

¹²⁸ *UNCITRAL*, *Guide to Enactment and Use of the UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements resulting from Mediation* (2018), § 98.

გება მას.¹²⁹ აგრეთვე, თუ მედიატორმა უხეშად დაარღვია მედიატორის/მედიაციის მიმართ დადგენილი სტანდარტები, რადგან ასეთი დარღვევის გარეშე მხარე არ დაეთანხმებოდა/დადებდა მორიგებას.¹³⁰

გარდა ამისა, არსებობს გარემოებები, რომლებიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363⁴⁵ მუხლის 1.ბ ქვეპუნქტით, ეს საფუძვლები ასახავს საჯარო პოლიტიკის პრინციპებს და ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფოს ინტერესები ან შიდა კანონმდებლობის სპეციფიკა არ იძლევა მორიგების აღსრულების საშუალებას. თუ მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (ე.წ. *ordre public*) სასამართლოს შეუძლია უარი თქვას უცხოური გადაწყვეტილების ან მორიგების აღსრულებაზე, რამეთუ ის ეწინააღმდეგება ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ძირითად პრინციპებს, წესრიგსა და მორალს.¹³¹

7. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულების სირთულები და პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ სინგაპურის კონვენცია წარმოადგენს წინადადებულ ნაბიჯს საერთაშორისო სამედიაციო მორიგებების აღსრულების გამარტივებისკენ, პრაქტიკაში მისი სრული ეფექტურობის მიღწევა ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და სრულყოფილად რეალიზაცია დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებსა თუ გამოწვევებთან.¹³²

ერთი შეხედვით, პრობლემები შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც კონვენციის შედარებითი სიახლიდან და მის ირგვლივ არარსებული მდიდარი პრეცედენტული სამართლიდან, ისე თავად მედიაციის პროცესის სპეციფიკიდან და სხვადასხვა იურისდიქციის სამართლებრივ თუ კულტურულ თავისებურებებიდან.

ნიუ-იორკის კონვენციისგან განსხვავებით, რომელიც ათწლეულების პრაქტიკასა და მდიდარ პრეცედენტულ სამართალს ეფუძნება, სინგაპურის კონვენცია შედარებით ახალია და ჯერ არ არსებობს საკმარისი სასამართლო პრაქტიკა მის ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.¹³³

ამრიგად, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულება, სინგაპურის კონვენციის წყალობით, მნიშვნელოვნად გამარტივდა, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ ემსახურება სხვადასხვა პრობლემებსა და გამოწვევებს. ძირითადი სირთულები უკავშირდება კონვენციის სიახლესა და პრეცედენტული სამართლის ნაკლებობას, აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების ფართო ინტერპრეტაციას, კონფიდენციალურობის საკითხებს, მედიატორის როლის დიფერენციაციას, კულტურულ და სამართლებრივ განსხვავებებს, ასევე სახელმწიფო იმუნიტეტის სირთულეებს.¹³⁴

საქართველოს მასშტაბით ამ პრობლემების დაძლევა მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას, სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებასა და მედიაციის პროცესის შემდგომ სტანდარტიზაციას. მიუხედავად ამისა, სინგაპურის კონვენცია კვლავ რჩება მთავარ ინსტრუმენტად, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს მედიაციის როლი, როგორც ეფექტური და სასურველი მექანიზმის საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტისთვის, რაც ხელს შეუწყობს გლობალური ვაჭრობისა და ინვესტიციების შეუფერხებელ განვითარებას.¹³⁵

¹²⁹ Singapore Convention, Article 5(1)(d), <<https://sso.agc.gov.sg/Act/SCMA2020>> [16.06.2025].

¹³⁰ Alexander N., Chong S.C., The Singapore Convention on Mediation: A Commentary. Kluwer Law International, 2022, 240-243.

¹³¹ Fentiman R., International Commercial Litigation, Oxford University Press, 2015, 80-82.

¹³² Alexander N., Ong, Z.M. The Singapore Convention on Mediation: A Commentary. Wolters Kluwer, 2020, 45-47.

¹³³ Chua E., The Singapore Convention on Mediation and the New York Convention on Arbitration: Comparing Enforcement Mechanisms and Drawing Lessons for Asia. Asian International Arbitration Journal, 2020, Vol. 16, No. 2, 113-116.

¹³⁴ Schlaich L., The Singapore Convention on Mediation: A Global Impact Assessment. Hart Publishing, 2022, 75-77.

¹³⁵ Tan D., The Singapore Convention on Mediation to Reinforce the Status of International Mediated Settlement Agreement: Breakthrough or Redundancy?, Journal of International Dispute Resolution, 2023, 15-18.

8. 2025 წლის კანონპროექტი „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მედიაციის ინსტიტუტი კვლავ ჩამოყალიბებისა და ინსტიტუციური კონსოლიდაციის ეტაპზე იმყოფება, რაც აისახება როგორც მისი ნორმატიული რეგულირების დინამიკურ განვითარებაში, ისე პრაქტიკული გამოყენების არაერთგვაროვან მიდგომებში. მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხები მეტწილად დარეგულირებულია, საერთაშორისო მორიგების აღსრულების მექანიზმები დღემდე მოითხოვდა უფრო მკაფიო და პრაქტიკულ სამართლებრივ ჩარჩოს.¹³⁶

2020 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა „მედიაციის შესახებ“ კანონი, რის შემდეგაც დაიწყო მედიაციის პრაქტიკის აქტიური განვითარება. დღეის მდგომარეობით დაგროვილი გამოცდილების ფონზე გამოიკვეთა კანონმდებლობის სრულყოფის საჭიროება, რასაც მოჰყვა ცვლილებების პაკეტის მომზადება საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თანამშრომლობით.¹³⁷

საკანონმდებლო ცვლილებები მიზნად ისახავდა არსებული ხარვეზების აღმოფხვრასა და მედიაციის ინსტიტუტისა და მედიატორთა პროფესიის განვითარებისთვის სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებას. ინიციატივა განსაზღვრავდა პროფესიული განვითარების სისტემის დარეგულირებას, დისციპლინური საჩივრების გადახედვის მექანიზმის შექმნას, ასევე საერთაშორისო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებული ნორმების დაზუსტებას.¹³⁸

აღსანიშნავია, რომ ცვლილებები არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ მოდიფიცირებას. ისინი უფრო ფართო კონტექსტის მატარებელია, რაც გულისხმობს საქართველოს ინვესტორულ მიზიდველობას, სავაჭრო და კონტრაქტული ურთიერთობების სტაბილურობასა და საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის ნაწილად ინტეგრაციას.¹³⁹

8.1. საკანონმდებლო ცვლილების სამართლებრივი ანალიზი და მისი მიზნები

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ქვეყნის სამართლებრივი ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო ვალდებულებების იმპლემენტაციის მიმართულებით.¹⁴⁰ ერთის მხრივ, ცვლილებების კანონპროექტის მიზანი იყო საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი ბაზის განმტკიცება, ხოლო, მეორეს მხრივ, იმ ნორმატიული სიცარიელის შევსება, რომელიც წარმოიქმნა მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელი მოაწერა სინგაპურის კონვენციას.

განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებების შესაბამისად, უნდა შექმნილიყო მკაფიო მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც საერთაშორისო კომერციული დავების შემთხვევაში მხარეებს ექნებოდათ საქართველოს ტერიტორიაზე სამედიაციო მორიგების აღსრულების უფრო მტკიცე სამართლებრივი გარანტიები. აღნიშნული მიდგომა ეხმიანება საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის ძირითად ტენდენციებს, რამეთუ, საერთაშორისო მედიაციის ინსტრუმენტები მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, როდესაც შიდა ნორმატიული დონეზე გარანტირებულია აღსრულების მექანიზმების პრაქტიკული და სტაბილური არსებობა.¹⁴¹

¹³⁶ უზნაძე ნ., სამედიაციო მორიგების აღსრულების გამომრიცხავი გარემოებები საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნ. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადი 2020-2021, თსუ-ის გამომცემლობა, 133.

¹³⁷ <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365546>> [16.06.2025].

¹³⁸ <<https://mediators.ge/ka/article/mediaciis-shesaxeb-saqartvelos-kanonshi-dargis-shemdgomi-ganvitarebistvis-umnishvnelovanesi-cvlilebi-xorcieldeba/577>> [16.06.2025].

¹³⁹ <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/391922>> [16.06.2025].

¹⁴⁰ <<https://parliament.ge/legislation/28923>> [16.06.2025].

¹⁴¹ Berman G.A., The Singapore Convention: Enhancing the Enforceability of International Mediated Settlement Agreements. Columbia Journal of Transnational Law, 2019, Vol. 57, No. 3, 823-827.

შედარებით სამართლებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი ჩვეულებრივ გადაეცემა ცენტრალურ ორგანოებს ან იმ სასამართლო ინსტანციას, რომელსაც გააჩნია როგორც კომპეტენცია, ასევე შესაბამისი ავტორიტეტი კომერციული დავების გადასაწყვეტად.¹⁴² მაგალითად, საფრანგეთში საერთაშორისო მორიგების აღსრულება შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს მიერ, ხოლო სინგაპურში--მედიაციის საერთაშორისო ცენტრთან და უზენაეს სასამართლოსთან თანამშრომლობით. ამ კუთხით, კანონპროექტით გათვალისწინებული მექანიზმი, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო მორიგების აღსრულების საკითხს განიხილავს უზენაესი სასამართლო, ითვალისწინებს როგორც კვალიფიციურობის, ისე ერთიანი ინტერპრეტაციის უზრუნველყოფის მიზანს.¹⁴³

საქართველოს სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონპროექტი არ ანაცვლებს სასამართლოს დისკრეციას და ცნობისა და აღსრულების პროცესი კვლავ ეფუძნება სასამართლო განხილვას, რაც ასახავს სამართლებრივი პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებს. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლო კვლავ იხელმძღვანელებს როგორც მედიაციის შესახებ კანონის, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სათანადო ნორმებით.

მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები პასუხობს საკანონმდებლო პოლიტიკის კონცეპტუალურ მოთხოვნებს კერძოდ, გამარტივებას მართლმსაჯულებაზე და დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმების წახალისებას.

2025 წლის 9 დეკემბერს კანონში შეტანილი ბოლო ცვლილებები მნიშვნელოვან ინტერესი იწვევს. ისინი ეხება კერძო და სასამართლო სამედიაციო მორიგებების აღსრულების სამართლებრივ რეჟიმს, ეთიკის კომისიის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და მედიატორთა დისციპლინური პროცესების რეგულირებას. კანონის მე-13 და 13¹ მუხლების რედაქციები აქცენტს აკეთებს ნებაყოფლობითობის პრინციპზე, განსაზღვრავს, რომ კერძო სამედიაციო შეთანხმება მხოლოდ მხარეთა მიმართვის საფუძველზე შეიძლება აღსრულდეს, ხოლო საერთაშორისო მორიგების შემთხვევაში აღნიშნული უფლებამოსილება კვლავ უზენაეს სასამართლოს აქვს მინიჭებული.

სამედიაციო მორიგების აღსრულების რეგულირების ნაწილში ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება არის მე-13 მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც უკვე ერთმნიშვნელოვნად ეხება კერძო მედიაციის შედეგად მიღწეულ სამედიაციო მორიგებას. წინა რედაქციაში გამოყენებული იყო ზოგადი ტერმინი „სამედიაციო მორიგება“, ხოლო ახალი ფორმულირება ჩანანერში კერძო მედიაციის შედეგად შედგენილ სამედიაციო მორიგებას აკონკრეტებს. აღნიშნული დაზუსტება არ ატარებს მხოლოდ რედაქციულ ხასიათს, მას კონცეპტუალური მნიშვნელობა გააჩნია, რადგან იგი ხაზს უსვამს კერძო და სასამართლო მედიაციის განსხვავებას.

რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ასპექტი სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ბუნების ტრანსფორმაციაა. კერძოდ, კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის ახალი რედაქციით შესაძლოა ითქვას, რომ კანონმდებელმა სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება იურდიულად გაუთანაბრა სასამართლო მორიგებას. აღნიშნულმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა აღსრულების პროცედურა, კერძოდ, თუ წინა რეგულირების ფარგლებში სასამართლო მედიაციით დასრულებული დავის შემთხვევაში მორიგებისთვის აღსრულების ძალის მიანიჭებლად საჭირო იყო ცალკე წარმოება, ამჟამად მოსამართლე იმავე განჩინებით, რომლითაც წყვეტს საქმის წარმოებას, ამტკიცებს მორიგების პირობებს. შესაბამისად, აღნიშნული განჩინება წარმოადგენს სააღსრულებო ფურცლის გაცემის უშუალო სამართლებრივ საფუძველს.

ამრიგად, განხორციელებული ცვლილებებით კანონმდებელს აქვს მცდელობა სამართლებრივად გამიჯნოს კერძო, სასამართლო და საერთაშორისო სამედიაციო მორიგებების რეჟიმები, თუმცა, აქ ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხი, კერძოდ, სასამართლო სამედიაციო მორიგების აღსრულება დამოკიდებული იქნება მხარეთა შეთანხმებაზე, თუ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შესაძლებელი იქნება სასამართლო სამედიაციო შეთანხმების აღსრულება მხარეთა აქტიური მიმართვის გარეშეც.

¹⁴² Alexander N., *International Commercial Mediation*. Kluwer Law International B.V., 2009, 201-204.

¹⁴³ Dinamika M., Kuseli A., *ADR in France: Current Trends and Future Prospects*, *Journal of International Dispute Resolution*, 2018, Vol. 19, No. 2, 200-205.

8.2. საკანონმდებლო ცვლილებების მოსალოდნელი გავლენა და შესაძლო გამოწვევები სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებით

სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული 2025 წლის საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგენს ქართული მედიაციის სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვან მოდერნიზაციას, რომელმაც ერთდროულად გაამარტივა აღსრულების მატერიალური წინაპირობები და საპროცესო ნორმები.

აღსანიშნავია, რომ არსებითი ცვლილება განხორციელდა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესში. თუ წინა რედაქციით საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულება დამოკიდებული იყო მხარეთა შეთანხმებაზე, ახალი რედაქციით საკმარისია ერთი ან ორივე მხარის მიმართვა სასამართლოსადმი. ეს მნიშვნელოვნად ცვლის აღსრულების წესს, რადგან იგი გამოიციხავს იმ შესაძლებლობას, რომ ერთ-ერთმა მხარემ მხოლოდ წინასწარი შეთანხმების არქონის საფუძველით ხელი შეუშალოს მორიგების აღსრულებას. ამგვარი მიდგომა ნამდვილად ქმნის მტკიცე საძირკველს იმისათვის, რომ საქართველოს სამართლებრივმა სისტემამ შეძლოს სინგაპურის კონვენციის სრულყოფილი და ეფექტიანი იმპლემენტაცია, რომლის მიზანია მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების სწრაფი და ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფა მინიმალური სასამართლო ჩარევით.

გარდა ამისა, მე-13¹ მუხლის ახალი ჩანაწერი გაზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას, რადგან უცხოელი ინვესტორისთვის მედიაცია ხდება ისეთივე გარანტირებულად აღსრულებადი დოკუმენტი, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს პროცედურულ ბარიერებს, რაც ხელს შეუწყობს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების, პრაქტიკული გამოყენებადობის ზრდასა და მის მიმართ ნდობის ამაღლებას. როდესაც მხარეებს ეცოდინებათ, რომ მედიაციით მიღწეული მორიგება, როგორც წესი, სასამართლოს მიერ აღსრულებადი იქნება დამატებითი ბიუროკრატიული ტვირთის გარეშე, მათი მოტივაცია დავების სამედიაციო გზით გადასაწყვეტად გაიზრდება. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის განტვირთვას და სამართლიანობის ეფექტური აღდგენის პროცესის დაჩქარებას.¹⁴⁴

იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსის 363¹32-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს კონტროლი შეზღუდულია კანონიერებისა და აღსრულებადობის მინიმალური სტანდარტებით, ასევე, პროცედურაზე გამარტივებული, ამგვარი მოდელი ზრდის მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, სანდოობას და ამცირებს იმ რისკს, რომ სამედიაციო მორიგება დარჩეს მხოლოდ ნებაყოფლობით შესრულებად შეთანხმებად. ასევე, აღსრულების კომპეტენციის დეცენტრალიზაცია და კომპეტენციის მინიჭება რაიონული სასამართლოებისთვის მედიაციას უფრო მეტად ხელმისაწვდომს ხდის.

მიუხედავად ამისა, ცვლილებები შესაძლოა გახდეს რამდენიმე სისტემური გამოწვევის მაპროგნოზირებელი ფაქტორი, რომლებიც გავლენას მოახდენს მედიაციის სამართლებრივ ბუნებისა და პრინციპების ბალანსზე.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულების ერთპიროვნული ინიცირების შესაძლებლობა ამცირებს მორიგების ნებაყოფლობითობის ელემენტს და ზრდის იმის რისკს, რომ აღსრულების პროცედურა გამოყენებულ იქნეს როგორც ზეწოლის ინსტრუმენტი ან დავის გაგრძელების საშუალება. ამავე დროს, როგორც კანონში, ისე კოდექსში აღსრულებაზე უარის საფუძველები კვლავ ჩამოყალიბებულია ზოგადი ფორმით და არ მოიცავს იმ დეტალურ კრიტერიუმებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებშია დამკვიდრებული. შედეგად, სასამართლოს შეფასებითი დისკრეცია შედარებით ფართოდ რჩება, რამაც პრაქტიკაში შეიძლება გამოიწვიოს მიდგომის არაერთგვაროვნება და პროგნოზირებადობის შემცირება.

¹⁴⁴ *Schultz T., Stirnimann F.X. (eds.), International Commercial Arbitration and Mediation: A Comparative Guide. Edward Elgar Publishing, 2020, 11-15.*

აღსრულების გამარტივებული პროცედურის პირობებში, კიდევ უფრო მეტად იზრდება მედიატორთა პროფესიული კვალიფიკაციისა და ეთიკური სტანდარტების დაცვის მნიშვნელობა. ვინაიდან თუ კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგება უფრო მარტივად გახდება აღსრულებადი, მედიატორთა პასუხისმგებლობა მორიგების შინაარსის ფორმალურ კანონიერებაზე იზრდება. მედიატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამედიაციო მორიგება იყოს ნათელი, ცალსახა, კანონიერი და არ ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს.¹⁴⁵

დამატებით გამოწვევას ქმნის შიდა და საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულების განსხვავებული იურისდიქციული მოდელი. შიდა სამედიაციო მორიგების აღსრულების დეცენტრალიზაცია ზრდის ხელმისაწვდომობასა და სისწრაფეს, ხოლო საერთაშორისო მედიაციისთვის უზენაესი სასამართლოს კომპეტენციის შენარჩუნება უზრუნველყოფს პრაქტიკის ერთიანობას, თუმცა ამავე დროს შეიძლება შეამციროს პროცესის ოპერატიულობა და გაზარდოს ხარჯები. ასეთი ორმაგი სისტემა ნაწილობრივ ასუსტებს იმ მიზანს, რომლის მიხედვითაც საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს მედიაციისადმი კეთილგანწყობილ და ეფექტიან იურისდიქციად საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში.

კერძო და სასამართლო მედიაციის მოდელების ტრანსფორმაციამ ასევე შეცვალა მედიაციის ფორმებს შორის ბალანსი. 2019 წლის ერთიანი რეჟიმი ხაზს უსვამდა სამედიაციო მორიგების საერთო ბუნებას, განურჩევლად იმისა, სასამართლო თუ კერძო მედიაციის შედეგად იყო იგი მიღწეული. 2025 წლის ცვლილებებმა კერძო მედიაცია გამიჯნა სასამართლო მედიაციისგან და მას დამოუკიდებელი აღსრულების პროცედურა დაუდგინა. ეს ცვლილება სისტემურად ამყარებს კერძო მედიაციის ავტონომიას, თუმცა, ამავე დროს ქმნის ჰიბრიდული ან შერეული მედიაციის შემთხვევების კვალიფიკაციის სირთულეს, რაც პრაქტიკაში შეიძლება გავლენას ახდენდეს აღსრულების სწორი პროცედურის განსაზღვრაზე.

შესაფასებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³³ მუხლის მე-3 ნაწილიც. კერძოდ, კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. ეს ჩანაწერი 2019 წლის მოდელშიც არსებობდა და 2025 წლის ცვლილებებით შენარჩუნდა. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მედიაციისთვის აუცილებელ სისწრაფესა და ეფექტიანობას, თუმცა ამცირებს პროცესუალურ გარანტიებს და ქმნის რისკს, რომ მორიგების შინაარსის არასათანადო შემონმების შემთხვევაში, მხარეს არ ექნება ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება. ახალი რეგულაციის პირობებში, რომელშიც კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგება უფრო ფართოდ და დამოუკიდებლად ხდება აღსრულებადი, ეს რისკი კიდევ უფრო იზრდება, რადგან სასამართლო კონტროლი ფაქტობრივად ერთადერთი ფილტრია მორიგების კანონიერებისა და შესრულებადობის შეფასებისთვის.

ამგვარად, 2025 წლის საკანონმდებლო რეფორმის თანახმად, სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულების სისტემა ერთიანი მოდელიდან შეიცვალა დიფერენცირებულ და ფუნქციურად სპეციფიკურ რეჟიმად, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს მედიაციის სხვადასხვა ფორმის სამართლებრივ ბუნებასა და ზრდის კერძო მედიაციის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას.

მაშასადამე, 2025 წლის ცვლილებებით სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმი პროცედურულად გამარტივდა, ვინაიდან მისი აღსრულებადობა დაუკავშირდა სასამართლოს მიერ მორიგების პირობების დამტკიცებას განჩინებაში და დამატებით აღარ საჭიროებს კოდექსის XLIV¹³ თავით დადგენილ ცალკე წარმოებას. აღნიშნული მიდგომა, ერთი მხრივ, აჩენს კითხვას მხარეთა ავტონომიის შესაძლო შეზღუდვის შესახებ, რადგან მედიაცია თავისი ბუნებით ნებაყოფლობით შეთანხმებას ეფუძნება და მისი შედეგის სასამართლო აქტად ტრანსფორმაცია შეიძლება შეფასდეს როგორც ნების თავისუფლებაზე ინტერვენცია, თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო მედიაცია მიმდინარეობს უკვე დაწყებული სასამართლო პროცესის ფარგლებში და მხარეთა მიერ მორიგების მიღწევა სწორედ სასარჩელო წარმოებაში ხდება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა სასამართლო მედია-

¹⁴⁵ *Schultz T., Ortino F., (eds.), The Oxford Handbook of International Arbitration and Mediation. Oxford University Press, 2020, 500-504.*

ციის შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭა დავის სწრაფ და ეფექტიან დასრულებას და აღსრულებადობის უზრუნველყოფას, ხოლო კერძო მედიაციის დროს კი კვლავ შენარჩუნებულია მხარეთა ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნაზე დაფუძნებული აღსრულების რეჟიმი.

9. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ეროვნულ სისტემაში დანერგვის პერსპექტივა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ინიცირებული კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მნიშვნელოვან პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს, არსებობს დამატებითი შესაძლებლობები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვისთვის, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ქართულ სამართლებრივ სისტემას და გაზრდის მედიაციისადმი ნდობას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ენიჭება ექსკლუზიური უფლებამოსილება საერთაშორისო სამედიაციო მორიგებების ცნობა-აღსრულებაზე, სამომავლოდ შესაძლოა განხილულ იქნას სხვა ინსტანციის სასამართლოების ჩართულობა, რაც შეამცირებს უზენაესი სასამართლოს დატვირთვას და დააჩქარებს პროცესს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე არ შეიცავს რთულ სამართლებრივ საკითხებს.

პროფესიული განვითარების სისტემის დამტკიცება და ეთიკის კომისიის შექმნა აუცილებელია. რეკომენდებულია, რომ ეს სისტემა მოიცავდეს მკაცრ და რეგულარულ სასერტიფიკაციო და გადამზადების პროგრამებს, ასევე ეფექტურ დისციპლინურ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მედიატორთა კომპეტენციასა და ეთიკურ ქცევას. მორიგებების ხარისხი დამოკიდებულია მედიატორთა კვალიფიკაციაზე, ამიტომ მათი უწყვეტი განვითარება უმნიშვნელოვანესია. კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ აუცილებელია აქტიური საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, რათა მხარეები, იურისტები და ფართო საზოგადოება სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული ახალი რეგულაციების შესახებ. ნათელი კომუნიკაცია იმის თაობაზე, რომ სამედიაციო მორიგება გაზრდილი სიმარტივით გახდება აღსრულებადი, გაზრდის მედიაციისადმი ნდობას და წაახალისებს მის გამოყენებას.

10. დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და მისი საფუძველზე მიღებული 2025 წლის 9 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხოს როგორც მედიაციის შესახებ კანონს, ისე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს.

საკანონმდებლო რეფორმამ სამედიაციო მორიგების აღსრულების სფეროში არსებითად განაახლა სამართლებრივი ჩარჩო და დაადგინა დიფერენცირებული, ფუნქციურად სპეციალიზებული რეჟიმები შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამედიაციო მორიგებებისთვის. კერძოდ, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულება შესაძლებელი გახდა ერთ-ერთი მხარის მიმართვის საფუძველზე, ამასთან, განხორციელდა კერძო და სასამართლო სამედიაციო მორიგებების პროცედურული გამიჯვნა, რამაც მედიაციის სხვადასხვა ფორმის სამართლებრივი ბუნება უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა. აღნიშნული ცვლილებები ერთობლიობაში შეფასდება, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი სამედიაციო მორიგების რეალური აღსრულებადობის გაძლიერებისა და მედიაციისადმი ნდობის ამაღლების კუთხით, რაც ზრდის ამ ინსტიტუტის პრაქტიკულ მიმზიდველობასა და სანდოობას.

მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა, ნაშრომში განხილულია პოტენციური გამოწვევებიც. პირველ რიგში, აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები, როგორც მედიაციის შესახებ კანონში, ისე საპროცესო კოდექსში, კვლავ ზოგადი ფორმულირებით არის განსაზღვრული, რაც სასამართლოს ფართო შეფასებით დისკრეციას ტოვებს და პრაქტიკის არაერთგვაროვნების რისკს ზრდის. მეორე მხრივ, კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ განჩინების საბოლოოობა, რომელიც 2025 წლის ცვლილებებით შენარჩუნდა, უზრუნველყოფს სისწრაფესა და ეფექტიანობას,

თუმცა ამცირებს პროცესუალურ გარანტიებს და ზრდის იმის ალბათობას, რომ მორიგების შინაარსის არასაკმარისი შემოწმების შემთხვევაში მხარეს არ ექნება ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება.

2019 წლის მოდელში სასამართლო და კერძო მედიაციის სამედიაციო მორიგებები ერთიან აღსრულების რეჟიმში ექცეოდა, 2025 წლის ცვლილებებით კი, მიუხედავად კერძო მედიაციისა და საერთაშორისო მორიგების დეტალური რეგულირებისა, სასამართლო მედიაციის შედეგად მიღებული მორიგების აღსრულების საკითხი დამოუკიდებლად აღარ არის სრულად ჩამოყალიბებული.

ამრიგად, 2025 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულების ქართული მოდელი ერთიანი სისტემიდან გადააქცია დიფერენცირებულ, ფუნქციურად სპეციალიზებულ და საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოებულ რეჟიმად, რომელმაც მნიშვნელოვნად გააძლიერა კერძო მედიაციის ინსტიტუციური ავტონომია და საერთაშორისო მედიაციის აღსრულებადობა. თუმცა რეფორმამ ამავდროულად სასამართლო მედიაციის შედეგად მიღებული სამედიაციო მორიგების აღსრულების ნორმატიული რეგულირება ბუნდოვანი გახდა.

სავარაუდოდ კანონმდებლობა განაგრძობს სასამართლო სამედიაციო მორიგების სასამართლო აქტად დამტკიცების შესაძლებლობის აღიარებას, თუმცა აღსრულების სპეციალური პროცედურული ჩარჩო კერძო მედიაციის მსგავსად მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. შედეგად, წარმოიქმნება პოტენციური საკანონმდებლო ხარვეზი. ერთი მხრივ, სასამართლო მედიაციის მორიგება სასამართლოს მიერ დამტკიცებული შეთანხმებაა, ხოლო მეორე მხრივ, მისი აღსრულების პროცედურული მექანიზმი ცალკე და თანმიმდევრულად არ არის დარეგულირებული იმავე დონეზე, როგორც კერძო მედიაციის შემთხვევაში. აღნიშნული სისტემურად ასუსტებს სასამართლო მედიაციის ინსტიტუციურ სტატუსს და შესაძლოა პრაქტიკაში წარმოშვას სხვადასხვა ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით ჰიბრიდული ან შერეული მედიაციის შემთხვევებში.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზისა და ქართულ რეალობასთან შედარების საფუძველზე, ნაშრომში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები. მაგალითად, აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების მკაფიო განმარტება სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში; საერთაშორისო სამედიაციო მორიგებების აღსრულების პროცედურის ოპტიმიზაცია და საქართველოს უზენაესი სასამართლოს დატვირთვის გათვალისწინება; მედიატორთა პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერება და ეთიკის კომისიების ეფექტური ფუნქციონირება და საბოლოოდ, სამედიაციო მორიგების აქტის სავალდებულო კრიტერიუმების დადგენა. კერძოდ, უნდა განისაზღვროს ის აუცილებელი რეკვიზიტები, რომლებსაც სამედიაციო მორიგება უნდა აკმაყოფილებდეს. აქ შესაძლოა იგულისხმებოდეს მედიაციის პროცესის დასრულების თარიღის მითითება, მორიგების შინაარსის მკაფიო და ცალსახა განსაზღვრა, მხარეების იდენტიფიკაცია და მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების დეტალურ აღწერა, მოთხოვნის შესრულების ვადის (თუ შესაძლებელია მისი განსაზღვრა) მითითება და სხვა.

გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკაში შეინიშნება ჰიბრიდული მოდელის გამოყენების მზარდი ტენდენცია, როგორიცაა Med-Arb (მედიაცია-არბიტრაჟი) და Arb-Med-Arb (არბიტრაჟი-მედიაცია-არბიტრაჟი) მოდელი. აღნიშნული თანამედროვე მიდგომები კიდევ ერთხელ ადასტურებს მედიაციის მნიშვნელობას დავის გადაწყვეტის პროცესში და ხელს უწყობს მის ინტეგრაციას არბიტრაჟთან. მიზანშეწონილია ზემოხსენებული მოდელის თაობაზე, სიღრმისეული მსჯელობა და მათი ქართულ სივრცეში უფრო მეტად დანერგვა.

ბიბლიოგრაფია:

1. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 18/09/2019, № 4954-IX.
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სსმ, 14/11/1997, №1106-III.
3. ადგიშვილი ი., ბარნაბიშვილი გ., ბიჭია მ., განერელია აკ., გერსამია ნ., დულაშვილი ს., ეგნატაშვილი დ., თოდუა უ., იმნაიშვილი თ., კიკილაშვილი გ., სიხარულიძე ტ., ტყემალაძე ს., ყანდაშვილი ი., ჩაჩავა ს., ჩაჩანიძე ე., ჩიტაშვილი ნ., ხურციძე ა., ჯორბენაძე ს., მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ყანდაშვილი.ი (რედ), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2024, 38-42,52-53.

4. აკობია თ., კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკანონმდებლო გარანტიები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარების მაგალითზე წელიწადული 2021, თსუ-ის გამომცემლობა, 87-88.
5. ბარნაბიშვილი გ., ნიკლაური ს., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადული 2017“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2018, 7.
6. გურიელი ა., სასამართლო და არასამართლო მედიაციის ურთიერთმიმართება, სასამართლო მედიაციის ფორმების გამიჯვნის აუცილებლობა საქართველოში და მოსამართლის უფლებამოსილება თითოეულის წარმართვისას, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, №12, თბ., 2019, 44.
7. ლიპარტია ნ., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები საჯარო ნესრიგთან მიმართებით, წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80 (რედ.: ძლიერიშვილი ზ., ქავთარაძე ს.), თბ., 2013, 131-132.
8. მესხიშვილი, ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I. თბ., 2020, 206.
9. მშვილდაძე თ., მედიატორის როლი მედიაციის დასრულების ეტაპზე ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადული 2020, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 67.
10. ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონღაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰააგი ი. აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ., 2020, 9, 17-19.
11. ფანჯიკიძე ნ., მედიაციის პროცესში ადვოკატი წარმომადგენლის ცალკეული ეთიკური ვალდებულების მიმოხილვა ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადული 2023“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 181-182.
12. ქანთარია გ., სასამართლო და კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმი ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადული 2023“, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2023, 22.
13. ყანდაშვილი ი., საქართველოს მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, 2018, 72-73.
14. ყანდაშვილი ი., მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2020, 280.
15. ყანდაშვილი ი., მედიაცია და მედიაციის მაგალითზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების ინოვაციური ფორმა – ონლაინდავის გადაწყვეტა (ODR), „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №1, 2018, 100-101.
16. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ის გამომცემლობა, №1, 2016, 48-49.
17. ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევების საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადული 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2016, 13-14.
18. ჩოჩიშვილი მ., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადული 2020, სპეციალური გამოცემა, თსუ-ის გამომცემლობა, 2020, 88.
19. წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 28.
20. ცერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ყიყიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ცერცვაძე გ. (რედ.), დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 164.
21. ცური მ., მედიაციის შეთანხმების აქტის შედგენის ხელოვნება: სახელმძღვანელო ინსტრუქციები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადული 2012“, თსუ-ის გამომცემლობა, 140-141.
22. ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომც. „სამართალი“, თბ., 1997, 351-357.
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1404-2024

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-1014(კ-20).
25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/596, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2016 წლის 30 სექტემბერი.
26. Alternative Dispute Resolution Act of 2004, Republic Act No. 9285 (Philippines), Section 17.
27. Commercial Mediation Act, 2010, S.O. 2010, c. 16, Sched. 3.
28. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May, 2008;
29. Law No. 192/2006 on mediation and the organization of the mediator profession.
30. Mediationsgesetz (MediationsG) vom 21. Juli 2012 (BGBl. I S. 1577).
31. Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012.
32. Singapore Convention, 7 August 2019.
33. UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements resulting from Mediation, 2018.
34. *Abed A.Z.*, The Role of Arbitration and Mediation in Resolving International Trade Disputes, *Utu Journal of Legal Studies (UJLS)*, 2024, Vol. 1, No. 1, 10-12.
35. *Abramson H.*, Med-Arb: An Ethical Hybrid or Conflict in Process?, *Florida State University Law Review*, Vol. 27, 2000, 101-109.
36. *Akhtar N.*, Alternative Dispute Resolution: Concept, Criticism and Future of Arbitration and Mediation, *Global Legal Studies Review*, 2023, 38-40.
37. *Alexander N.*, International and Comparative Mediation: Legal Perspectives, *Kluwer Law International*, 2009, 180-182.
38. *Alexander N.*, Campbell-Ross N. (eds.), *The Singapore Convention: A Commentary*, *Kluwer Law International*, 2020, 55-71.
39. *Alexander N.*, *Chong S.*, *Giorgadze V.*, *The Singapore Convention on Mediation: A Commentary*, 2022, 16-20.
40. *Alexander N.*, *Ong Z.M.*, *The Singapore Convention on Mediation: A Commentary*, *Wolters Kluwer*, 2020, 45-47.
41. *Anderson D.Q.*, *The Singapore Convention on Mediation: Supplying the Missing Piece of the Puzzle for Dispute Resolution*, *Asian Journal of International Law*, 2020, 7.
42. *Andrews N.*, *Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos*, *Intersentia Publishing*, 2008, Chapter 2, 23.
43. *Andrews N.*, *The Modern Civil Process: Judicial and Alternative Forms of Dispute Resolution*, *Cambridge University Press*, 2008, 251-253.
44. *Azar E. E.*, *Protracted Social Conflict: An Analytical Framework in The Management of Protracted Social Conflict Theory and Cases*, *Dartmouth Publishing Company*, 1990, 1.
45. *Berkoff L.A.*, *Kline C.L.*, *Falk T.N.*, *Mediation Matters: The Use of Mediation in Large Chapter 11 Cases*, 2023, 62.
46. *Berman G.A.*, *The Singapore Convention: Enhancing the Enforceability of International Mediated Settlement Agreements*, *Columbia Journal of Transnational Law*, Vol. 57, No. 3, 2019, 823-827.
47. *Born G.B.*, *International Commercial Arbitration*, *Kluwer Law International*, 2014, 288.
48. *Bormann J.*, *The German Enforceable Notarial Act in Cross-Border Cases*, *Intersentia Publishing*, 2022, 51-52.
49. *Bungenberg M.*, *Koevski G.*, *Böhme B.*, *Kocev L.*, *Fröhlich M.*, *Zdraveva N.*, *Alternative Dispute Resolution in the Western Balkans: Trends and Challenges*, *Springer*, 2024, 108-109.
50. *Burr A.*, *International Mediation and Arbitration: A Practical Guide*, *Oxford University Press*, 2017, 85-96.
51. *Bush R.A.B.*, *Folger J.P.*, *The Promise of Mediation: Responding to Conflict Through Empowerment and Recognition*, *Jossey-Bass*, 1994, 23, 50, 70-75, 80-85.
52. *Buttlien R.*, *The Singapore Convention on Mediation: A Brave New World for International Commercial Mediation*, *Dispute Resolution Journal*, 2020, 190.
53. *Carbonneau T.E.*, *The Law and Practice of Arbitration*, *Aria*, Vol. 17, No. 2, 2006, 20-25.

54. *Chua E.*, Enforcement of International Mediated Settlement Agreements, Singapore Management University, 2019, 15-20.
55. *Chua E.*, Enforcement of International Mediated Settlements Without the Singapore Convention on Mediation, Singapore Management University, 2019, 574-579.
56. *Chua E.*, The Singapore Convention on Mediation and the New York Convention on Arbitration: Comparing Enforcement Mechanisms and Drawing Lessons for Asia, *Asian International Arbitration Journal*, 2020, Vol. 16, No. 2, 113-116.
57. *Cooks L.M., Hale C.L.*, The Construction of Ethics in Mediation, *12 Mediation Q.* 55, 1994, 62.
58. *Deason E.E.*, Enforcing Mediated Settlement Agreements: Contract Law Collides with Confidentiality, *35 U.C. Davis L. Rev.*, 2001, 14-16.
59. *De Palo G., Trevor M.B.*, *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 88-89, 103.
60. *De Palo G., et al.*, Achieving a Balanced Relationship Between Mediation and Judicial Proceedings, European Parliament, 2014, 26-30.
61. *El Siddik A.*, Enforceability of the Mediation Outcome, *Murdoch University eLaw Journal*, Vol. 17, Issue 2, 2010, 21.
62. *Fach Gómez K.*, *The Role of Mediation in International Commercial Disputes*, Oxford University Press, 2019, 4-8.
63. *Fentiman R.*, *International Commercial Litigation*, Oxford University Press, 2015, 80-82.
64. *Fisher R., Ury W., Patton B.*, *Getting to Yes: Negotiating Agreement Without Giving In*, Random House Business Books, 1991, 6-8, 15-17.
65. *Fraidenburg M., Teale T.*, *The Art of Mediation – Key Skills for New Mediators*, 2024, 30-34.
66. *Gilles P.*, Judicial Review of Mediated Settlements in Germany, *16 German Law Journal* 23, 2015, 30-32.
67. *Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S.*, *Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration, and Other Processes*, 7th ed., Aspen Publishers, 2015, 120-123, 125-130, 151-156.
68. *Hoffman D.A.*, *Bringing Peace into the Room: How the Personal Qualities of the Mediator Impact the Process of Conflict Resolution*, 2003, 13-14.
69. *Jacqueline M.*, Judicial Review of Mediated Settlement Agreements: Improving Mediation with Consent, *5 Y.B. Arb. & Mediation* 152, 2013, 153-154.
70. Law Reform Commission, *Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation*, Ireland, 2010, 67-68.
71. *Leda M. Cooks, Hale C.L.*, The Construction of Ethics in Mediation, *12 Mediation Q.* 55, 1994, 62.
72. *Lerman L., Schneider A.K.*, *Mediation: Law, Policy, and Practice*, Aspen Publishers, 2021, 300-305.
73. *Levin J.*, The Singapore Convention on Mediation: A Commentary, *Arbitration International*, Vol. 35, Issue 3, 2019, 373-376.
74. *Lim L.C., Tan A.*, *The Singapore Convention on Mediation: A Commentary*, Kluwer Law International B.V., 2019, 15-20.
75. *Logvynenko M.*, Mediation in the Notary: Harmonious Resolution of Legal Disputes, *Scientific Journal of Polonia University*, Vol. 62, 2024, 188-189.
76. *Lu Y.*, Med-Arb and Arb-Med: A Law and Economic Analysis, *Journal of Dispute Resolution*, 2022, 267-268.
77. *Mackie S.*, Enforcement of Mediated Settlement Agreements in England and Wales, *27 ADR Bulletin* 2, 2016, 40-42.
78. *Manetska K.*, Enforceability of Mediation Settlement Agreements: Ukrainian Perspective in the Light of Current Trends, 2019, 85.
79. *Mayer B.S.*, *The Dynamics of Conflict Resolution: A Practitioner's Guide*, 2000, 145-148.
80. *Menkel-Meadow C.*, *Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model*, West Academic, 2005, 250-253.
81. *Menkel-Meadow C., Love L.P., Schneider A.K.*, *Mediation: Practice, Policy, and Ethics*, Aspen Publishing, 2022, 20-24.
82. *Moore C.W.*, *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, San Francisco: Jossey-Bass Publishers, 2004, 11-13.

83. *Moore C.W., Spencer L.K.*, The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict, 2015, 15.
84. *Nolan-Haley J.M.*, Judicial Review of Mediated Settlement Agreements: Improving Mediation with Consent, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, 2013, 1, 5-7, 10-12.
85. *Nylund A., Ervasti K., Adrian L.* (eds.), *Nordic Mediation Research*, Springer Open, 2017, 86-88.
86. *Pesudovs A.*, The Civil Procedure Principles as the Essential Basis for Undisputed Enforcement of Obligations, *Rīga Stradiņš University*, 2018, 9-10.
87. *Raz J.*, *The Authority of Law: Essays on Law*, Clarendon Press, 1979, 43.
88. *Rhee C.H. van, Verkerk R.*, *Civil Litigation in China and Europe: Essays on the Role of the Judge and the Parties*, 2014, 283-284.
89. *Riskin L.L.*, Mediator Orientations, Strategies and Techniques, *Alternatives to the High Cost of Litigation*, Vol. 12, No. 1, 1994, 111.
90. *Santiago F.*, *Law Enforcement to Mediation*, 2017, 15.
91. *Schlaich L.*, *The Singapore Convention on Mediation: A Global Impact Assessment*, Hart Publishing, 2022, 75-77.
92. *Schultz T., Ortino F.* (eds.), *The Oxford Handbook of International Arbitration and Mediation*, Oxford University Press, 2020, 500-505.
93. *Schultz T., Stimimann F.X.* (eds.), *International Commercial Arbitration and Mediation: A Comparative Guide*, Edward Elgar Publishing, 2020, 11-15.
94. *Shestowsky D.E.*, *Dispute Resolution and Decision Making: How the Process Influences Outcomes, Psychology, Public Policy, and Law*, 2007, 10-14.
95. *Spencer D., Brogan M.*, *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, 2006, 12-16.
96. *Stipanowich T.J.*, *Multi-Tier Commercial Dispute Resolution Processes in the United States*, *Legal Studies Research Paper Series*, 2020, 8-12.
97. *Stipanowich T.J., Lempert R.O.*, *Resolving Disputes: Theory, Practice, and Law*, Aspen Publishing, 2018, 450-452.
98. *Strong S.I.*, *Realizing Rights Through Mediation?*, Cambridge University Press, 2017, 112-115.
99. *Strong S.*, *Enforcing International Commercial Mediation Agreements as Judgments or Arbitration Awards*, *22 Harv. Negot. L. Rev.*, 2016, 49-51.
100. *Susmann E.*, *The Final Step: Issues in Enforcing the Mediation Settlement Agreement*, *Newsletter of the Mediation Committee of the International Bar Association*, Vol. 2, No. 1, 2006, 2.
101. *Sussman E.*, *The New York Convention Through a Mediation Prism*, *American Review of International Arbitration*, Vol. 20, No. 3-4, 2009, 1-2.
102. *Tan D.*, *The Singapore Convention on Mediation to Reinforce the Status of International Mediated Settlement Agreement: Breakthrough or Redundancy?*, *Journal of International Dispute Resolution*, 2023, 15-18.
103. *Tsvina T., Ferz S., Tvaronavičienė A., Riener P.*, *The Implementation of Consensual Tenet in Modern Civil Procedure: Comparative Analysis of Court-Connected Settlement Procedures Applied in Austria, Lithuania, and Ukraine*, *European Journal of Comparative Law and Governance*, Vol. 9, Issue 1, 2022, 33.
104. *Van den Berg A.J.*, *The New York Arbitration Convention of 1958: An Analytical Commentary*, *Kluwer Law International*, 1981, 1-4.
105. *Wagner G.*, *Mediation im Wirtschaftsrecht*, 2012, 100-105.
106. *Wheeler M.*, *What's Fair? Ethics for Negotiators*, *Program on Negotiation at Harvard Law School*, 2004, 16-20.
107. *Winkler J.*, *Die vollstreckbare Ausfertigung in der notariellen Praxis*, *Bonner Rechtsjournal*, 2016, 118.
108. *Wolff R.*, *The Singapore Convention on Mediation: A Commentary*, 2020, 49-52.
109. *Zeller B., Trakmany L.*, *Mediation and Arbitration: The Process of Enforcement*, *Uniform Law Review*, 2019, 1-5.
110. *Immobiliare Saffi v. Italy*, [1999] ECHR (No. 22764/93), October 26, 1999.
111. *Hornsby v. Greece*, [1996] ECHR (No. 18357/91), March 19, 1996.

112. <https://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2019/08/31/the-singapore-mediation-convention-what-does-it-mean-for-arbitration-and-the-future-of-dispute-resolution/> [16.06.2025].
113. <https://blog.cpradr.org/tag/report-on-international-mediation-and-enforcement-mechanisms/> [16.06.2025].
114. https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat [16.06.2025].
115. <https://www.ejiltalk.org/a-new-legal-framework-for-the-enforcement-of-settlement-agreements-reached-through-international-mediation-uncitral-concludes-negotiations-on-convention-and-draft-model-law/> [16.06.2025].
116. <https://fl.sg/resource/what-is-arb-med-arb/> [16.06.2025].
117. <https://imimediation.org/2022/01/17/georgia-ratifies-the-singapore-convention/> [16.06.2025].
118. <https://journal.arbitration.ru/analytics/the-singapore-convention-on-mediation-an-overview/> [16.06.2025].
119. <https://mediators.ge/ka/article/mediaciis-shehexeb-saqartvelos-kanonshi-dargis-shemdgomi-ganvitarebistvis-umnishvnelovanesi-cvlilebi-xorcieldeba/577> [16.06.2025].
120. <https://mediators.ge/ka/article/saqartvelos-mediatora-asociacia-gacnobebt-rom-dzalashi-shevida-singapuris-konvencia-mediaciis-shehexeb/43/> [16.06.2025].
121. <https://siac.org.sg/arb-med-arb-ama-protocol> [16.06.2025].
122. <https://simc.com.sg/arb-med-arb> [16.06.2025].
123. <https://www.singaporeconvention.org/jurisdictions/georgia> [16.06.2025].
124. https://uncitral.un.org/en/texts/mediation/conventions/international_settlement_agreements [16.06.2025].
125. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365546> [19.06.2025].

KETEVANI DALBASHVILI*

DOMESTIC AND INTERNATIONAL LEGAL FRAMEWORKS FOR THE ENFORCEMENT OF MEDIATION SETTLEMENT AGREEMENTS

The article examines mediation as a modern and non-confrontational mechanism¹ of conflict management², the effectiveness of which significantly depends on the legal guarantees for the enforcement of mediation settlements. This study aims to provide a systematic analysis and evaluation of the legal mechanisms for enforcing mediation agreements in Georgia and in international practice.

Furthermore, the present study reflects the legislative amendments adopted on 9 December 2025 to the Law of Georgia on Mediation (hereinafter – the Law) and to Chapter XLIV¹³ of the Civil Procedure Code of Georgia (hereinafter – the Code), within the framework of which two fundamental dimensions of mediation were substantially modified: (a) the legal regime governing the enforcement of private and court-annexed mediated settlement agreements; and (b) the institutional mechanisms relating to mediators' professional ethics and disciplinary responsibility.

Although this reform represents a new stage in the institutional development of mediation in Georgia – aimed at harmonising the mediation framework with international standards and strengthening professional regulation – it is also accompanied by certain theoretical and practical challenges. In particular, under the new wording of Article 208(1) of the Code, according to which a settlement agreement reached through court mediation is approved by the court in the same ruling, it remains unclear whether such a mediated settlement is subject to automatic enforcement without an additional application by the parties, and whether this could be regarded as a limitation of one of the fundamental principles of mediation, namely the principle of voluntariness.

The article examines the role of the Singapore Convention in facilitating the enforcement of settlement agreements reached through international mediation and assesses its impact across European, Asian, and Anglo-American legal systems. Comparative analysis highlights key challenges and approaches for strengthening the reliability and standards of enforcing mediated settlements.

It also offers recommendations to enhance the transparency, efficiency, and credibility of mediation at both national and international levels, including clarifying judicial discretion in enforcement refusals, defining essential settlement requirements, integrating hybrid mediation models, and harmonizing international enforcement practices. In light of recent legislative amendments, the paper further proposes an interpretative approach to distinguish the enforcement regimes applicable to settlements reached through private and court-annexed mediation.

Keywords: *Mediation, Enforcement of Mediation Settlement Agreements, legislative amendment, Hybrid Models.*

* Master of Laws, Participant of the Adaptation Program of the Bar Association, Graduate of the Mediator Certification Program.

¹ Kriesberg L., Northrup T. A., Northrup, *Constructive Conflicts: From Escalation to Resolution*, Rowman & Littlefield Publishers, 2017, 2.

² Roberts M., *Mediation in Family Disputes: Principles of Practice*. Ashgate Publishing, 2008, 229.

1. Introduction

Conflict is an inherent part³ of social interaction and has accompanied the development⁴ of human civilization since ancient times. As humanity progressed, mechanisms for resolving disputes underwent significant transformation—from radical and coercive methods toward peaceful and constructive approaches⁵.

In the 21st century, mediation has become one of the most effective and widely recognized legal mechanisms for dispute resolution⁶, with its origins traceable to ancient times. Mediation, as a process facilitated by a neutral third⁷ party, has evolved⁸ over centuries. A mediator is a neutral third person who assists⁹ the parties in finding common ground and resolving the conflict in a mutually acceptable manner.

The development of modern legal systems is closely connected to the integration¹⁰ of alternative dispute resolution mechanisms into the judicial system, which enables the flexible, cost-effective, and efficient resolution¹¹ of legal disputes¹². Consequently, alongside traditional forms of dispute settlement, contemporary systems increasingly employ consensus-based alternative models. The primary purpose of mediation, as one of the central institutions in this category, is to facilitate the consensual resolution of legal conflicts between parties.

Public interest in mediation continues to grow, as it is associated with a faster and less confrontational method of resolving disputes. Within the business sector,¹³ mediation has become a preferred mechanism due to reduced costs and the potential for achieving optimal outcomes.

The effectiveness of a mediation settlement is directly linked to its enforceability¹⁴. In this context, the legal framework governing the enforcement of mediation agreements acquires particular importance, as it determines the institutional and procedural safeguards necessary to ensure their validity and enforceability¹⁵.

The role of mediation, both at the national and international levels, is dynamically evolving, as it contributes to the reduction of procedural costs, enhances judicial efficiency, strengthens social justice, and broadens¹⁶ access to legal remedies. However, considering that the mechanisms for enforcing mediation settlements are not yet fully harmonized, various challenges arise in terms of legal predictability, trust, and procedural reliability.

A mediation settlement is not self-executing without judicial involvement. Therefore, mediation should be viewed as a facilitative process rather than a judicial function, and the mediator does not exercise judicial authority in a technical sense.¹⁷

Thus, regulating the enforcement regime of mediation settlements is essential not only for ensuring legal predictability but also for reinforcing parties' trust in alternative dispute resolution mechanisms¹⁸. This necessity has led to the establishment of unified international standards.¹⁹

³ Azar E. E., *Protracted Social Conflict: An Analytical Framework in The Management of Protracted Social Conflict Theory and Cases*, Dartmouth Publishing Company London, United Kingdom, 1990, 1.

⁴ Fisher R., Ury W., Patton B., *Getting to Yes: Negotiating Agreement Without Giving In*, Second edition by Fisher, Ury and Patton random house business book 1991, 6-8.

⁵ Ibid, 15-17.

⁶ Stulberg J. B., *Mediation: A Comprehensive Guide to Resolving Conflicts Without Litigation*, American Arbitration Association, 1986, 4-7.

⁷ Moore C. W., Spencer L. K., *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, 2015, 15.

⁸ Bush R. A. B., Folger J. P., *The Promise of Mediation: Responding to Conflict Through Empowerment and Recognition*, Jossey-Bass, University of Michigan Law School, 1994, 23.

⁹ Moore C. W., *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, San Francisco: Jossey-Bass Publishers, 2004, 11-13.

¹⁰ Welsh N. A., "The Thinning Vision of Self-Determination in Court-Connected Mediation: The Inevitable Price of Institutionalization?" *Harvard Negotiation Law Review*, 2001, 6-10.

¹¹ Hoffman D. A., *Bringing Peace into the Room: How the Personal Qualities of the Mediator Impact the Process of Conflict Resolution*, 2003, 13-14.

¹² Mayer B. S., *The Dynamics of Conflict Resolution: A Practitioner's Guide*, 2000, 145-148.

¹³ Tsertsvadze G., Arevadze M., Vasadze E., Tvaauri R., Ivanidze G., Makhauri P., Zhizhiashvili T., Takashvili S., Khuchua T., Jibladze B., *Perspectives on the Legal Regulation of Mediation in Georgia*, in: Tsertsvadze G. (ed.), *National Center for Alternative Dispute Resolution*, Tbilisi, 2013, 164 (in Georgian).

¹⁴ <<https://blog.cpradr.org/tag/report-on-international-mediation-and-enforcement-mechanisms/>> [16.06.2025]

¹⁵ Wolff R., *The Singapore Convention on Mediation: A Commentary*, 2020, 49-52.

¹⁶ Law Reform Commission, *Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation*, Ireland, 2010, 67-68.

¹⁷ El Siddik A., *Enforceability of the Mediation Outcome*, eLaw Journal: Murdoch University Electronic Journal of Law, Vol. 17, Issue 2, 2010, 21.

In the context of enforcing mediation agreements, the Singapore Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation – adopted in 2018 and developed by UNCITRAL²⁰-plays a vital role. The effectiveness of the Convention depends on the number of participating states and the degree of domestic implementation, which continues to generate practical and doctrinal challenges.²¹

This paper places particular emphasis on comparative analysis of international and domestic regulations, with the aim of identifying best practices and assessing the prospects for improving Georgia's internal legislation.

Considering that Georgia has initiated legislative amendments²² to clarify and strengthen the mechanisms related to the enforcement of mediation settlements, this study analyzes the proposed changes. These amendments, while aligned with international standards, raise important questions regarding the ability of the Georgian legal system to effectively respond to practical challenges and global developments.

2. The Legal Nature of Mediation Settlements

According to Article 2(i) of the Law of Georgia on Mediation, a mediated settlement is a written document reflecting the parties' mutually agreed resolution of a dispute achieved through mediation, the performance of which is binding.

A mediation settlement, the terms of which are voluntarily determined by the parties without judicial involvement,²³ typically exhibits a high rate of compliance, as parties themselves have an inherent incentive to fulfil mutually negotiated obligations.²⁴

Nevertheless, ensuring the enforceability of mediation agreements is essential, particularly when obligations under the settlement require future performance or when parties seek guarantees for compliance.²⁵

The revised Article 13 of the Law on Mediation sets out the legal basis and procedure for court enforcement of settlements reached through private mediation. Such settlements may be enforced by the court where the parties have agreed to enforcement, upon application by one or both parties, and in accordance with the Law on Mediation and the Civil Procedure Code of Georgia.

Thus, the current provision links the enforceability of privately mediated settlements both to party autonomy and to judicial oversight, allowing compulsory enforcement subject to statutory requirements.

The mandatory nature of enforcement becomes especially significant in the international context, where obstacles to enforcing cross-border mediation settlements may prolong dispute resolution and increase associated costs.²⁶

For this reason, various national legal systems empower courts to grant mediation settlements a status equivalent to judicial decisions²⁷, even without initiating full judicial proceedings.²⁸

In Nordic countries, settlements reached within court-connected mediation may acquire enforceability in two ways: by being recorded in the court register and thereby obtaining the status of a judicial settlement, or by remaining a contractual agreement governed by general contract law rules. In Norway, certain formal

¹⁸ Mshvildadze T., *The Role of the Mediator at the Final Stage of Mediation, Alternative Dispute Resolution – Yearbook 2020*, Special Edition, TSU Publishing, 2020, 67 (in Georgian).

¹⁹ <<https://www.ejiltalk.org/a-new-legal-framework-for-the-enforcement-of-settlement-agreements-reached-through-international-mediation-uncitral-concludes-negotiations-on-convention-and-draft-model-law/>> [16.06.2025]

²⁰ Singapore Convention on Mediation, 2018. <https://uncitral.un.org/en/texts/mediation/conventions/international_settlement_agreements>[16.06.2025].

²¹ A handbook on singapore convention on mediation, Second Edition, 2021, 22-24.

²² <<https://mediators.ge/ka/article/mediaciis-sheaxebsaqartvelos-kanonshi-dargis-shemdgomi-ganvitarebistvis-umnishvelovanesi-cvilebi-xorcieldeba/577>> [16.06.2025].

²³ Menkel-Meadow C., Love L. P., Schneider A. K., *Mediation: Practice, Policy, And Ethics* (First Edition), Aspen Publishing, 2022, 20-27.

²⁴ Leda M. Cooks , Claudia L. Hale, *The Construction of Ethics in Mediation*, 12 *Mediation Q.* 55 ,1994 ,62.

²⁵ Chua E., *Enforcement of International Mediated Settlement Agreements*, Singapore Management University , 2019, 15-20.

²⁶ Stipanowich T. J., *Multi-Tier Commercial Dispute Resolution Processes in the United States*, Legal Studies Research Paper Series, 2020, 8-12.

²⁷ Nylund A., Ervasti K., Adrian L. (eds), *Nordic Mediation Research*, Springer Open, 2017, 86.

²⁸ Akhtar N., *Alternative Dispute Resolution: Concept, Criticism and Future of Arbitration and Mediation*, *Global Legal Studies Review*, 2023, 38-40 .

